



ქადაგი საქართველოს მინისტრის მიერ განვითარებული კავშირისა. ინიციატივის მიერ განვითარებული

განათლება

ერებელთვის რედ

სამაცნელო-საპარაგო განაცხადი.

№ 2.

თებერვალი 1920 წ.

ტყილისი

ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3.
1920

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა.

მეცნიერება და ფილოსოფია.¹⁾

ფილოსოფია და მეცნიერება ანტიურ ხანაში. პირველი კლასსითიკაცია მეცნიერებაში. მეცნიერებათა სპეციალიზაცია. მეთოდი და საგანი. ფილოსოფიური და მეცნიერული მეთოდოლოგია. უკიდურესი მიმართულებანი და მათი შეინიჭება. კერძო მეცნიერება და მათი ჯამი. მეცნიერული და ფილოსოფიური განზოგადოება. სპეციალის, კონტის და ვუნდტის შეხედულება. მათი შეხედულების გარჩევა ჭრიშვარიტება და ზოგადი. დასაბუთება. მიზეზობრივობის პრინციპი. ფილოსოფია და განზოგადოება. ისტორიული თვალსაზრისი. ორგანიული კავშირი ფილოსოფიასა და მეცნიერების შუა. ფილოსოფიის განშარტება. ბრძოლა ფილოსოფიის დამოუკიდებლობისათვის: კუნო ფიშერის და ვინდელბანდ-რიკკერტის შეხედულება. მისი კრიტიკა.

თავდაპირველად მეცნიერება და ფილოსოფია შემეცნების განუყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ; მათ შორის არავთარი განსხვავება არ არ-სებობდა და ცნება სიბრძნისა თავის სიღრმეში ბუნებრივად იტევდა, როგორც ერთს ისე მეორეს. ასეთი განუყოფელობასთან გვაქვს საქმე იმ-ნიელთა ფილოსოფიაში. მათ ძალიან ხშირად ერთსა და იმავე დროს ეძახ-დნენ როგორც ბრძენთ ისე ბუნებისმეტყველო, და, უკველია, ამ ორ სახელწოდების არევას მათი იგივეობაზე აფუძნებდნენ. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ფილოსოფიაში შედარებით დიდხანს, რომლის განმავლობაში მეცნიერება არ გამოყოფია ფილოსოფიას და ცალკე დარგად აღამიანის შემეცნებისა არ გამზდარა.

აწმენა, რომ ყოველი დარგი შემეცნების ფილოსოფიის ნაწილს შეადგენს, იმდენად ჰქონდა შეთვისებული ქველ ფილოსოფიას, რომ პირველმა ცდამ მეცნიერებათა კლასსითიკაციისა ყველა კერძო მეცნიერებანი ფილოსოფიის ნაწილად გამოაცხადა. ასეთი იყო არისტოტელეს ცდა. ყოველი დარგი ადამიანის შემეცნებისა შეადგენდა მისი აზრით ფილოსოფიის განუყოფელ ნაწილს. მხოლოდ მე-III საუკუნიდან ქრისტეს დაბადებამდე იწყება გამოყოფა ცალკე მეცნიერებათა (მათემატიკა, ფილოლო-

¹⁾ ამოღებულია „ფილოსოფიის შესავლიდან“, რომელიც იბეჭდება და მალე გამოვა.

გია, თეოლოგია და სხვ.) და მასთან ერთად იბატება საკითხი მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიმართებისათვის.

მას შემდგომ, რაც კაცობრიობამ ნაწილობრივ მაინც გადალახა კოლ-
ლექტიურ აზროვნების ფარგლები და თავი დააღწია სარწმუნოებრივ გა-
გებას მსოფლიო მოვლენათა, იწყება ფილოსოფიის ხანა, როგორც ნა-
ყოფი ინდივიდუალი აზროვნებისა. მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ
ვიდრე მეცნიერება თავის განვითარების უძლაბლეს საფეხურზე იდგა, ის
განუყოფელი იყო ფილოსოფიისაგან. ხოლო მეცნიერების განვითარებას
თან მოჰყვა სპეციალიზაცია, უფრო დაკვირვებული და ნათელი შესწავ-
ლა მეცნიერების საგნებისა და მასთან ერთად ფილოსოფიიდგან გამოყო-
ფა. იბადება საკითხი: შეიძლება ფილოსოფია წარმოადგენს უფრო დაბალ
საფეხურს აზროვნების განვითარებაში?. ფილოსოფიისა და მეცნიერების
მიმართების გამორკვევამ უნდა მოჰყვინოს შუქი ამ საკითხსაც.

ხშირად ჰელნიათ, რომ ფილოსოფია რაღაც განკუნებული ბუნებისა, სრულიად მოწყვეტილი სინამდვილეს და ამის გამო მისი დაკავშირება ცდასთან, როგორც სინამდვილის ერთ ერთ სახეობასთან ვერ წარმოუდგენიათ. ასეთი გავებას ხშირად თან სდევს ფილოსოფიის უარისყოფა, როგორც უნიათგა და უნაყოფო სპეციალიაკის.

ასეთი მსჯელობა სრულიად უკანონოა. აქ ყოველ შემთხვევაში გა-
თვალისწინებული არაა ის გარემოება, რომ ამგვარი მსჯელობა რამდენი-
მეტ კანონიერი შეიძლება ყოფილიყო ფილოსოფიის ერთ ნაწილისათვის,
სახელდობრ მეტაფიზიკისათვის, და ნაწილის მიხედვით მთელის უარის-
ყოფა მეცნიერული არ იქნებოდა, მაგრამ ესეც არ შეეფერება სინამდვი-
ლეს. მეტაფიზიკა ისეთი ნაწილია ფილოსოფიისა, როგორიც თან ახლავს
ყოველ თეორიულ მეცნიერებას, როდესაც იგი შეუდგება ზოგად დებუ-
ლებათა გამოყვანას და ამ პროცესში გასცდება ცდის პირდაპირ კარას
და პიპოთეზათა ნიაღაგზე დგება. ფილოსოფიის განვითარებაში აღსანი-
შნავია პროგრესსიული ზრდა მეტაფიზიკის ცდასთან დაახლოვებისა, და
უკანასკნელმა ხანამ მოგვცა არა ერთი ცდა მეტაფიზიკის ცდის შედე-
გებზე დაფუძნებისა (მაგ. ვ. ვუნდტის ინდუქტიური მეტაფიზიკა). ამას-
თანავე ისიც მართალია, რომ იყო ხანა ფილოსოფიის განვითარებისა,
როდესაც სინამდვილეს ანგარიშს არ უწევდნენ და მთელს აზროვნებას მხო-
ლოდ გონებაზე დამყარებულ თავისუფალ შემოქმედების ხასიათი ქონდა.
განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ მე-XIX საუკუნის ფილოსო-

ფია გერმანიში, რომელიც ფილოსოფოს კანტის მოძღვრების ერთგვაუდიოთისა გადამუშავების ნიადაგზე აღმოცენდა.

მეთოდის თვალსაზრისით ორი უკიდურესი შეხედულებებთან გვაქვს საქმე: ერთინი ჰუიქრობენ, რომ არის ერთი მეთოდოლოგია, სახელდიბრ მეცნიერული და ყოველი გამოსახულება აღამიანის აზროვნებისა ამ მეთოდოლოგიას უნდა იზიარებდეს. ფილოსოფიაც არ არის განსაკუთრებულს მდგომარეობაში და ცდის დაკვირვებანი და მათი გამოყენების საშუალებანიც იქაც იგივე უნდა იყოს, როგორც სხვა დარგებში აღამიანის აზროვნებისა. ინდუქცია და დედუქცია — ასეთია იმ საშუალებათა კრებული, რომლითაც მეცნიერება ლამობს ჰეშმარიტების შენებას. ფილოსოფიაც ამ საშუალებათა ამარაა, ფიქრობენ ჩოგიერთნი, და მეცნიერებისაგან მეთოდოლოგიურად არაფრით არ განსხვავდება. ამ თვალსაზრისს იცავენ მთელი რიგი ლოლიკოსებისა, და იგი შეიძლება გაბატონებულად ჩაითვალოს თანამედროვე მეცნიერებაში.

არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ფილოსოფიას აქვს არამც თუ თავისი განსაკუთრებული მეთოდი ძიებისა, არამედ იმდენად უნივერსალი, რომ შეიცავს მეცნიერულ მეთოდოლოგიასაც. ასეთ თვალსაზრისს იცავდა ფილოსოფიაში მაგ. ჸეგელი, რომლის აზრით დიალექტიური მეთოდი ფილოსოფიისა მსოფლიო ქმნადობის მეთოდია, რომლის კერძობითი მომენტებს წარმოგვიდგენენ დედუქცია და ინდუქცია.

ორივე მიმართულებათა უკიდურესობა იმის მომასწავლებელია, რომ მათში გამოთქმულია მხოლოდ ნაწილობრივი ჰეშმარიტება. ეს ნაწილობრივი ჰეშმარიტება უკეცელია მეცნიერულ მეთოდოლოგიის უპირატესობის მტკიცებაში, რამდენადც ერთგვარი გარკვეული მნიშვნელობა ინდუქცია-დედუქციისა გაუქმდებულია. შეცდომაა მხოლოდ ამ მნიშვნელობის აბსოლუტურად აღიარება და მისთვის აზროვნების მთელი გასაქანის დაქვემდებარება. ეს ცხადი ხდება მას შემდეგ, რაც ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ფილოსოფიას აქვს საკუთარი და დამოუკიდებელი თვალსაზრისი მოვლენათა და საგანთა შესწავლისათვის. ასევე შემცდარია საწინააღმდეგო შეხედულება, რამდენადც იგი ფილოსოფიურ მეთოდის უნივერსალობას აღიარებს და მეცნიერულ მეთოდოლოგიას დამოუკიდებლობის ნიშანსაც ართმევს. ჰეშმარიტია ამ შეხედულებაში ის, რომ ფილოსოფიას აქვს თავისი განსაკუთრებული გვარობა მსჯელობისა და მაზე დაფუძნებულია თავისებური მეთოდოლოგიაც.

ჭეშმარიტების პრობლემის გარჩევისას, როდესაც დაისმება საკითხების ლოლიკისა და შემეცნების ისტორიის გაერთიანებისათვის, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ არსებობს ერთი სავალდებულო დებულება: არ არსებობს მეცნიერული მეთოდოლოგია დამოუკიდებლივ ფილოსოფიურიდან, ისე როგორც ჰიუკუ, არ არსებობს ფილოსოფიური მეთოდოლოგია გარეშე მეცნიერულსა. რამდენადაც სპეციალ მეცნიერებათა ჭეშმარიტება თავის დამთავრებას ჰქოულობს ფილოსოფიურ ჭეშმარიტებაში, იმდენად განუკვეთელია კავშირი ორივე დარგის მეთოდოლოგიისა. რომ ეს მეთოდოლოგიური კავშირი იგივეობას არ ნიშნავს, ჩვენ დავრწმუნდებით შემეცნების თეორიისა და ლოლიკის მიმართების გარჩევისას. ეხლა კი გავარჩიოთ ფილოსოფიისა და მეცნიერების მიმართება კვლევა-ძიების საგანთა თვალსაზრისით.

კვლევა-ძიების საგანთა შესახებაც დაახლოვებით იგივე ითქმის. ფილოსოფიას აქვს თავისი საკუთარი საგანი ძიებისა, მეცნიერებას კი თავისი. თუ გავიხსენებთ ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას ფილოსოფიისა, რომელიც იმ თავითვე აღვნიშნეთ, მაშინ აშკარაა თუ როგორ დგას საკითხი. ჩვენ ვნახეთ რომ ფილოსოფიას იმ თავითვე ახასიათებდა მთლიანობისადმი ლტოლვილება. მეცნიერება-კი არ არსებობს როგორც დამთავრებული მთლიანობა: მისი განვითარების წინსვლა განიზომება გალრმავებულ სპეციალიზაციით ე. ი. ახალ და ახალ მეცნიერულ სპეციალ დისკიპლინათა შექმნით. მაშასადამე ეს პროცესის და მასთან ბუნება სპეციალ მეცნიერებათა მიმართულია მთლიანობის იდეიის წინააღმდეგ სპეციალი მეცნიერებანი, რომელთა გარეშე არ არსებობს მეცნიერება საზოგადოდ, შეადგენენ ნამდვილ შინაარს მეცნიერებისას.

ასეთ პირობებში აშკარაა ის განსხვავება, რომელიც არსებობს ფილოსოფიასა და სპეციალი მეცნიერებათა შორის. იქ მიზანია მთლიანი მსოფლმხედველობის გამომუშავება, აქ, წინააღმდეგ, მთელი ყურადღება, მიქცეულია მსოფლიოს ერთი პატარა მხარის შესწავლისაკენ; იქ განზოგადოება აქ სპეციალიზაცია.

თუ ასე ადვილად აშკარავდება განსხვავება ფილოსოფიასა და სპეციალ მეცნიერებათა შორის, როდესაც უკანასკნელს განცალკევებულად ვიღებთ, გაცილებით უფრო ძნელი მდგრმარებობა იქმნება, როდესაც საქმე მიღებება სპეციალ მეცნიერებათა მთელ ჯამზე. მთელი ჯამი აღმიანის შემეცნებისა, რომ ავილოთ და მისი ზოგადის სახით წარმოდგენას

შევეცადოთ, ის ოთხ მთავარ ჯგუფს მიეკუთნება: ფიზიკურს, ორგანიულს, სოციალურს და სულიერს. აშკარაა, ოთხივე ჯგუფი სავსებით ამოსწურავს მეცნიერებათა შინაარს და ფილოსოფიას ამ შემთხვევაში, უეჭველია, თვისი საკუთარი და განსხვავებული საგანი აღარ რჩება. ამ გვარ მდგომარეობას მართლაც შეეძლო ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ფილოსოფია მართლაც და უსაგნოდ უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და ამისი მიზეზი აღამიანის შემცენების იმ თვისებაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც მთლიანობა ეწოდება, და რომელიც მიუწდომელია სპეციალ მეცნიერებათვის.

ყოველი სპეციალი მეცნიერება იმუშავებს ზოგად დებულებებს თავის დარგში. მათი შეერთება და საერთო გამოხატულების მიცემა არი საგანი ფილოსოფიისა: ფილოსოფია ახდენს განზოგადოებას უმაღლეს განზოგადოებას. ასეთი შეხედულება დამახასიათებელია ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობისათვის. მაგალითად: სპეციერის აზრით „ფილოსოფია აერთიანებს მეცნიერებათა. მიერ შიღწეულ განზოგადოებას“.

„ფილოსოფია გაერთიანებული სისტემა
აგრეთვე კანტის აზრით „აუდიტორიანის კოდნისა“.

გუნდტი ფიქრობს: „ფილოსოფიის მიზანია გააერთიანოს ყოველივე მოპოება მეცნიერებათა. ასეთივე აზრისაა ბაჟდსენიც: „ფილოსოფია მუდ-მივი კდაა მეცნიერებათა გაერთიანებისა“.

არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დახასიათება და გაგება ფილოსოფიისა ყოველმხრივი და სრული იყოს. ერთი რამ აუცილებლად ახასიათებს ფილოსოფიას ამ შემთხვევაში; ეს არის მისი დამოკიდებულება სპეციალ მეცნიერებათაგან.

თუ საბოლოოდ ამ დახასიათების ძალით ფილოსოფია მაინც ჰპოებს განსაკუთრებულ საგანს, ყოველ შემთხვევაში იგი დამოკიდებულია სპეციალ მეცნიერებათვან; ფილოსოფიას ამ შემთხვევაში არ აქვს განსაკუთრებული მასალა თავის მიზნისთვის მოსახმარი და ვალდებულია მიიღოს ის, რასაც აწვდის მას სპეციალი მეცნიერება.

აღნიშნულ განმარტების მიხედვით, ფილოსოფიის საგანი ისახება, როგორც შეცნიერების ზოგად დებულებათა უმაღლესი განზოგადოება. თუ ამ მხრივ ფილოსოფიას არ ერგო წილად შესაფერი დამოუკიდებლობა, შესაძლებელია სულ სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნეს მაშინ, როდესაც დაისმება საკითხი თვით განზოგადოების ბუნებისათვის.

ჭეშმარიტება მიზანია მეცნიერების, რამდენადაც უკანასკნელი თეორიულია ე. ი. მთელი აზრი მეცნიერულ მუშაობისა, თუ ეს მუშაობა რაიმე პრაქტიკული მიზნით არ ისახლვრება, მდგომარეობს ჭეშმარიტების სამსახურში. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სპეციალი მეცნიერებამ არ იცის თვით ბუნება ჭეშმარიტებისა. ყოველი მეცნიერება, რამდენადაც ის ისახავს თავის მიზნად განსაზღვრულ სფეროში მოვლენათა შორის ურთიერთობის კანონი შეისწავლოს, აღწევს ამ მიზანს ზოგად დებულებათა გამომუშავების სახით. იგივე კანონი არი კონკრეტი გამოხატულება ჭეშმარიტებისა. როგორც თვით მეცნიერება—ზოგად დებულებათა გამომუშავების დროს, ისე ფილოსოფია—უმაღლეს განხოგაზღოვებათა განმტკიცების დროს, აუცილებლად ემყარებიან ერთ გონიერივ აქტს, რომელსაც ორთავეთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არი— დასაბუთება.

დასაბუთების ბუნება პირველ შეხედვით მარტივია: ყოველ დებულების დასამტკიცებლად საჭიროა საკმარისი საბუთი, ანუ საფუძველი. მეცნიერება ამ საკითხს განსაკუთრებულ ძიების საგნად არ სთვლის და ცდილობს ფაქტების ნიადაგზე შეასრულოს ეს პირობა. მაგრამ აშკარაა, რომ ის, რაც მოიხსინება მასალად დასაბუთებისა სრულიად არ ეხება საკითხს თვით დასაბუთების ბუნებისათვის. რა თქმა უნდა, მეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ სწავლობს ბუნებას დასაბუთებისა, მანც ვითარდება თანახმად ამ ბუნებისა. ასე გრძელდება მანამდის, ვიღრე თვით დასაბუთება პრობლემად არ გარდიქცევა; ამის შემდეგ კი მეცნიერება სრულიად უძლურია საკითხის გადაჭრაში მონაწილეობისათვის. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მეცნიერება გაურკვევლად ემყარება დასაბუთების კანონებს და საჭიროებს ისეთ მეცნიერებას, რომლის საგანს შეადგენს გარკვევა და ნათელყოფა დასაბუთების ბუნებისა.

ჭეშმარიტება სრულებრივად დასაბუთებისა, დასაბუთება კი გზაა ჭეშმარიტებისაკენ; ამიტომაცა, რომ ამ ორ მოვლენათა შორის მჭიდრო კავშირია და მეცნიერების მიმართ სრული ანალოგია.

გარდა აღნიშნულისა, მეცნიერება მოიხსინება მთელ ჩიტებისას; რომელთა ბუნება მისთვის ისევე გაურკვეველია. ასეთია მაგ. ცნება მიზეზობრივობისა, სივრცისა, დროისა და სხვ. ავილოთ მაგალითისთვის პირველი. ყოველი მეცნიერება სცდილობს მოვლენათა მიზეზის გაგებას. ცხადია, რომ გარეშე მიზეზობრივ ურთიერთობის გაგებისა არც

୨୯

ერთი მეცნიერული კანონი არ გამოიყვანება. წავართვათ მეცნიერებას ერთი წუთით ეს პრინციპი, შევეცადოთ წარმოვიდგინოთ მეცნიერება მიზეზობრივობის პრინციპის გარეშე და ჩვენ მაშინვე დავრჩმუნდებით, რომ ასეთი რამ სრულიად შეუძლებელია. მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მეცნიერება იკვლევს მიზეზობრივ ურთიერთობას თავისი შესწავლის საგანთა შორის და არავითარ შემთხვევაში არ ეხება ოვით მიზეზობრივობის ბუნებას. მიზეზობრივობა როგორც საერთო პრინციპი ყველა მეცნიერებათათვის, გასცდება ფარგალს ყოველ კერძო დისკიპლინისა და უნდა შეადგენდეს საგანს ისეთი დარგისას, რომელიც ჰფარავს მთელს მეცნიერულ მუშაობას ე. ი. ფილოსოფიისა. ეს მით უფრო მიეკუთვნება ფილოსოფიას, რომ სწორედ ის სწავლობს მსოფლიოს უზოგადეს მხარე. ებს, როგორც საფუძველს მათი მთლიანი წარმოდგენისა.

ზემოდ აღნიშნულ გაგების თანახმად ფილოსოფია დამოკული ბუნებისაა სპეციალ მეცნიერებათა მიმართ. ამ გაგებას თუ მივიღებთ, და ვიტყვით, რომ ფილოსოფია მეცნიერულ განზოგადოებათა მხოლოდ უმაღლესი განზოგადოებაა.—მაშინ კავშირი სპეციალ მეცნიერებათა და ფილოსოფიის შუა დაუსაბუთებელი და გაუგებარია. ეს აშერა ხდება ისტორიულ სქემის წარმოდგენის დროს. ჩვეულებრივად ასე აქვთ წარმოდგენილი ეს სქემა: თავდაპირველათ ფილოსოფია და მეცნიერება ერთი და იგივე უყო; შემდგომში განვითარდა მეცნიერება სპეციალ მეცნიერებათა სახით! აწმოს საკითხია ფილოსოფიისა და მეცნიერების შუა კავშირის აღდგენა. როგორ? აი ამ კითხვაზე პასუხი შეუძლებელი ხდება თუ გაბატონებული დახასიათება ფილოსოფიისა მივიღეთ. თუ მომავალი კავ-

შირი ფილოსოფიისა და მეცნიერებისა არაფერია გარდა მეცნიერებისა მონაპოვარის განზოგადოებისა, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ძველად, რო-დესაც არ იყო მეცნიერების სპეციალიზაცია და მაშასადამე არ არსებობდა პრობლემა გაერთიანებისა — ფილოსოფია სრულიად არ არსებობდა. ასეთი უაზრო შედეგი მაჩვენებელია როგორც ისტორიულ სქემის მიუღებლობის, იგრედვე იმ გაგების სიყალბის, რომელზედაც ეს სქემა არის დაფუძნებული.

ნამდევილად კი საქმე სხვა გვარად უნდა წარმოვიდგინოთ. პირველ ყოფილი განუყოფელობა მეცნიერებისა და ფილოსოფიისა მათი განუვითარებლობაზე იყო აღმოცენებული. მოფლიოს უზოგადეს მხარეთა შესწავლა სრულიად პფარავდა იმ მცირე ცოდნას მსოფლიოს კონკრეტ მოვლენათა შესახებ, რომელიც მაშინდელ მეცნიერებას მოეპოვებოდა. შემდეგში კი სწორედ ეს უკანასკნელი უფრო განვითარდა, გაჩნდა მთელი წყება სპეციალ მეცნიერებათა და ფილოსოფია, როგორც მეცნიერება მსოფლიოს მთლიანობის შემსწავლელი, ჩამორჩა მეცნიერებას. აშკარაა, რომ მომავალში ფილოსოფიისა და მეცნიერების შუა მტკიცე კავშირის აღსაღენად საჭიროა სათანადო განვითარება ფილოსოფიისა მსოფლიოს ზოგად მოვლენათა შესწავლის გაღრმავებით.

მარტო ფილოსოფია არ არკვევს მსოფლიოს ზოგად მხარეებს. ყოველ შემთხვევაში თუ ფილოსოფია იღებს მათ, როგორც თავის განსაკუთრებულ საგანს, ამ ზოგადის სინამდვილეში გაშლას იკვლევს მეცნიერება, მაგალ. იგივე მიხეზობრივობის პრინციპი. არც ერთი მეცნიერება არ კმაყოფილდება კერძო მოვლენათა აღწერით, მათი დაკვირვების მასალის დაგროვებით — ყველა ეს მხოლოდ მასალაა მეცნიერებისათვის. მეცნიერება იწყება იქ, სადაც იწყება ცდა მოვლენათა შორის რაიმე მტკიცე უზრთიერთობის განმტკიცებისა. რაღაც ამ მიზნის მიღწევა მოსახერხებელია მხოლოდ მეცნიერულ განსაზოგადოებათა სახით, ამიტომ ყოველ მეცნიერებას თან ახლავს თავისი ფილოსოფიური მხარე. მეცნიერება უფილოსოფიით შეუძლებელია, თუ ის ნამდვილად ამართლებს მეცნიერების დანიშნულებას.

ფილოსოფიის და მეცნიერების შუა მიმართება საქმაოდ გამოირკვეულად უნდა ჩაითვალოს. პირველი იკვლევს მსოფლიოს, როგორც ზოგად მოვლენათა მთლიანობას, მეორე იმ ზოგადის კერძო მოვლენებში გაშლას; მსოფლიო მთლიანობის თვალსაზრისით ორივე საგანი — ორი მხარეა



ერთი და იმავე მოვლენისა; ამიტომაც საბოლაოდ ორივე მომენტი უძველეს უნდა შეიცვლეს. მაშასადამე, ფილოსოფია არის მეცნიერება მსოფლიოს მთლიანობის შესახებ, ანუ მსოფლმხედველობა მეცნიერებაზე დამყარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიაში მოიპოვება მრავალგვარი ცდა მისი დამოუკიდებელ საგნის ძიებისა. ასეთი ცდათა შორის საკმარისია აღინიშნოს ორი უმნიშვნელოვანესი. ერთი ეკუთვნის ცნობილ გერმანელ ფილოსოფიის ისტორიკოსს კუნი ფიშერს. სახელოვან ფილოსოფოსის კანტის (+ 1804) დამსახურებას ფილოსოფიის წინაშე ის ხედავს მასში, რომ თითქოს კანტმა მოუპოვა ფილოსოფიის თავისი განსაკუთრებული კვლევა-ძიების საგანი. ეს საგანი კუნი ფიშერის აზრით არის შეცენება.

კუნი ფიშერი ისტორიულად რომ მართალი იყოს, არსებითად მაინც შემცდარია. შემცნება, თუმცა ის მსოფლიოს უზოგადესი მხარეა, მაინც მხოლოდ ნაწილია მოვლენათა იმ მთელ რიგისა, რომელიც შეადგენს ფილოსოფიის საგანს. შეიძლება ფილოსოფიის განსაკუთრებული საგანი ამ შემთხვევაში ძალიან აშკარად სჩანდეს, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ არე ფილოსოფიურ ძიებისა მეტის მეტად განსაზღვრულია. ეს რომ ასეა ამას თვით ფილოსოფიური კლასიფიკაციაც მოწმობს, რომელიც შემცნებას, როგორც კვლევა-ძიების საგანს შიაკუთნებს ცალკე ფილოსოფიურ დისკიპლინას — განსეოლოგიას.

ღირსშესანიშნავია იგრედვე მეორე ცდა ფილოსოფიისათვის განსაკუთრებულ საგნის ძიებისა. ეს ცდა ეკუთვნის გერმანელ ფილოსოფოსს ვ. ვინდელბანდს და მის მოწაფეს რიკერტს. მათი აზრით მეცნიერებასა და ფილოსოფიის შუა საგრძნობი განსხვევებაა: პირველი შეისწავლის მას, რაც არის, მეორე — იმას; რაც უნდა იყოს. ამ რიგად ფილოსოფია შედგება სამ ნორმატიულ მეცნიერებათაგან ე. ი. ისეთ მეცნიერებათაგან, რომელიც საყოველთაო და სავალდებულო ნორმებს გამოიმუშავებენ. ასეთია — ლოლიკა, ეთიკა და ესტეტიკა: პირველი იმუშავებს საყოველთაო სავალდებულო ზომებს კეშმარიტების სფეროში, მეორე — ზეობისა და მესამე — მშვენიერების სფეროში.

ეს მეორე ცდა ფილოსოფიის ბუნების გარკვევისა ისევე შემცდარად უნდა ჩითვალოს, როგორც პირველი. მიუხედავად იმისა, რომ მას, რაც უნდა იყოს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიცით რაც არის, ამ



გაგების ძალით შეუძლებელია მეცნიერებისა და ფილოსოფიის კავშირი, და, მაშასადამე, მთლიანობა აღამიანის შემეცნებისა. მართლაც და თუ ნორმატიული მეცნიერება სრულუფლებინია და მის არსებობას აზრი აქვს, ის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არსებულს სრულიად მოკლებულია ასეთ უფლებას. იმის თავალსაზრისით რაც უნდა იყოს თავის-თავად ცხადია, რომ ის რაც არის, არ უნდა იყოს. ეს დაპირდაპირება სწყვეტს ადამიანის შემეცნებას ორ სრულიად შეუერთებელ ნაწილებად და მთლიანობა შემეცნებისა სამუდამო პრობლემად ჰქონდება. გარდა ამისა, ეს დაყოფვა არაბუნებრივია; ეს განსაკუთრებით აშკარა ხდება ჭეშმარიტების სფეროში. ჭეშმარიტება არის ის, რაც უეჭველად არის და ნორმატიული გამოხატულება ჭეშმარიტების პრობლემისა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ უნდა იყოს ის, რაც არის. აშკარაა, რომ აქ დაპირდაპირება იმისა, რაც არის და რაც უნდა იყოს სრული უაზრობას შეიცავს. ამ რიგად ვინდელბანდ — რიკვერტის თეორია სრულიად მიუღებელია.

პროფ. შ. ნუცუბიძე.

საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი:

გეგმა მსჯელობისა.

ჩვენს წინაშე დაისვა საქართველოს სკოლის რეორგანიზაციის საკითხი. საკითხის გადასაჭრელად უნდა გვესმოდეს მისი შინაარსი. ეს არა იმისათვის მარტო, რომ პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმაზე, რაც გესმის, არამედ იმისათვისაც, რომ დეკარტის თქმულების არ იყოს, თვით საკითხში დაფარულია მისი გადაჭრა. მაშ საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ უნდა მკაფიოდ და ნათლად წარმოვიდგინოთ, რას გულისხმობს ამ საკითხის შინაარსი. ამისათვის კი საჭიროა მისი სკრუპულიობური ანალიზი. ვამბობ „სკრუპულიობური“, რადგანაც საჭმე ეხება ისეთ რამეს, რაც უუდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს მთელი ერის მომავალი კეთილდღეობისათვის.



სიტყვა „რეორგანიზაცია“ არ საჭიროებს ვრცელ განმარტებას. მნიშვნელოვან კლედ ის გულისხმობს შემდეგს: საქართველოს სკოლა, ძველი წესწყობილებიდან მიღებული არ აქმაყოფილებს დღეს ქართველ ერთს: არ აქმაყოფილებს არც მისი მატერიალური და მორალური ინტერესებს, არც ქართული პედაგოგიური აზროვნების მოთხოვნილებებს. მაში ის უნდა შეიცვალოს. აი არსებული სკოლის შეცვლა იგულისხმება მის რეორგანიზაციის ქვეშ.

მაგრამ შეცვლილი სკოლა მაინც არის სკოლა. მაშასადამე ამ შეცვლილს ახალ სკოლას უნდა ბევრი რამ ქონდეს ისეთი, რაც აქვს თანამედროვე სკოლასაც, ე. ი. მას უნდა ქონდეს სკოლის საზოგადო თვისებები. მას უნდა ქონდეს, მაგალითად, პროგრამმა სწავლებისა, უნდა ყავდეს მოწაფენი და მასწავლებლები და სხვა. აი ეს ზოგადი თვისებები სკოლისა, რომელიც ერთნაირად ახლავს ყოველ სკოლას, უნდა ახლდეს, მაშასადამე, ჩვენს ახალს, შეცვლილს სკოლასაც. ცვლილებები უნდა შექებოდეს მხოლოდ ამ თვისებათა განსახიერებას, რომელიც მომავალ სკოლას უნდა ქონდეს სრულიად თვისებური და რომელიც არ უნდა ემგზავსებოდეს საქართველოს სკოლის თანამედროვე განსახიერებას. მაში მომავალი სკოლა უნდა განირჩეოს თანამედროვე ჩვენი სკოლისაგან მხოლოდ სახეობით. საზოგადო თვისებები სკოლისა მასაც ისეთი უნდა ქონდეს, როგორც თანამედროვე სკოლის.

აი ეს საზოგადო თვისებები სკოლისა ჩვენ უნდა გავხადოთ მთელი ჩვენი მომავალი სკოლის სქემის გამოსარკვევი მუშაობის ბაზად. ამ ბაზის ანალიზმა ჩვენ უნდა მოვცეს გეგმა მთელი ჩვენი მსჯელობისა მომავალ სკოლის შენობის შესახებ. ეს გეგმა ან ტრაქიკა აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს მიზან შეწონილი მუშაობისათვის. როგორი უნდა იყოს მომავალი სკოლა? — მომავალი სკოლა უნდა იყოს სკოლა (genus), რომელიც განირჩეა ჩვენი თანამედროვე სკოლისაგან და აგრეთვე სკოლის სხვა ფორმებისაგან. ამ მხრივ, მავალითად პროგრამის მხრივ ამით (differentia spec.) მეორე მხრივ (მოწაფეთა შემადგენლობის მხრივ) მაგალითად ამით, მესამე მხრივ (მასწავლებლთა მხრივ) — ამით და სხვა. მაში მცნებები „პროგრამა“ „მოწაფეთა შემადგენლობა“, „მასწავლებლთა შემადგენლობა“, შეაღენენ სკოლის რეორგანიზაციაზე მსჯელობის საფუძველს. ამავე დროს ისინი შეადგენენ სკოლის საზოგადო თვისებებს.

ესლა ჩვენ გვესმის რას ნიშნავს სიტყვა რეორგანიზაცია? სკოლის



რეორგანიზაცია გულისხმობს სკოლის ზოგად თვისებებს მომავალი სტანდარტის განსაკუთრებულ თვისებებს, რომლების ფორმაში ესხმება ზოგადი სკოლა.

გავიგეთ რა, რა არის რეორგანიზაცია, გავიგეთ რა, რომ ამ რეორგანიზაციაზე ლოდიკურად მსჯელობისათვის ჩვენ უნდა დავეყრდნოთ სკოლის, ამ შემთხვევაში ქართული სკოლის, ზოგად თვისებებს, რომ ეს თვისებები უნდა შეიქნეს ჩვენთვის მსჯელობის გეგმად, გადავიდეთ მეორე საგანზე.

ჩვენ წინაშე დასმულია საკითხი „საქართველოს სკოლის“ რეორგანიზაციის შესახებ. რას ნიშნავს საქართველოს სკოლა? ეს უნდა ეხლა გავარკვიოთ, რათა შევძლოთ ჩვენთვის საჭირო გეგმის აღმოჩენა.

საქართველოს სკოლა გულისხმობს სკოლების ორ კათეგორიას: სახელმწიფო სკოლას და კერძო სკოლას. მათ შორის დღი განსხვავებაა: პირველს ინახავს სახელმწიფო, მეორეს კერძო პიროვნება. უკვე ეს ეკონომიკური ფაქტი სწყვეტს საკითხს მათი განსხვავების შესახებ. ცხადია, რომ კერძო სკოლის ნორმები არ შეიძლება ეთანასწორებოდენ სახელმწიფო სკოლის ნორმებს. ამნაირად, კერძო და სახელმწიფო სკოლის საკითხები უნდა გაირჩენ ცალ-ცალკე.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებს სახელმწიფო სკოლის საკითხი; რაც შეეხება კერძოს კოლას, საკითხი მის შესახებ მეორე ხარისხოვანია სახელმწიფოს თვალსაზრისით. ის გაირჩევა მაშასადამე მეორე რიგში.

რა არის მცნება „საქართველოს სახელმწიფო სკოლა“!

პირველიდ ყოვლისა ეს არის იმ პედაგოგიურ დაწესებულებათა სისტემა, რომელშიაც უმთავრესად საქართველოს მოქალაქეთა შვილები ღებულობენ განათლებას. უნდა თუ არა საქართველოს სახელმწიფო სკოლას სისტემა. ცხადია, რომ მას არ შეუძლია არ ექნეს სისტემა, რაკი სახელმწიფო არის მისი პატრონი.

სიტყვა „სისტემა“ უკვე გვეუბნება ჩვენ იმაზედ, რომ ყველა პედაგოგიური დაწესებულებანი ერთ მეორესთან შეუარდებულნი არიან, რომ ცვლილება რომელიმე დაწესებულებისა აუცილებლად იწვევს სხვა დაწესებულებათა ცვლილებასაც. მაშასადამე თუ სკოლა შეიცვალა, უნდა შეიცვალოს ყველა თავის ნაწილებში.

ჩვენ გავიგეთ რომ საქართველოს სახელმწიფო სკოლა ყოფილა სისტემა. ეხლა ჩვენ უნდა განვმარტოთ, რომ რა სისტემა ეს სისტემა,

როგორც ყოველივე სისტემას საქართველოს სახელმწიფო სკოლის სისტემისაც აქვს მიზანი და აქვს ან უნდა ქონდეს საშუალებები ამ მიზნის განსახორციელებლად. მიზანი საქართველოს სახელმწიფო სკოლის სისტემისა ჩვენ უნდა ვეძიოთ ეთიკაში. რაც შეეხება მის საშუალებებს, ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება მთელი სასკოლო ორგანიზაცია და მისი შინაარსი: საქართველოს სახელმწიფო სკოლა აღწევს თავის მიზანს თავის ორგანიზაციის, ან თავის შინაარსის საშუალებით.

რა მიზანი აქვს საქართველოს სახელმწიფო სკოლას? რა თქმა უნდა ის მიზანი, რომ შეიტანოს ქართველ ერში განათლება. მაგრამ განათლებაცაა და განათლებაც. ამისათვის იბადება საკითხი, რა განათლება უნდა შეიტანოს საქართველოს სახელმწიფო სკოლამ ქართველ ერში. ეს საკითხი ირკვევა იმ მოსაზრების განხილვიდან, რომელსაც ემსახურება სახელმწიფო ხალხში განათლების შეტანის დროს: მთავარი მიზანია — დაკავიყოფილოს ხალხის მოთხოვნილება და შეუწყოს ხელი მის წინსვლის. ამნაირად სახელმწიფო სკოლის მიზნის გამოსარკვევად ჩვენ გვიხდება ქართველი ერის იდეალური მისწრაფების შესწავლა, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ქართული ეროვნული ფსიქიკის შინაარსისაგან და მის გარშემო არსებულ ბუნებრივ და საზოგადოებრივ პირობებისაგან. აქ იშლება ჩვენ თვალ წინ მთელი ზღვა სხვა და სხვა შესაძლებლობისა, რომელშიაც ჩვენ შორს არ უნდა შევပურდეთ. გავჩერდეთ მხოლოდ კიდეზედ და აქედან გამოვსძებნოთ უახლოესი მიზნები, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს საქართველოს სახელმწიფო სკოლა.

რა არის საქართველო? ბუნებრივად უხვად დაჯილდოვებული ქვეყანა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ იყენებდა დღემდის თავის სიმდიდრეს საკმაო ინტენსივობით. მაშ, ქართველი ერის დანიშნულება უკეთესად შეეგულს თავის გარშემო არსებულ ბუნებას და გამოიყენოს მისი ძალები. ეს არის ღერძი ჩვენი ისტორიული ევოლუციისა. ამისათვის საჭირო ყოფილა პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც საქართველომ მოიპოვა. ამისათვის საჭიროა დემოკრატიული წესწყობილება, რომელიც საქართველოს ოფიციალურად უკვე აქვს. ამისათვის საჭიროა უცხო ერებთან ისეთი დამოკიდებულების დამყარება, რომ ისინი არ უშლიდენ, არამედ ხელს უწყობდენ ქართველებს მისი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებაში. ამ ფაქტთა შორის, რომელიც ჩვენ აქ დავასახელეთ, ღირს შესანიშნავია საქართველოს სახელმწიფო სკოლის სტრუქტურის გამოსარკვევად ის,

რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა. დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს ისეთი წესწყობილებაა, სადაც ხალხი მართავს თავის თავის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა საშუალებით. რომ მართვა-გამგეობა იყოს მიზანშეწონილი, საჭიროა რომ მმართველს ესმოდეს რამე მართვა-გამგეობაში. თუ მმართველი ყრუ და გაუნათლებელია, მის მართვა-გამგეობას მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია. რაკი საქართველოს მართვა-გამგეობა თვით ხალხის ხელშია დღეს ოფიციალურად ცხადია, რომ ეს ხალხი უნდა იყოს საკმაოდ მოშადებული თავის მართვა-გამგეობის მოსაწყობად. ვინაიდან სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა საქართველოს მოქალაქე ღებულობს მონაწილეობას, ცხადია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს საკმაოდ განვითარებული სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისათვის თვალ-ყურის საღვენებლად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყოველ მოქალაქეს აქვს საკმაო განათლება, რომ მას შეეძლოს გაზეთის წაკითხვა, მისი შინაარსის გაგება, არჩევნების დროს წესიერად ხმის მიცემა, მიტინგზე ან რომელიმე სხვა ყრილობაზედ თავის აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოთქმა და სხვა ამგვარი. ასეთი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო.

მაშინ ერთი მიზანი სკოლისა ყოფილია შეიტანოს ქართველ ხალხში იმდენი შევნება, რომ მას შეძლება ქონდეს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეს განათლება უნდა იქნეს საყველთაოდ სავალდებულო. რაკი ეს განათლება სავალდებული იქნება, ის უნდა იქნეს უფასო.

გარდა ამ მიზნისა (დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებისა) ჩვენს სახელმწიფოს, როგორც მოგახსენეთ აქვს სხვა მიზნებით: გააბას კავშირი უცხოელებთან, შეისწავლოს უკეთესად თავის გარემო, გამოიყენოს ეს გარემო თავის სასარგებლოდ რაც შეიძლება უკეთესად. ყველა ეს გულისხმობს უკვე მეტს ცოდნას, ვიდრე ეს საჭიროა დემოკრატიულ რესპუბლიკის ყოველივე მოქალაქისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. აქედან ცხადია, რომ გარდა საყველთაოდ სავალდებულო განათლებისა, საქართველოს სახელმწიფო სკოლას ჰქონია სახეში სხვა განათლებაც, რომელიც არ არის არც საყველთაო, არც სავალდებულო და დამოკიდებულია კერძო მოქალაქეთა კეთილ-სურვილისაგან.

ამნაირად ჩვენ მივიღეთ, ორი მიზანი საქართველოს სახელმწიფო სკოლის სისტემისა. სად, ან უკეთ რომ ვსთქვათ, საქართველოს სახელმწიფო სკოლის რომელ ნაწილში უნდა განხორციელდეს პირველი მისი მიზანი? სკოლის დანაწილება შეიძლება მისი კლასების მიხედვით. მაში საკითხი არის ამნაირი: სად, ან რომელ კლასებში შეუძლია სახელმწიფოს განახორციელოს სავალდებულო სწავლება, პირველ კლასებში თუ უკანასკნელებში: ცხადია, რომ პირველ კლასებში, ვინაიდან უკანასკნელ კლასების ვალდებულება ნიშნავს მთელი სკოლის ვალდებულებას, რაც არ შეადგენს სახელმწიფოს მიზანს. მაში პირველი ან დასაწყისი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო სკოლისა, უნდა იყოს სავალდებულო. ხოლო დანარჩენი ნაწილი ამავე სკოლისა არ უნდა იქნეს სავალდებულო.

დასაწყის სკოლას ეძახიან დაბალ სკოლას. მაში საქართველოს სახელმწიფოებრივი სკოლა უნდა შეიცავდეს ყველასათვის სავალდებულოს და ამასთან უფასო დაბალ სკოლას. გარდა ამ დაბალი სკოლისა არის სკოლა არა-სავალდებულო, სადაც სწავლება სწარმოებს ხალხის კეთილსურვილზედ.

მაში ჩვენ ვიცით ეხლა დახლოვებით რა არის დაბალი სკოლა. ეს ყოფილა პირველი საფეხური სახელმწიფოებრივი სკოლისა, რომელიც არის ყველასათვის სავალდებულო და უფასო. ეს განსაზღვრა დაბალი სკოლის ადგილისა საყოელთაო და სავალდებულო დაწყებითი განათლების სისტემაში უნდა კარგად დავიმახსოვროთ. ამაზე იმიტომ ვამბობ, რომ ბევრს და ხშირად ისეთ პირს, რომელსაც დიდი მოეთხოვება, არ აქვს სწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს დაბალი სკოლა. ზოგი იმას ფიქრობს, რომ შესაძლებელია დაბალი სკოლა არა სავალდებულო და არა უფასო, ფასიანი დაბალი სკოლა არის ხის რკინა, ბნელი სინათლე. ასეთი მცნების განხორციელება გონებაში მე არ ძალმის.

ვინც „არა-სავალდებულო დაბალ სკოლაზე“ ან „უასიან დაბალ სკოლაზე“ ლაპარაკობს, ის ან ეწინააღმდეგება შეგნებულად ერთიანი სკოლის იდეას, ან და გაუგებარ რამეზე ლაპარაკობს.

აგრეთვე შემცდარად მიმაჩნია მე დაბალი სკოლის კონცეპცია, რომელიც ეყრდნობა მის განსაზღვრაში ფსიქო-ფიზიოლოგიურ მოსაზრებებს. ფსიქოლოგიის და ფიზიოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით, ყოველივე ასეთი ცდა დაბალი სკოლის ფსიქოლოგიურ საფუძველზე განსაზღვრისა მულამ სათუო და სადავოც იქნება. როგორ შეგიძლიათ, ბა-

ტონო, თქვათ, რომ 10 წლის ბავშვის ფსიქიკა ერთნაირია, და 11 წლის ბავშვის ფსიქიკა მეორენაირი? ვინ გაზომა ეს ასე მკაფიოდ და გარკვეულად? ვის გინდათ რომ დაეყრდნოთ, როდესაც ასეთ აზრებს გამოსტვამთ: პირად თქვენს დაკვირვებას თუ სხვა ქვეყნების მეცნიერებს? საინტერესოა ვიცოდეთ ამ მეცნიერის სახელი.

პირიქით, მეცნიერება, თუ ფსიქოლოგიას მეცნიერება ეწოდება, სულ სხვას გვეუბნება. თანამედროვე ფსიქოლოგია იმას გვასწივლის, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება არის პროცესი და ყოვლად შეუძლებელია ამ პროცესის ნაწილ-ნაწილად დაყოფა და ერთი ნაწილის მეორისათვის დაპირისპირება. 11 წლის ბავში სულაც არ განირჩევა 12 წლის ბავში-საგან იმ ზომაზედ, რომ ეს განსხვავება დაუდვათ საფუძვლად ჩვენი სკოლის აღმენებას. ისიც რომ მივიღოთ, რომ 11 წლის ბავშს ჩვეულებრივ აქვს დამახასიათებელი თვისებები, ეს ხომ საყოველთაო არ იქნება. ბევრს მხოლოდ მეთორმეტე ან მეტამეტე წელში ელვიძება ის თვისებები, რომელიც ჩვეულებრივ მეთორმეტე წელზე ემჩნევა ბავშებს; ბევრს კი პირიქით, უფრო ადრე, ვიდრე 11 წელი, ემჩნევა იგივე თვისებები.

მაშინ ფსიქოლოგიზე დაყრდნობა დაბალი სკოლის შესახებ მსჯელობის დროს სათუთ და მიუღებელიც არის: სათუთა იმდენად; რამდენად ფსიქოლოგიური დაკვირვება საზოგადოდ, არ იძლევა სანდო შედეგებს, რომლების ჩამოსხმა შეიძლებოდეს კანონის ფორმაში; მიუღებელია, რადგანაც ფაქტებიც და თეორიებიც სრულიად უარყოფენ იმ დებულებას, რომელზედაც ვეყრდნობით ჩვენ დაბალი სკოლის საერთო სასკოლო სისტემიდან გამოყოფვის. და მის განსაზღვრის საკითხს.

საზოგადოთ ფსიქოლოგიზმის და გადაჭარბებული ინდივიდუალიზმის გავლენამ, რომელსაც პედაგოგიურ ანარქიზმამდის მივყევართ, მე უფიქრობ, უკვე განვლოთ. თვით ამერიკაში და გერმანიაში, ე. ი. თანამედროვე ფსიქოლოგის უმთავრეს ცენტრებში, ფსიქოლოგიურ დაკვირვებების შეფასება არ არის მაინც და მაინც მაღალი. ეს იქ, გერმანიაში და ამერიკაში, სადაც საუკეთესო ფსიქოლოგიური ინსტიტუტებია მოწყობილი, და სადაც საუკეთესო და გაწრთვნილნი მეცნიერნი აწარმოვებენ ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს. მაშინ რა გვეოქმის ჩვენ, საქართველოში მცხოვრებთ? არ ვიცით ჩვენ ჩვენი ბავშების განსაუთრებული ფსიქოლოგიური თვისებები, რომ ამ თვისებებზე წარმოდგენა დაუდვათ საფუძვლად ჩვენ სასკოლო ორგანიზაციის.

დაბალი სკოლის მცნების განსაზღვრული ჩვენ შეგვიძლია უმთავრესად ეთიკო-სოციოლოგიურ პრინციპებს დავეყრდნოთ: დაბალი სკოლა არის სკოლა საყოველთაო და სავალდებულო განათლებისა. აი აქედან უნდა გამოვდიოდეთ და არა ფსიქოლოგიდან.

ერთიანი სკოლის პირველი საფეხური, ეს საფეხური იწყება იქ, სადაც იწყება საზოგადოდ სახელმწიფო სკოლა, და თავდება იქ, სადაც სახელმწიფოს უკვე მეტი ძალა არ შესწევს მისი შენახვისათვის. (მაგრამ ამაზე დაწვრილებით სხვაგან). დაბალი სკოლის მთავარი მიზანია მიაწოდოს იმას, ვინც იქ სწავლობს, საკმაო განათლება სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა დაბალი სკოლისა საქართველოს სახელმწიფო სკოლა შეიცავს არა დაბალ სკოლის. ეს უკანასკნელი იწყება იქ, სადაც თავდება დაბალი სკოლა, ვინაიდან თვით იდეა განათლებისა, რომელიც გულისხმობს მის დემოკრატიზმს, გულისხმობს ამასთან ერთად დაბალი საფეხურის მჭიდრო კვეშირს მაღალ საფეხურთან.

მაღალ სკოლის შესახებ ითქმის მხოლოდ შემდეგი: ის არა-საფალ-დებულოა; მაშასადამე ის შეიძლება ფასიანიც იქნეს. ყოველ შემთხვევაში მისი უფასობა არ გამომდინარეობს მისი იდეიდან ჯერ-ჯერობით. თუ დაბალი სკოლა თავისს შინაარსის განსაზღვრას ეძებს საქართველოს სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში, არა-დაბალი სკოლა ეძებს თავის შინაარსის განსაზღვრულ მიზანს სხვა მოვლენებში: უმთავრესად ეკონომიკური სფეროდან. ეკონომიკურ ინტერესთა დიფფერენციალით, და აგრეთვე იმ საშუალებათა სხვა და სხვაობა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ეკონომიკური ინტერესების განხორციელებას, შეიძლება დაედვას საფუძვლად არა-დაბალ სკოლის დიფფერენციალაც (ბიუჯეტური კაციები).

დიფფერენციალი დაბალ სკოლამ არ იცის: ეს გამომდინარეობს მისი ბუნებიდან, რომელიც განისაზღვრება მისდამი სახელმწიფოსაგან მინიჭებულ დანიშნულებით. დაბალი სკოლა არის მთელს რესპუბლიკაში ერთი და იმავე ხასიათის. რა ხასიათის ამაზე შემდეგ, ხოლო არა-დაბალი სკოლა შეიძლება დაიყოს სხვა და სხვა მიზანთა მიხედვით, რომლებსაც ის შეიძლება ემსახურებოდეს სხვა და სხვა ფორმებად.

ამნაირად საქართველოს სახელმწიფოებრივი სკოლა გაიყო თანახმად იმ მიზნებისა, რომელსაც ეს სკოლა ემსახურება, ორ საფეხურად. გარდა ამისა გამოირკვა, რომ პირველი საფეხური განუყოფელია და მასთან ერ-

თად განურჩეველი. გამოირკვა რომ ის არის სავალდებულო. გამოირკვა რომ საკითხი ამ დაბალი სკოლის ხანგრძლივობის შესახებ დამოკიდებულია ერთის მხრივ იმ მიზნიდან, რომელსაც ემსახურება ეს სკოლა, მეორეს მხრივ იმ საშუალებებიდან, უმთავრესად, მატერიალური საშუალებებიდან, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს თავის მიზნის მისაღწევად. აგრეთვე გამოირკვა, რომ მეორე საფეხური იწყება იქ, სადაც თავდება პირველი საფეხური. (საფეხურების თანდათანობითი დამოკიდებულებაში მოყვანა ერთიანი სკოლის პრინციპის თანახმად). და თავდება იქ, სადაც თავდება საზოგადო მთელი სახელმწიფო სკოლის სისტემა.

მაშინ ჩვენ დაგვტანა იმის გამორკვევა, სად იწყება სახელმწიფო სკოლა და სად თავდება., ე. ი. რამდენი წლისა უნდა იყოს ბავშვი, როდესაც ის პირველად შედის სახელმწიფოებრივ სკოლაში და რამდენი წლის უნდა იყოს ის, როდესაც ათავებს სრულს კურსს სახელმწიფოებრივი სკოლისა. ეს საკითხი არის საზოგადო მთელი სკოლის ხანგრძლივობის საკითხი. წყდება ის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მოსაზრების შიხედვით. სწავლას ბავშვი უნდა იწყებდეს მაშინ, როდესაც ის უკვე საკმაოდ არის გავითარებული. შეასრულოს ელემენტარული სკოლის მოთხოვნილებანი, ე. ი. როდესაც მას ამისათვის საკმაოდ აქვს გავითარებული გარეგანი გრძნობის ორგანოები, გონიერება, მეხსიერება, გულისყრი. მეორე საკითხი, როდის უნდა გათავდეს სასკოლო სწავლება, წყდება სოციოლოგიური მოსაზრებებით. მაშინ სწყდება სწავლა, როდესაც ახალგაზრდა საკმაოდ განვითარებულია იმისათვის, რომ შეუერთდეს საზოგადოებას, როგორც თანასწორი წევრი, გამოეყოს თავის ოჯახს და შეიქმნეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული.

თუ ეს ორი საკითხი: სახელმწიფო სკოლის დაწყების და მისი დამთავრების დროს საკითხი გამოირკვევა; ჩვენ უკვე გვეცოდინება, სად იწყება დაბალი სკოლა; და რადგანაც ჩვენ ვიცით, სად თავდება დაბალი სკოლა, ჩვენ შეგვიძლია ორივე დებულება შევაერთოთ და მ-ვილებთ წარმოდგენას დაბალი სკოლის ხანგრძლივობის შესახებ. გარდა ამისა ჩვენ მივიღებთ აგრეთვე წარმოდგენას არა-დაბალი სკოლის ხანგრძლივობის შესახებაც.

მაშინ, საქართველოს სახელმწიფო სკოლის მიზნის იღებისაგან ჩვენ გამოვიყვანეთ. რომ საქართველოში საჭირო ყოფილა დაბალი სკოლა, რომლის დასაწყისი განისაზღვრება საზოგადო ფსიქო-ფიზიოლოგიური მოსა-



ზრებით: დაბალი სკოლა იწყება მაშინ, როდესაც ბავშვს შეუძლია სკოლაში მაცადინობა; დაბალი სკოლის ბოლო განისაზღვრება მისი ხანგრძლივობის იდეით; ეს უკანასკნელი კი დამოკიდებული ყოფილა იმაზე, თუ რა მიზანი აქვს დანიშნული დაბალ სკოლას და რა სახსარი აქვს სახელმწიფოს ამ მიზნის განსახორციელებლად. გარდა დაბალი სკოლისა საქართველოში საჭირო ყოფილა არა-დაბალი სახელმწიფოებრივი სკოლა, მცირებოთ დაკავშირებული დაბალთან და განსხვავებული ფორმებად დაყოფილი (ბიურუკაცია, ფაკულტეტები), რომლის ხანგრძლივობა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი სკოლის მთელს ხანგრძლივობას დაბალი სკოლის ხანგრძლივობის გამოკლებით.

როდესაც ჩვენ გავარკვევთ საქართველოს სახელმწიფო სკოლის მიზანს, ჩვენ უნდა შევუძღვეთ მისი შინაარსის ან მთელი მისი ორგანიზაციის განსაზღვრას, რადგან უკვე ზევით ითქვა, რომ საქართველოს სახელმწიფო სკოლის ბუნება განისაზღვრება მისი მიზნით და საშუალებებით ამ მიზნის მისაღწევად.

რას შეიცავს მცნება საქართველოს სახელმწიფოებრივი სკოლის ორგანიზაციაზე? უპირველესად ყოვლისა პროგრამმას, რომელიც უნდა სრულდებოდეს სკოლაში. 1. როგორი უნდა იქნეს დაბალი სკოლის პროგრამმა ზოგადად მოხაზული. 2. როგორი უნდა იქნეს არა-დაბალი სკოლის პროგრამმა ზოგადად მოხაზული? თითოეული ამ საკითხთაგანი დამოკიდებულია სკოლის მიზნის მცნებისაგან: სასკოლო პროგრამმა ისეთია, როგორიც არის სკოლის მიზანი. ამნაირად საკითხი პროგრამმების შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხილული იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი სკოლის მიზანი. უკანასკნელი არის priusquam პროგრამმისა.

გარდა ამისა თითოეული ამ საკითხთაგანი თავის მხრივ იშლება მრავალ წვრილმან საკითხებად, 1. რა საგნებს უნდა სწავლობდენ სკოლაში: დაბალში და არა-დაბალში, 2. რა ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს თითოეული საგანი მთელს სასწავლებელში.

გარდა სასკოლო პროგრამმის საკითხისა, სკოლის ორგანიზაციის საკითხი შეიცავს საკითხს, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს ეს პროგრამმა, ე. ი. შეიცავს საკითხს სასკოლო პროგრამმის განაწილების და აგრეთვე საკითხს სასკოლო მეთოდების შესახებ. როგორც სასკოლო პროგრამმის განაწილება, ისე სასკოლო მეთოდები გულისხმობენ სკოლის მიზანს, რო-

გორც მთავარს გამოსავალ დებულებას მათი გადაწყვეტის დროს. მაშაა-
 დამე, უსათუოდ უნდა ვლებულობდეთ მხედველობაში საზოგადო მიზანს
 სკოლისას. თუ, მაგალითად, დაბალი სკოლის მიზანი ერთია, არა-დაბა-
 ლი სკოლის მიზანი კი მეორე, ცხადია, რომ მეთოდებიც, რომლებითაც
 შეიძლება ამ სკოლებში ხელმძღვანელობა იქნება სხვა და სხვანაირი. ამ
 მეთოდების განსაზღვრა ზემოაღნიშნული თვალსაზრისით შეადგენს მაშა-
 სადამე, ერთ-ერთს გამოსარკვევ საკითხს.

პროგრამმის განაწილების საკითხი ძლიერ ძნელია. თითოეული საგ-
 ნის სწავლება დაკავშირებულია სხვა სასკოლო საგნის სწავლებასთან. ეს
 გარემოება სასწავლო პროგრამის განაწილების საკითხს ართულებს. ამ სირ-
 თულით გამოწვეული სიძნელის ასაკილებლად საჭიროა საკითხი თითო-
 ეულ საგნის პროგრამის განაწილების შესახებ განხილულ იქნეს ორჯერ:
 ერთხელ პროგრამა დანაწილებული იქნება თავის შინაგანი შინაარსის
 მიხედვით. მას შეასრულებს თითოეული საგნის საგნობრივი კომისია. უკვე
 განხილული საგნობრივი კომისიის მიერ და დანაწილებული პრო-
 გრამმა უნდა შედარებულ იქნეს სხვა საგნების ასეთივე დანაწილებასთან. ეს
 უნდა მოხდეს კომისიების საერთო სხდომაზედ, სადაც პროგრამები
 ერთ-მეორესთან შეფარდებულ უნდა იქნეს მათი ნაწილების გადაწევ-გა-
 დმოწევით, რათა კლასის მთელ კურსს მიეცეს მთლიანობა. უხერხელია,
 მაგალითად ორს რომელიმე მონათესავე საგნებზე სხვა და სხვა მასწავ-
 ლებლები სხვა და სხვა დროს ასწავლიდენ. უმჯობესია კურსის კონცენ-
 ტრაცია, რაც უნდა შეადგენდეს პროგრამის დამნაწილებელთა საზრუნავ
 საგანს. საკოლო კურსის კონცენტრაციის საჭიროება გამოწვეული არის
 ერთი მხრით პროგრამმის შინაარსით. ფიზიკოსისათვის სულ ერთი არ
 არის, როდის ასწავლის ქიმიკოსი თავის საგნის სხვადასხვა ნაწილს, ის-
 ტორიკოსისათვის სულ ერთი არ არის, როგორ ანაწილებს გეოგრაფიისი
 თავის საგნის პროგრამას. კინაიდან სხვა და სხვა საგანთა შორის არის
 ურთიერთი ობიექტიური კავშირი, ეს კავშირი გავლენას უნდა ახდენდეს
 თითოეულ საგნის პროგრამების განაწილებაზედ.

გარდა ამისა არის მეორე მხარეც, რომელიც მოითხოვს სხვა და სხვა
 საგნების პროგრამების ურთიერთ შორის შეფარდებას: ეს არის მოწაფის
 ფსიქია, რომელიც უკეთესად ითვისებს სასწავლო მასალას, თუ საგნე-
 ბის შესწავლის დროს მისი ყურადღება არ არის გაბნეული და არ არის
 იძულებული ერთი ობიექტიდან მეორე, სრულიად განსხვავებულ, ობი-

ექტზე გადახტეს. სკოლა ცდილობს მოწაფის ყურადღების კონცენტრაციაზე.

ამ ფსიქოლოგიური შენიშვნით ჩვენ უკვე გადავდივართ მეთოდების სფეროში. სკოლის მეთოდები ჩვენ აქ გვესმის ძლიერ ფართეთ, როგორც საშუალება იმისა, რომ მოწაფეებმა შეითვისონ ის, რის შეთვისება განზრახული აქვს სკოლას. მაშასადამე ამ მეთოდების საკითხის ქვეშ, როგორც მოხსენებული იყო, იგულისხმება მასწავლებლები. საკითხი მასწავლებლების შესახებ შეადგენს ერთ-ერთ ძირითად საკითხს სკოლის შესახებ. თავის მხრივ ეს საკითხი იშლება მრავალ უფრო წვრილ საკითხებად: მასწავლებელთა განათლება, მათი უფლებრივი მდგომარეობა, მათი მატერიალური ჯილდო შრომისათვის და სხვა. თითოეული ამ საკითხთაგანი მისი დაახლოვებით განხილვის დროს გამოყოფს სხვა საკითხებს: მასწავლებელთა მოსამადებელი სკოლების საკითხს, მასწავლებელთა ჯამაგირის საკითხს, მასწავლებელთა პენსიის საკითხს, მასწავლებელთა ორგანიზაციების საკითხს და სხვა ამგვარს.

გარდა მასწავლებლის საკითხისა, სკოლის მეროდების საკითხი გულისხმობს სწავლების პროცესის შეფარდებას მოწაფეთა ფსიქიურ თვისებებთან. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ამ მხრივ ის, რომ სწავლების ექსტენსივობა არ უნდა აჭარბებდებს მოწაფეთა ძალის ექსტენსივობას, ვინაიდან ასეთ შეუფერებლობას შედევგად მოსდევს მოწაფეთა ფიზიკური და ფსიქიური დაკინება და არა მათი გავითარება. სწავლების ნარმალური ექსტენსიულის განსაზღვრისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ ცნობილ ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების და კერძოდ ჰედაგოგების გამოკვლევებს იმის შესახებ, თუ; ა. რამდენი ხნის მუშაობა შეუძლია მოწაფეს მთელს წელში და ბ. რამდენი ხნის მუშაობა შეუძლია მას თითოეულ დღეში. შეუძლებელია, როგორც ვიცით, რომ სკოლა განუწყვეტლივ მოქმედობდეს მთელი წლის განმავლობაში. ეს შეგნებულია უკვე ტრადიციითაც და, ჩვეულებრივ, ყველა ქვეყნების სკოლებში შემოლებულია არდაგებები და შიგ სამაცადინო დღეთა შუა ჩართული უქმე დღეები. მაშ საქართველოს სკოლის რეორგანიზაციისათვის უნდა გამოირკვეს არდაგების და სხვა უქმე დღეების რიცხვი. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ მთელი წლის დღეთა რიცხვს ჩვენ მივიღებთ სამაცადინო დღეთა რიცხვს.

გარდა პედაგოგიურ ხასიათის მოსაზრებისა, სამაცადინო და არა სამართლის დღეების საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელობა აქვს სხვაგვარ

ხასიათის მოსაზრებებსაც: ეროვნულ ზნეჩვეულების, სარწმუნოების და აგრეთვე სასკოლო ტრადიციისაც, რომელსაც, შეიძლება, არ გააჩნდეს არავითარი ობიექტივური საფუძველი, მაგრამ მაინც მის წინააღმდეგაც არაფური ლაპარაკობდეს. ასეთ შემთხვევაში ტრადიციის უარყოფა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ძველი უნდა შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აშკარად უვარებისა.

სამაცადინო დღეების გამორკვევით, საკითხი სწავლების ექსტენსივობის შესახებ არ არის მთლიად გადაწყვეტილი. თითოეულ დღეს შეიძლება მიეცეს სულ სხვა და სხვა გვარი ექსტენსივობა. ყოველ შემთხვევაში მთელი დღე სკოლაში მაცადინობა შეუძლებელია, რადგანაც მაცადინობა ღლის და მოითხოვს დასვენებას, დაკარგული ძალების აღსადგენად. მაშ თითოეული დღის ექსტენსივობის საკითხი არის საკითხი მაცადინობის და დასვენების დროს ურთიერთობის შესახებ. თუ ჩვენ გავარკვიეთ ერთი რომელიმე ამ საკითხთაგანი, მაშინ გარკვეული იქნება მეორეც. ცხადია რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ მაცადინობის დროს განსაზღვრიდან, რადგან დასვენების მცნება ძლიერ ბუნდოვანია და ამის გამო ჩვენ ხშირად გვეჩვენება, რომ დასვენება შეიძლება მთელი დღე, თუმც ეს არ არის მართალი; ის რაც ჩვენ გარედან დასვენებად გვეჩვენება, არის ხშირად ინტენსიური მუშაობა.

მაშ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სასკოლო სამაცადინო დრო თითოეულ დღეში, ე. ი. უნდა გავანაწილოთ სასწავლო დღე.

რამდენი საათი დღეში უნდა იმაცადინოს ბავშვმა სკოლაში? ეს საკითხი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი საათის მაცადინობა შეუძლია მას საზოგადოდ.

ცხადია, რომ საყოველთაოდ ამ საკითხის ერთნაირად გადაწყვეტა შეუძლებელია. ჯერ თვით მცნება „მაცადინობისა“ ცვალებადი რამ არის. არის მაცადინობა, რომელიც ძლიერ ღლის, არის მაცადინობა, რომელიც სრულიად არ ღლის. ის მაცადინობა, რომელიც არ ღლის ან უკეთ რომ ესთქვათ ნაკლებად ღლის, შეიძლება მეტს გრძელდებოდეს, ვიდრე მეორეგვარი მაცადინობა, რომელიც მეტად ღლის. დაღლილობა არის სუბიექტიური და ობიექტიური; სუბიექტიური დაღლილობა გამოიხატება დაღლილობის გრძნობაში: ადამიანი უშესალოდ გრძნობს, რომ ის დაღლილია, რომ მას მეტი მუშაობა არ შეუძლია და სკლილობს შეწყვიტოს მუშაობა. ობიექტიური დაღლილობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ორ-



განიზმის ერთგვარი მდგომარეობა. დახლოვებით ეს მდგომარეობა მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზმი ვერ ასწრებს დახარჯული ენერგიის აღდგენას. ობიექტიური და სუბიექტიური დაღლილობა ურთიერთ შორის დაკავშირებულნი არიან: ობიექტიური დაღლილობა იწვევს სუბიექტიური გრძნობას დაღლილობისას. მაგრამ ეს კავშირი არ არის მუდამ ერთი სახის. მოხდება ისიც, რომ ობიექტიურად ორგანიზმი არ არის დაღლილი, მაგრამ ადამიანი მაინც გრძნობს დაღლილობას. არის მეორე შემთხვევაც: ადამიანი ობიექტიურად დაღლილია, მაგრამ ის არ გრძნობს ამას და განაგრძობს მუშაობას, თუმცა იმ უკანასკნელს ცოტა ნაყოფი მოაქვს.

ეს მოკლე განმარტება დაღლილობის შესახებ გვიჩვენებს, რომ როდესაც ჩვენ „მაცადინობის“ დროზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა სახეში გვქონდეს ობიექტიური და არა სუბიექტიური დაღლილობა.

გარდა ამისა, მაცადინობის დროს ობიექტიური განსაზღვრა ძნელია ყველასათვის ერთნაირად, რადგან სხვა და სხვა ორგანიზმი სხვა და სხვა გვარად იღლება. ერთს ერთნაირად შეუძლია მუშაობა, მეორეს მეორენაირად. ამ სხვა და სხვაობაში ირკვევა რამოდენიმე ტიპი ორგანიზმისა.

შემდეგ, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ რასიული თვისებას დიდი გავლენა აქვს მაცადინობის უნარზე: ჩინელს მეტს მაცადინობა შეუძლია, ვიდრე მაღაიელს, გერმანელს მეტი ვიდრე შავი ზღვის პირზე მცხოვრებს და მაღარით ავადმყოფ ქართველს. ეს დამოკიდებულია ფიზიკური, ორგანიზაციის სიმაგრისაგან.

მაშ ჩვენ ვხედავთ, რომ მაცადინობის დროს საკითხი ყველასათვის ერთნაირად ვერ გადაწყდება. უშუალო დაკვირვებამ თითოულ ბავშვზე უნდა გვიჩვენოს, რამდენი ხნის მაცადინობა შეუძლია მას.

მაგრამ მიუხედავთ ამისა, მაინც შეიძლება გამოირკვეს საშუალოდ, რამდენი საათის მუშაობა შეუძლია მოწაფეებს. ამ საშუალო სიღიღის გამოკვლევის დროს აღმოჩნდება, რომ მოწაფეთა ერთს ჯგუფს, რომლებიც საუკეთესოდ არიან ბუნებიდან დაჯილდოვებულნი, მეტი მუშაობა შეუძლია; მოწაფეთა მეორე ჯგუფს — კი ნაკლები.

ამნაირად ისახება ორი ნორმა მაცადინობისა: ერთი ბუნებისაგან საუკეთესოდ დაჯილდოვებულ ბავშვებისათვის, მეორე — უფრო სუსტ მოწაფეთათვის. ამასთან გამოირკვევა აგრეთვე ისიც, რომ მუშაობის უნარის მხრივ არიან ისეთნიც, რომელნიც იმ ზომაზედ დაქვეითებულნი არიან და

იმ ზომაზედ განირჩევიან სხვა თავის ამხანაგებიდან, რომ მათ არ შეუძლიათ ჩვეულებრივ სკოლაში მაცაღინობა. ასეთ მოწაფეოათვის შეიძლება დაარსდეს ცალკე სკოლა. აგრეთვე შესაძლებელია მეორე შემთხვევაც: რომელიმე მოწაფე იმ ზომაზე აჭარბებდეს ყველა თავის ამხანაგებს თავისი ბუნებრივი თვისებებით, რომ მისთვის საზარალო იქნეს სხვებთან მაცაღინობა: ასეთი შესაძლებლობა ბადებს საკითხს მათთვის განსაკუთრებული პირობების. შექმნის შესახებ (ან ცალკე სკოლა ან ჩვეულებრივ სკოლაში გარჩეული მოპყრობა).

ორი ნორმიდან, მაღალი დაბალიდან, რომელიც შეიძლება გამოირკვევს საუკეთესო და დანარჩენ მოწაფეთა მაცაღინობის უნარის გამოკვლევის დროს, დაბალმა სკოლაშ უნდა აიღოს სახელმძღვანელოდ დაბალი ნორმი. მაღალი სკოლისათვის კი ეს არ არის სავალდებულო: მას შეუძლია აიღოს მაღალი ნორმაც (ჰუმანიტარულ სკოლაში) და დაბალიც (პროფესიონალურ სკოლაში).

ასეთი გარჩევა ნორმის არჩევის დროს უსათუოა. ეს გამომდინარეობს დაბალი სკოლის ბუნებიდან. დაბალი სკოლა არის საყოველოთაო, ყველა-სათვის ერთნაირად სავალდებულო. მაშასადამე, ყველას უნდა ქონდეს შეძლება გაათავოს ეს სკოლა. სხვა შეძლებათა შორის იგულისხმება ბუნებრივი ნიჭიც. თუ დაბალი სკოლის მოთხოვნილება ისეთი იქნა, რომ მასში სწავლის დამთავრება შეეძლება შხოლოდ უფრო ნიჭიერებს, ნაკლებად ნიჭიერნი ვერ გაათავებენ მას და მაშასადამე ამით დარღვეულ იქნება პრინციპი საყოველოთაო განათლებისა,. რომელსაც ემსახურება დაბალი სკოლა.

გარდა ამისა, თუ ირკვევა, რომ რომელიმე მოწაფე არ არის იმ ზომაზე დაჯილდოვებული, რომ შეასრულოს დაბალი სკოლის ჩვეულებრივი მოთხოვნილება, მას მაინც უნდა მიენიჭოს მაქსიმუმი მისთვის მისაწვდომი განათლებისა. შეიძლება, ეს მოითხოვდეს სხვა პროგრამას და სხვა მეთოდებს, ჩვეულებრივი დაბალი სკოლის პროგრამიდან და მეთოდებიდან გარჩეულს; მაგრამ მაინც ეს მოთხოვნილება უნდა შესრულებულ იქნეს, ვინაიდან დასაწყისი განათლების ვალდებულობის პრინციპი გულისხმობს ამას. ეს გარემოება აიძულებს სახელმწიფოს, გარდა ნორმალური დაბალი სკოლისა, გახსნას დაბალი სკოლები არა-ნორმალურ ბავშთათვის.

რა და რაგვარ სკოლას გულისხმობს ეს მზრი, ამას არკვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა და რაგვარი არა-ნორმალობა შეიძლება დაეტყოს

ადამიანს სწავლის დაწყების ხანაში (სკოლები ბრძანათვის, სკოლები ყრუ-მუნჯთათვის, სკოლები ნერვიულ ბავშთათვის და სხვა). — თვით დაბალი სკოლის მეთოდზედაც, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, უნდა დაეტყოს ის რომ მისი კურსი სავალდებულოა. თუ მაგალითად ბავში არ არის არა-ნორმალური, მაგრამ ის მაინც ვერ უსწორდება თავის ამხანაგებს მა-ცადინობაში, მისთვის უნდა შეიქნეს თვით დაბალ სკოლის საზღვრებში შესაძლებლობა ამ სკოლის კურსის შეთვისებისა. ამ მიზნით დაბალ სკო-ლისათვის უაღრესად საჭიროა ინდივიდუალიზაცია (სუსტი მოწაფეების ცალკე ჯგუფად გამოყოფა, მეორე წელს იმავე კლასში დატოვება თუ ეს მეთოდი საზოგადოდ ჩისალებია, და სხვა ამგვარი).

რაც შეეხება არა-დაბალ სკოლას, აქ საქმე სულ სხვანაირად არის დაყენებული. არა-დაბალი სკოლა არ არის სავალდებულო. თუ სახელ-მწიფო მაინც ზრუნავს ამ სკოლაზე, ეს აიხსნება იმით, რომ სახელმწი-ფოს მზრუნველობის საგანს შეადგენს არა—მხოლოდ მინიმუმი, არამედ მაქსიმუმი განათლებისა. განათლების მინიმუმს ყველასათვის სავალდე-ბულოს სახელმწიფო აღწევს დაბალ სკოლაში, განათლების მაქსიმუმის მიღწევა. კი დასახული აქვს სხვა მიზანთა შორის არა-დაბალ სკოლას.

განათლების მაქსიმუმი ძალით არ შეიქნება, შეიძლება მხოლოდ ხე-ლის შეწყობა ამ მაქსიმუმისათვის. თვით მოწაფეთა ბუნება, მათი ნიჭი, მათი მიღრეკილება ქმნის ამ მაქსიმუმს. სახელმწიფო კი არჩევს, რა არის მაქსიმუმი და რა არ არის მაქსიმუმი, ვინ მიაღწია ამ მაქსიმუმს და ვინ არა. არა-დაბალი სკოლის ასეთი ბუნებისაგან დამოკიდებულია ის, რომ ჩვენ ორი სამაცადინო ნორმიდან, მაღალი და დაბალიდან, უნდა ავირ-ჩიოთ უმაღლესი.

სახელმწიფოებრივი დაბალი სკოლის იდეა მოითხოვს, რომ ის იყოს ყველასათვის მისაწვდომი. არა-დაბალი სახელმწიფოებრივი სკოლის იდეა არ მოითხოვს რომ ის იყოს ყველასათვის მისაწვდომი. პირიქით, არა-დაბალი სკოლა არის საშუალება საზოგადოებრივი არჩევის მოსახდენად. ასეთი იყო საზოგადოთ სკოლის მნიშვნელობა მუდამ, ვიდრე მეთვრამე-ტე საუკუნეები დაბალებულმა პოლიტიკური იდეებმა არ გამოჰყეს სკო-ლის მთელი მოცულობიდან დაბალი სკოლა და არ გახდეს ის სავალ-დებულოდ. ამნაირად მხოლოდ საშუალო და მაღალ სკოლაში შეინარ-ჩენა ძეგლი მნიშვნელობა.

ბალი სკოლის ასეთ გარჩევას დაბალ სკოლიდან, ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ იმას, რომ ამ გარჩევას სიფუძვლად დაედოს მოწაფეთა მშობლების მატერიალური სიმღიდრის ხარისხი, როგორც ეს ხდებოდა დღემდის. არა-დაბალი სკოლა დანიშნული იყო მხოლოდ საზოგადოების მაღალ წრეებისათვის.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ არა-დაბალი სკოლა არ უნდა იყოს ყველასათვის მისაწვდომი, ჩვენ აქ ვვულისხმობთ. შემდეგს: ის უნდა იყოს მისაწვდომი მხოლოდ იმათთვის, ვინც საუკეთესოდ არის ბუნებრივად დაჯილდოვებული. მართალია, ასეთი ბუნებრივი ოვისებების გარჩევა ძნელია სკოლაში. ბუნებრივი დეფექტი შეიძლება სულ სხვაგვარი ეჭვივალენტით ინაზღაურებდეს: მაგალითად, მოწაფე უნიჭოა ის ვერ ითვისებს ხეირიანად სასწავლო საგანს, მაგრამ სახლში დაბრუნებისას, მას რეპეტიტორი ხვდება, რომელიც დაქირავებულია მისი მდიდარი მშობლების მიერ, და ამ რეპეტიტორის საშუალებით ის უთანასწორდება კლასში მეორე მოწაფეს, რომელიც თავის თავიდ მაცადინობს სახლში და სხვათა შორის ცუდს და მაცადინობისათვის ხელშემშლელ პირობებში. ყველაფერი ეს ცხადია. მაგრამ ასეთი ფაქტები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ სკოლი-სათვის ძნელია ბუნებრივი ნიჭის გარჩევა უნიჭობისაგან. ჯერ ამას უშლის ხელს იმ სოციალურ პირობათა სხვა და სხვაობა, რომელშიაც იზრდებიან მოწაფეები. და ესეც რომ არ იყოს, გასათვალისწინებელია ოვით მასწავლებელთა დაკვირვების მნიშვნელობაც: განა ასე აღვილია ორ პიროვნებათაგან უფრო ნიჭიერის გარჩევა? სხვა და სხვაგვარი ფსიქოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც აწარმოებენ დღეს ფსიქოლოგიური ლაბორატორიებში ინდივიდუალური ფსიქოლოგის მკვლევარნი და აგრძელვე ამასთან დაკავშირებული სკოლის მოწაფეთა ინდივიდუალობის გამოკვლევანი ფრიად სათუთ შედეგებს იძლევიან: ამის მიზეზია ადამიანის ბუნების სირთულე, რომელიც ჩრდილაցს სხვა და სხვა ფსიქიურ თვისებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულობას და აგრეთვე მათი დამოკიდებულებას გარემოსთან. მაშ თუ ასე ძნელია ჯერ სპეციალისტისათვის მოწაფეთა ნიჭის გამოკვლევა, გაცილებით უფრო ძნელი არ იქნება ამ ნიჭის გამოკვლევა სკოლის მასწავლებლებისათვის, რომელნიც სრულიად არ არიან ამ საკითხში დახელოვნებულნი.

ს. დანელია.

(შემდგრ იქნება)

მეტად და ასალ შექრალთა და გამოჩენილ პედაგოგთა ასრი
 აღსრულის შესახებ.

პედაგოგიკა — ეს აღზრდის მეცნიერება, გვავალებს დავანახოთ ბავ-
 შვებს კეშმარიტი ცხოვრების გზა, დავაყენოთ ამ გზაზედ და აღზარდოთ
 მომავალი საქმიანი მოქალაქენი. აი ეს არის ნამდვილი აღზრდა.

აღზრდის მიზანი. ეს საკითხი იღლვებდა კაცობრიობას როგორც
 წარსულში, ისე აწყობიაც, როგორც წინათ, ისე ეხლა, შეხედულება
 აღზრდაზედ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. მალცევის აზრით,
 „აღზრდის მიზანი უძველეს დროს და შემდეგაც მჟიდროდ იყო დაკავში-
 რებული სახელმწიფოს კეთილდღეობის შემცნებასთან. მაგალითად, ეპ-
 ვიპტელების აღზრდის მიზანი გამოხატებოდა შრომის მოყვარეობაში და
 მორჩილებაში, სპარსელების ფიზიკურ ღონები და სამართლიანობაში, ათი-
 ნელების — ფიზიკურ და სულიერ ჯანსაღობაში, სპარტაკულების კი — ენერ-
 გის, მამაკანის, ვაჟა-ცურავის სულის განვითარებაში და მორჩილებაში“.
 ძველად, განათლებულ ხალხთა შორის ის აზრი ტრიალებდა, რომ ბავ-
 შვი უნდა აღიზარდოს სახელმწიფოს სამსახურისთვის და არა კაცობრიო-
 ბის კეთილ დღეობისათვის.

როდის უნდა იქნებოდეს აღზრდა? ბენეკებ სთქვა: „აღამიანის აღზრდა
 უნდა იწყებოდეს აკვნიდანვე, როცა ბავშვში პირველად ითვალისწილებს გონე-
 ბის ნაპერწყალი“. პედაგოგი ეპისკოპოზი ექსევი ბენეკეს სიტყვებს უმა-
 ტებს კიდევ შემდეგს: „აღამიანის აღზრდა თუ აკვნიდან დაიწყება უნდა
 გრძელდებოდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაღანაც ჩვენი ხან-
 მოკლე წუთი-სოფელი შომზადებაა შომავალი საუკუნო ცხოვრებისა“.

გამოჩენილი აღმზრდელი უუკოვსკი ეთანხმება ცველა ზემო მოყვა-
 ნილ აზრებს და დად მნიშვნელობას აძლევს სიპატარავიდანვე აღზრდას.
 იმის აზრით, „აღამიანი როგორიც აკვანშია, ისეოვე საფლავში იქნება“.
 და მართლაც სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერია, რომ მთელ
 სიცოცხლის განმავლობაში არ წარიშლებიან გონებიდან. დამომაც ყო-
 ველი ხალხი ბავშვის აღზრდას იწყებდა აღრიანად, „აკვნიდანვე“.

ეს არის ბავშვის აღმზრდება? თუ ჩაუკვირდებით დიდებულ პედაგო-
 გების უკვდავ თხუზულებებს, ნათლად დავინახოთ, რომ ბავშვის უმთავ-

რესი აღმზრდელი უპირველეს ყოვლისა არის დედა, შემდეგ მამა, მერე ყველა ის, რაც ბავშვის გარშემოა: ხალხი, წრე, მოწყობილობა და, ბოლოს სკოლა. ცხადია, რომ ბავშვის აღმზრდელები მარტო მშობლები და ოჯახი კი არ არის: უკვე პატარაობიდანვე ბავშვზედ დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს არამც თუ იმ პირთ, რომლებიც ბავშვს გარს ეხვევიან, არამედ ბუნებასაც, ოჯახის წევრების ხელობას და სამსახურს, ნაცნობებს და მეზობლებს, მოსამსახურებს, ამხანაგებს და თამაშობებს.

ძალიან ძნელია ბავშვის კარგი, ფაქიზი და ჭეშმარიტი აღმზრდა. არ უეგვიძლიან არ დავეთანხმოთ პედაგოგ—ისტორიკოს ლეტურნოს, რომელიც ამბობს: „თუ შენ იცი სხეულის გასამაგრებელი საშუალებანი, ნების სიმტკიცის გასავითარებელი, გულის გასაპატიოსნებელი, გონების გასამახვილებელი—მაშ შენ ნამდვილი აღმზრდელი ხარ!... ბედნიერნი არიან ის მშობლები, რომლებიც გრძნობენ თავიანთ დიად მოვალეობას ღმერთის, საზოგადოების და უთამომავლობის წინაშე და პატარაობიდანვე უნერგავენ ბავშვებს ყოველივე სიკეთეს და სიყვარულს კაცობრიობის უნერგავენ ბავშვებს ყოველივე სიკეთეს და სიყვარულს კაცობრიობის და თავის მოვალეობისადმი. ბედნიერნი არიან ისინი, თუ წინაღუდვებიან ცუდ თვისებების განვითარებას ბავშვში, რაღანაც უფრო აღვილია ამ ცუდი თვისების გამომწვევ მიზეზის თავიდან აშორება, ვიდრე შემდეგში მისი აღმოფხვრა.

დიდია საზოგადოების წინაშე იმ მშობელთა მოვალეობა რომლებიც ძალიან ნაკლებ ან სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ თავიანთ შეილების აღმზრდას პატარაობიდანვე. მათი მუდმივი არგუმენტი. „რომ ჩვენ სხვა ბევრ საქმეებით ვიყავით დატვირთულნი“, მათ არ ამართლებს. ბავშვების კეთილი და ნაყოფიერი აღმზრდა,— აი უმთავრესი მიზანი ჩვენის ცხოვრებისა. ეს მიზანი ყოველ შემთხვევაში ლუქმა პურის მოპოვების და მატერიალურ კეთილდღეობის მიზანზედ უფრო მაღლა უნდა იდგეს.

თვითონ მშობლები უნდა ადევნებლნენ თვალ-ყურს ბავშვებს. მშობლების თვალი ყველაზედ მართალი და ჭეშმარიტია. უტყუარია ანდაზა, რომ, შეიძ ძიძას ბავშვი კალი თვალით დაუბრმავდა“—ო. წამ-და-უწუმ გვესმის დედების წუწუნი: „ლეტურო, ნეტა ვის დაემსგავსე ბავშვი მაგისთანა გაუგონარი და კერპი... ძიძებიც მყავლნენ, გუვერნანტებიც, არც ვანებირებდით, მარგამ მაინც საშინელი ცელქი და კერპია“. ეს სიტყვები ძალიან დამახასიათებელია ზოგიერთა დედებისა. იყვნენ ძიძე-

ბიც, მაგრამ ისინი თავიანთებურად ზრდიდნენ ბავშვებს. დეტას, მართალია, უყვარდა თავისი შვილი, მაგრამ უცქეროდა ისე კი არა როგორც პატარა ადამიანს, რომლის აღზრდაზედ სერიოზულად უნდა ჩაფიქრებულიყო, არამედ ისე, როგორც ქვირფას სათამაშოს და თავის სიამაყეს. ნამდვილი აღზრდელი დედა იმუშავებს აღზრდის სისტემას, უკვირდება სხვა და სხვა მეცნიერების აზრს აღზრდაზედ და თავის დღეში არ ივიწყებს, რომ იმისი შვილი მომავალი მოქალაქე და საზოგადოებისთვის სასარგებლო მუშაკი უნდა იყოს. მაგრამ საუცედუროდ, ეს ყველა დედას არ ახსოვს, იმათ მიშვებული ჰყავთ ბავშვი თავის ნებაზედ ან ჩაუბარებიათ იმისთანა ძიძებისათვის, რომლებიც ძალიან გულგრილად უცქერიან ბავშვის ყოველ-გვარ მოქმედებას და ყოფა-ქცევას. „ბავშვი ოღონდ ნუ იტირებს და რათაც უნდა გაერთოს“, აი იმათი დევიზი.

გადავიდეთ ეხლა ერთ უმთავრეს საკითხზედ: საჭირისა მარტო შინაური აღზრდა თუ იგი სკოლის უმთავრეს მიზანსაც უნდა შეადგენდეს? ზოგიერთა გამოჩენილი მოაზროვნენი და პედაგოგები (კონდორსე, რუსსო, სპენსერი და ტოლსტოი) სრულიად უმრპყოფენ სკოლის ჩარევას აღზრდის საქმეში. მაგრამ კაცობრიობის აღზრდის ისტორია კი სულ სხვას გვიკარნახებს. საზოგადოთ მიღებულ წესის თანახმად წინადაც და ეხლაც, შვილი, რვა წლის ბავშვს მშობლები აძლევდნენ ან კერძო ან საზოგადოების | სკოლებში; მასწავლებლები უყურადღებოდ არა სტოკებდნენ ბავშვს და ყოველნაირად სცდილობდნენ მაღალი ზნეობრივი პიროვნება შეექმნათ ბავშვისაგან. არც შეიძლებოდა უყურადღებოდ დატოვება ბავშვის აღზრდის საკითხისა. ბავშვი სკოლაში მიღიოდა ცოტაოდენი ცოდნით აღჭურვილი, ამა თუ იმ ცუდ ან კარგ თვისებით, იმის მიხედვით, თუ რა პირობებში იზრდება-და იგი. ამის შესახებ პედაგოგი პროტ. პ. სმირნოვი ამბობს: „სულიერ მშვენიერ თვისებებთან ერთად ბავშვებს თან დაყოლილი აქვთ სიკერპე, ეგოზმი, თავის ნებობა, სიხარბე, სიშურე და ხანდახან უგულობაც კი“... რასაკვირველია, სკოლა კი არ უნდა ელოდეს, სანამ ყველა ეს ცუდი თვისება თავის თავად „ბუნებრივად აღმოითხვერება, პირიქით იგი უნდა სცდილობდეს, ბავშვისთვის სრულიად შეუმჩნევლად, ფრთხილად და გონივრულად მიჰმართოს მისი ყურადღება, გონება ყოველივე კეთილისა და ლამაზისაკენ. მხოლოდ რაც შეიძლება ფრთხილად, რათა ბავშვის სიცოცხლით სავსე ბუნებამ არ იგრძნოს ძალ-დატანება. ბავშვი თავის ნებაზედ არ უნდა მიიშოს. ბავშვის



თავისუფლად მიშვება, ეს ხომ ოცნებაა, უცხო რამ ფანტაზის ნაყოფი, სკოლის ცხოვრებისაგან ძალიან დაშორებული. წარმოიდგინეთ თქვენ სკოლა, ურიცხვი ბავშვებით და მათი აღმზრდელებით, რომლებიც არა-ვითარ ყურადღებას არ აქვევენ ბავშვების გადაჭარბებულ თავისუფალ ქცევას, ან უკეთ რომ ვსოდვათ „თავისუფალ წეს-რიგს“! (ტოლსტოის აზრია). თუ როგორი იქნება ამისთანა სკოლა, ამის წარმოდგენა შეუძლიან მხოლოდ ნამდვილ საქმეში ჩახედულ სახალხო მასწავლებელს! მხოლოდ მაშინ შეუძლიან მასწავლებელს არ ჩაერიოს ბავშვის ცხოვრებაში, როცა მშობლები მიიყვანენ სკოლაში ყოველის მხრივ აღზრდილ ბავშვს; თუ არა და ცუდის შეთვისება ბავშვს უფრო ეადვილება, ვიდრე კარგის... ცხადია, რომ მასწავლებლები ჩარევა ბავშვთა აღზრდის სფეროში საჭიროა და ბუნებრივიცაა. ეს ცნობილია დიდებულ და ნიჭიერ პე-დაგოგების და გამოჩენილ მწერალთა მიერ.

სფერო. სოკრატი დაიბადა საბერძნეთში 469 წ. ქრისტეს დაბა-დებამდინ. იგი იყო უძველეს დარიალი დიდებული ფილოსოფოსი. სიბრძნე მან თავის თავად შეიძინა, პედაგოგიკის ისტორიაში სოკრატის სახელთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ეგრედ წოდებული ევრისტიული ანუ სოკრატიული ფორმა სწავლებისა. სოკრატი ჰემობდა აზრთა მონოლო-გიურ გაღმოცემას, იგი თვითონ კითხვა-პასუხის ფორმით ამეცადინებდა მიწაფებს და ემყარებოდა არა საზოგადო დებულებებს და წესებს, არა მედ კერძო მაგალითებს და შემთხვევებს; მხოლოდ მაშინ მივიდოდა ხო-ლმე საზოგადო დებულებების დასკვნამდინ. იგი დიდ ანგარიშს უწევდა თავის მშენელების შეგნებას და ამის მიხედვით, თავის აზრების დასამ-ტკიცებლად მაგალითებსაც მშენელების გარემო ცხოვრებიდან იღებდა. მას სწამდა ღმერთი, რომელიც იხატებოდა ადამიანის გონებაში, სწამდა აგ-რეთვე სულის უკვდავება. იმისი აზრით, ბედნიერება და კეთილდღეობა გამოიხატებოდა სიკეთესთან და ჭრებისარიტებასთან დაკავშირებულ ცხოვ-რებაში და ზნეობრივ გაუმჯობესებაში.

შლატონი -- იყო სოკრატის მოწაფე; დაიბადა 427 წ. ქრისტეს დაბა-დებამდინ. პლატონის აზრით, მოქალაქეთა აღზრდაზედ უმთავრესი ზრუნვა აწევს მთავრობას და სახელმწიფოს. ეს არის პირველი და უდიდესი მო-ვალეობა ყოველ მთავრობისა, რაღაც სწორე აღზრდაზეა დამოკიდე-

ბული სახელმწიფოს და მოქალაქეთა აღორძინება. აღზრდა უნდა იყოს საზოგადოებრივი. დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდაში ზე-ჩეულებებს. აღზრდის უპირველეს მიზნათ იგრ სთვლიდა ზნეობის განვითარებას და დიდი დანაშაული იყო აღმზრდელისათვის თუ იგი თავის მოწაფის აზ-როვნებას ააცდენდა სწორ გზას. პლატონის აზრით, ბავშვის აღზრდა დაბადების დღიდანვე უნდა დაიწყოს. პირველ წლებში დიდი უურად-ლება უნდა მიექცეს ფიზიკურ აღზრდას. ბავშვის განებივრება ან მათთან დიდი სიმკაცრე ყოვლად შეუძლებელია. უნდა ვეცადოთ არ დავახშოთ ბავშვები სიმხიარულე და სულიერი სინაზე. ვ დან 6 წლამდინ ბავშვები მთელ დროს უნდა ატარებდნენ თავიანთვე შეირ მოგონებულ თამაშო-ბებში. ამ თამაშობების შემწეობით შეიძლება შევძინოთ ბავშვებს ცო-ტაოდენი ცოდნა, ამასთანავე ვიმოქმედოთ კიდეც მის ხასიათზე. კარგი შერჩეული სიმღერები და ზღაპრები ხელს უწყობენ ბავშვებს მხატვრულ განვითარებას. ცალმხრიული განათლება მავნებელია. უნდა პარმონიუ-ლად განვითარდეს ადამიანის ბუნების ყოველი მხარე. განათლების უმ-თავრესი ღირსება ბევრ ცოდნაში კი არ არის, არამედ ამ ცოდნათა სიმ-ტკიცებში, სისტემა და სისწორეში. რაც შეეხება მასწავლებლის გავლე-ნას თავის მოწაფებზედ, იგი შიშხედ კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტზედ.

არისტოტელი — პლატონის მოწაფეა — დაიბადა 384 წ. ქრისტეს და-ბადებამდინ. იგი ძევლი დროის დიდებული მეცნიერი იყო. როგორც პლატონი, ისე არისტოტელი მოქალაქეთა აღზრდას სთვლიდა მთავრო-ბის უმთავრეს ზრუნვად. „თუ ადამიანს აღზრდა არ ექნა, იგი ვერ იქ-ნება კარგი მოქალაქე“, — ამბობდა არისტოტელი. აღზრდა პატარაობი-დანვეა საჭირო, რადგანაც ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭიროა გარ-კვეული ცოდნა და ჩევეულებანი. ცველაზედ შეტად უნდა ვიზრუნოთ ჯანსაღობაზედ, ვიდრე გონებაზედ, ზნეობრივ ხასიათზედ ვიდრე გონებრივ განვითარებაზედ“. აღზრდა, არისტოტელის აზრით, უნდა ძიებოს საზოგადოე-ბრივი, გვერდის ახვევა არავის შეუძლიან. სწავლებასთან ერთად, უნდა აღვ-ზარდოთ კიდეც; აღზრდა წინ უნდა უძლოდეს მეცადინეობას. როცა მოწაფის სული კარგ თვისებებს მაღლ შეითვისებს, მაშინ ზნეობრივი წესები მას აკე-თილ შობილებენ. რადგანაც ბავშვები ძალიან ადგილად ითვისებენ ყოველივე ავს, ამიტომ მათ გზიდან უნდა ჩამოვაშოროთ ყველა ის, რაც მათთვის ცუდი



მაგალითი იქნება. მუსიკის და გიმნასტიკის გარდა, არისტოტელი ღიღდინიშვნელობას აძლევდა გრამატიკის სწავლებას. ქალები და ვაჟები ერთ-ნაირად არ უნდა იზრდებოდნენ, რადგანაც თვით ბუნებითაც და დანიშნულებითაც ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან.

ციცერონი სცხოვრობდა 1 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდინ ქალაქ ალმში. იგი მოქალაქეთა აღზრდას სთვლიდა სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობად. აღვზარდოთ — ეს ნიშნავს აღამიანის ბუნებრივ ნიჭის განვითარებას. ციცერონი გვირჩევს, სულ პატარაობიდანვე განვავითაროთ და განვამაგროდ ბავშვში მიღრეკულება სიკეთისადმი და მოვსპოთ ყოველივე სიავე, შეტაღრე მისი მიღრეკილება ყოველნაირ სიამოვნებისაკენ; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძალიან ნაყოფიერია, შევაჩიოთ ბავშვები შრომას. აღმზრდელები და მშობლები უნდა ცდილობდნენ გრძნობით სიამოვნებას. ძალიან ჩამოაშორონ ბავშვები და შეაჩიონ უხერხულ ცხოვრებას, მოთმინებას, ყაჩალობას და მოქმედებას. რადგანაც რელიგიოზური აღზრდა საუკეთესო ფარია და დამცველი სახელმწიფოს სიმაგრისათვის და მოქალაქეთა ზნეობისათვის, ამიტომაც ურჩევს ყველა აღმზრდელს ციცერონი მიაქციონ ამას დიდი ყურადღება, მხოლოდ, რასაკვირველია ანგარიში უნდა გაუწიონ იმ პირთ, რომლებიც ბავშვს გარს ახვევიან. ამასთანავე ციცერონი დაუინებით მოითხოვს ბავშვთან ალერსიან, მაგრამ სამართლიან მოქცევას. დისკიპლინა საშუალო უნდა იყოს, დასჯა კი არ უნდა იყოს დამამცირებელი; კი არ უნდა დაგსაჯოთ, არამედ უნდა მოვარჯულოთ დამნაშავე, უნდა შევანანიოთ მას თავისი ცუდი საქციელი; დასჯას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყოველი ღონის ძიება ჰკარგავს ძალას. მეცადინეობის ღროს ანგარიში უნდა გაუწიოთ ბავშვის ბუნებრივ მიმართულებას. რაც შეეხება ბუნებრივ განვითარების საშუალებებს, ციცერონი საუკეთესო საშუალებათ სთვლის მექანიზმების განვითარებას. რისთვისაც საჭიროა საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა ზეპირათ დასწავლა. მჭერ მეტყველის აღსაზრეოლად კი ციცერონი გვირჩევს პატარიობიდანვე განვითაროთ ცოცხალი აზროვნობა, ძლიერი მეხსიერება და ღრმა ჰქეუა. ამისთვის საჭიროა: საგნების აღწერა, აზრის წერით გადმოცემა და ლამაზი წინადაღების ან მათი ღაბარაკის დახსომება.

კვინტილიანი — გამოჩენილი რომაელი მჭერ მეტყველი და პედაგოგი



დაიბადა 42 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ. ციცერონივით, ისიც პატარაობიდანვე გვირჩევს ბავშვის აღზრდას, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძიებს და გამდელებს, რომლებიც უნდა იყვნენ, ზეობრივ მაღალი თვისებების და კარგი მოლაპარაკენი. ბავშვის ამხანაგები ბოროტები და უზნეონი კი არ უნდა იყვნენ, არამედ ზღოლობიანი და კეთილნი.

აღზრდის და მეცადინეობის დროს, კვინტილიანი დაქინებით მოითხოვს ანგარიში გაეწიოს ბავშვის ინდივიდუალურ თვისებებს. „ზოგი მოწაფე საჭიროებს ამაღლებულ კილოს, სხვებისთვის სულ მეტია მბრძანებელი კილო; ზოგზედ შიში მოქმედებს, ზოგს კი შიში გამბედაობას ჰქმავებს; ზოგნი გამუდმებულ ყურადღებისაგან იქანცებიან, სხვები კი ეჩვევიან შრომაში სიმტკიცეს და სიმამაცეს“. ცემას კვინტილიანი უარ-ჰყოფს, რადგანაც ცემა კი არ ასწორებს ბავშვს, არამედ უკლავს მას მამაცობას და სირცხვილის გრძნობას. „ვინც სიტყვით ვერ გაასწორებს ბავშვს, ის ცემით ვერაფერს გახდება“, — ამბობს კვინტილიანი. მასწავლებელი ან აღმზრდელი მხოლოდ მაშინ იქონიებს გავლენას თავის მოწაფეზედ, როდესაც იგი მას მამობას გაუწევს და სრულათ მამურის გრძნობით მოეპყრობა. თავის შეკავება, სამართლიანობა, ბავშვებისაღმი სიყვარული, ყურადღებით მოსმენა ბავშვის ყოველ გვარი გაჭირვებისა — დიდ საქმეს გააკეთებს სკოლაში. „საზოგადოებრივი სწავლება, — ამბობს კვინტილიანი, — შინაურ სწავლებაზედ დაშორებით უფრო მაღლა სდგას: უბირველს ყოვლისა მოწაფე სწავლობს როგორც მასწავლებლისაგან, ისე ამხანაგებისაგან; შემდეგ, — როცა მასწავლებელი ერთ-ერთ ბავშვს არიგებს, ეს სხვებისთვის უმნიშვნელოდ არა რჩება, და ბოლოს, — ბავშვები პატარაობიდანვე ეჩვევიან საზოგადოებრივ ცხოვრებას“. რაც შეეხება სკოლის და ოჯახის ერთმანეთთან დამოკიდებულებას, კვინტილიანი აუცილებელ საჭიროებად სთვლის, თუ ოჯახი და სკოლა ერთად, მჭიდროდ ხელი-ხელ ჩაკიდული ზრდიან ბავშვს. „მასწავლებელი, — ამბობს კვინტილიანი, — მარტო ბავშვის მეგობარი კი არ უნდა იყოს, არამედ მთელი მისი ოჯახის.

კ. ბ-ჯ-ძე.

(შემდეგი იქნება)

ჭიბულიობრივი.

თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1 ნაკვეთი. სიბრძნის
მეტყველების ფაკულტეტი“.

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)

ქართული მეცნიერული აზრი კვლავ ამოძრავდა... სანამ რუსეთი შემოიწრებოდა ჩვენში, აქ დვივოდა მეცნიერული კულტურის ცეცხლი. შეიძლება, ეს ცეცხლი არ იყო იმ ზომაზე დღიერი, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ მაინც ის საკმაოდ მაღალი იყო იმისათვის რომ გაენათებინა ქართველი კაცის გონება და გაეცა პასუხი იმ კითხვებისათვის, რომელსაც წამოაყენებდა ხოლმე წინ ქართველი კაცის გული.

განთავისუფლდა თუ არა ქართველი გარეშე ძალის მორჩილებისაგან, პირველად ყოვლისა მან მიაპყრო ყურადღება მეცნიერების კერას. მან დაარსა უნივერსიტეტი, რომლის დანიშნულებას შეადგენს შეიტანოს ქართველ ერში სული ჰეშმარიტების ძიებისა მეცნიერული გზით. უნივერსიტეტი არის ქართველი ერის ლოოლიკის მწროვნელი. ასეთი მწვრთნელი ჩვენ დიდი ხანია გვაკლდა: უსაფუძვლოდ არ ლაპარაკობენ ჩვენზედ უცხოელები, რომ ჩვენ უფრო დეკლარაციები გვიყვარს, ვიდრე ამ დეკლარაციების დასაბუთება. მტკიცება ჩვენთვის ჯერაც უცხო რამ არის. ჩვენ სილლოგიზმოს ნაკლების პატივის ცემით ვეკიდებით, ვიდრე რომელიმე რიტორიულ ფიგურას. ლამაზი უესტი, მელილური პოზა ხშირად ხიბლავს თანამედროვე ქართველს მეტის ძლიერებით, ვიდრე სადა და პრეტენზიებს მოკლებული ჰეშმარიტება.

ცხადია, რომ ჩვენთვის უაღრესად საჭიროა ლოლიკის სკოლა, რომელმაც უნდა ჩაგვინერგოს ღრმა სიყვარული უამბიციო ჰეშმარიტებისადმი. ასეთი სკოლა არის ახლად დაარსებული უნივერსიტეტი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ნიმუში მე მსუბუქ გავაცნო საზოგადოებას. ეს ნიმუშია საუნივერსიტეტო უურნალი „უნივერსიტეტის მოამბე“, რომელიც პირველი ნომერი ეხლახან გამოვიდა.

როდესაც გაეცნობით ამ უურნალში მოთავსებულ წერილებს, ამჩნევთ ერთ რასმე; თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრი ცდილობს განა-

ახლოს ჩვენი ქვეყნის ძველი მეცნიერული ტრადიციები და გააბას კავ-შირი მომავალი მეცნიერული მუშაობის და წარსულის შორის.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ქართული მეცნიერული აზრი ხდის თავის კვლევა-ძიების საგნად ქართული ენის სტრუქტურას, საქართველოს ისტორიას, საზოგადოთ საქართველოს. ესეც ახლი მოვლენაა. საქართველო ჯერ არ ყოფილა სისტემატიურად წარმოებული მეცნიერული კვლევის საგნად. ამის მიხევი იყო, უმთავრესად, ქართული მეცნიერული აზრის სისუსტე ან უკეთ რომ ვსოდვათ, მისი სრული უქონლობა წარსულში.

საზოგადოთ, თითოეული გავითარებული ერი თავის შინაარსის შესასწავლად თვითონ ქმნის საჭირო ძალებს. ინგლისი შესწავლილია უმთავრესად ინგლისელ მეცნიერთა საშუალებით, საფრანგეთი შესწავლილია ფრანგ მკვლევართა საშუალებით, გერმანია—გერმანელთა საშუალებით, ამნაირადვე საქართველოს შესწავლისათვის საჭიროა ქართველი მეცნიერები.

მართალია, ქართველი მეცნიერები უწინაც გვყავდა. მაგრამ ისინი გაფანტულნი იყვნენ რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში და ითქვიულებოდენ რუსთა უმრავლესობაში. ამნაირად, ქართული მეცნიერული აზრი, როგორც მთლიანი რამ, როგორც თავისი ინდივიდუალური სახის მატარებელი, XIX საუკ. არ არსებობდა. ვისდა უნდა ეკისრნა ასეთ პირობებში ჩვენი სინამდვილის მეცნიერული გამოკვლევა?

დღეს, ვხედავთ, პირობები შეცვლილა, და საქართველოს სინამდვილე გამხდარი ჩვენი მეცნიერების სისტემატიური კვლევა-ძიების საგნად.

მესამე მხარესაც უნდა მიექცეს არა ნაკლები ყურადღება: დღეს ქართული მეცნიერული აზრი ჩვენ გვევლინება დასავლეთ ევროპის მეცნიერთა მიერ გამომუშავებულ კვლევა-ძიების იარაღით აღჭურვილი. ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები სდგანან ევროპის მეცნიერულ მეთოდების საფუძველზედ. ეს ცხადდება თითოეული წერილის შინაარსისაგან. ბ. ნუცუბიძის წერილი შეიცავს ამ მოვლენის თეორიულ განმარტებასაც: როგორც დავინახავთ ქვევით, ბ. ნუცუბიძე იკვლევს თავის ნაშრომში შემცნების შენობას.

ამ რიგად, მიუხედავად იმისა, რომ უურნალში მოთავსებული წერილები სხვა და სხვა ავტორებს ეკუთვნიან, სხვა და სხვა ახლო მიზნებს ისახავენ თავისთვის, მათში ბევრი რამ არის საერთო: ყველა გვეუბნება



ქართული მეცნიერული აზროვნებაზე. თან და თან ეს თვისება, რომელ-საც ჯერ კიდევ გარეგნული ხასიათი აქვს, გალრმავდება და გართულ-დება. დადგება დრო, როდესაც ქართული მეცნიერება შეიქმნება ადექ-ვატური გამოხატულება ქართული ეროვნული სულისა.

2.

უურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. ა. ყიფშიძე — ასაი-მილაციისა და დისსიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. 2. შ. ნუ-ცუბიძე — ბუნებისათვის ცნებისა. 3. კ. კეკელიძე — ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქარველისა). 4. დ. უზნაძე — ლეიბნიცის *petites perceptions*-თა ადგილი ფსიქოლოგიაში. 5. ა. შანიძე — ნახახელარი ზნები ქართულში. 6. ს. ავალიანი — ხიზანი. 7. ე. თაყაიშვილი — შენიშვნები ზარჩმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ.

მე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ორს წერილზე, ესენია — დ. უზნაძის — „ლეიბნიცის *petites perceptions*-თა ადგილი ფსიქოლოგიაში“ და შ. ნუცუბიძის — „ბუნებისათვის ცნებისა“. ორივე წერილი ფილოსო-ფიურ დარგს ეკუთვნიან.

ბ. უზნაძე არკვევს თავის წერილში, როგორი იყო ლეიბნიცის თეო-რია *petites perceptions*-თა შესახებ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ის მოკლედ და სადად ავგიწერს ლეიბნიცის შეხედულებას ამ საგანზედ. ორს მკვლევრს ვხვდებით. ბ. უზნაძის აზრით, ახალი ისტორიის დასაწყისში ფსიქიურ მოვლენათა გამოკვლევის საქმეში: ლოკუ და ლეიბნიცის. როგორც პირველი ისე მეორე ექცებს ფსიქიურ მოვლენათა ელემენტებს. მაგრამ შედეგები, რომელთაც აღწევენ ეს ორი მკვლევარი, განიჩრევიან ურთიერთ შორის. ეს განსხვავება შედეგებისა `აიხსნება იმით, რომ ლოკუ იყო ემპირისტი, ლეიბნიცი კი რაციონალისტი: თუ ლოკუსათვის, რო-გორც ემპირისტისათვის, არსებობს მხოლოდ ის, რაც ცნობიერების სა-განია, ლეიბნიცისათვის, როგორც რაციონალისტისათვის, რომელსაც სწამს „*verités de raison*“, შეიძლება არსებობდეს ისიც, რაც ცნობი-ერების გარეშე.

ამისდა მიხედვით ლოკუს შესაძლებლად მიაჩნია ეძიოს ფსიქიურ მო-ვლენათა ელემენტები მხოლოდ ცნობიერების ფარგლებში და არა მის გარეშე: ლეიბნიცისათვის კი ასეთი განსაზღვრულობა არ ასებობს: ფსი-ქიური ელემენტები შეიძლება პრინციპიალურად ცნობიერების გარეშეც

იმყოფებოდენ. ამნაირად ლეიბნიცი აღრმავებს ფსიქოლოგიურ ანალიზს.

ლეიბნიცი თავის შეხედულებებში ბევრად არის დამკაიდებული დეკარტისაგან. ამ უკანასკნელისათვის, როგორც დუალისტისათვის, არ არსებობდა საკითხი, როგორ წარმოსდგება ცნობიერება. მისი შეხედულებით, არსებობს განფენილობა და არსებობს აზროვნობა ან ცნობიერება და მათ შორის გარდუვალი უფსკრული.

ლეიბნიცი მიღის დეკარტზე უფრო შორს და სვამს საკითხს ცნობიერების წარმოშობის ან ქმნაღობის შესახებ.

როგორ იქმნება ცნობიერება? ნივთიერს არ შეუძლია იქონიოს გავლენა სულიერზე (ამ დებულებას ლეიბნიცი ითვისებს დეკარტისაგან). მაგრამ ცნობიერი მაინც წარმოსდგება. ცხადია, რომ მისი მიზეზი უნდა იყოს რაღაც, რაც თავის თავად არ არის ცნობიერი.

რა არ არის ცნობიერი? ნივთიერი არ არის ცნობიერი, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ნივთიერი არ შეიძლება ჩავთვალოთ ცნობიერობის მიზეზად. მაშ, ყოფილა ნივთიერის გარდა კიდევ სხვა არა-ცნობიერი რამ, რომლისაგან უნდა წარმოსდგებოდეს ცნობიერი.

ეს არა-ნივთიერი, და მასთან არა-ცნობიერიც რომლისგან წარმოსდგება ცნობიერება, უნდა იყოს სულიერი რამ. ეს ცხადია: თუ რამე არ არის ნივთიერი, ის უნდა იყოს სულიერი, როგორც ამტკიცებდა დეკარტი. მაშ, სულიერი შეიცავს როგორც ცნობიერს აგრეთვე არა-ცნობიერს, ისე როგორც არა-ცნობიერი შეიცავს ნივთიერს და არა-ნივთიერს. ამნაირად გადალახა ლეიბნიცმა დეკარტის ფილოსოფიით გამოწვეული პრობლემა სუბსტანციათა ურთიერთობის შესახებ: მან უკუ აგდო დეკარტის განსაზღვრა სუბსტანციათა. სულიერი, მაგრამ არა-ცნობიერი შეადგენს საშუალო სფეროს არა-ცნობიერი ნივთიერის და ცნობიერი სულიერის შორის.

როგორია დამკაიდებულება არა-ცნობიერ სულიერის ცნობიერისადმი? ცნობიერი შესდგება არა-ცნობიერისაგან, გვიპასუხებს ლეიბნიცი. მაშ, ცნობიერი ყოფილა რთული რამ, არა-ცნობიერი კი მარტივი ან ელემენტარული სულიერი ფენომენი.

ამ რიგად სულიერი ფენომენები განირჩევიან თავის სირთულით. უუმარტივეს და განუყოფელ ფენომენებს ლეიბნიცი უწოდებს სახელად „petites perceptions“ (მცირე განცდანი).

ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი petite perception ყოფილა არა-ცენტრული ბიერი სულიერი მოვლენა. მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყოველი არა-ცნობიერი სულიერი მოვლენა არის „petite perception?“ ბ. უზნაძის გადმოცემით, ლეიბნიცს გარკვეულად არც ერთხელ არ დაუსვამს ასეთი კითხვა, მაგრამ რამდენადაც სჩანს მისი თხუზულებების სხვა და სხვა ადგილებიდან (ამ ადგილების დაპირისპირებაში ბ. უზნაძე იჩნეს მკაფიო ანალიტიურ ნიჭს), შეიძლება ითქვას, რომ ლეიბნიცისათვის ყოველი არა-ცნობიერი ფსიქიური მოვლენა არის „petite perception“.

Petite perception გადადის ცნობიერებაში სხვა პერცეპციასთან შეერთებით. თავის მხრივ ცნობიერი მოვლენა ხდება არა-ცნობიერად თუკი ის დაიშლება თავის ელემენტებად.

როგორია მექანიზმი მცირე პერცეპციათა შეერთებისა? ერთი პერცეპცია უერთდება მეორეს ყურადღების საშუალებით. ოვით ყურადღების მიქცევა პერცეპციაზე დამყარებულია მისი ინტენსივობაზე. ეს ინტენსივობა, ბ. უზნაძის შეხედულებით, არის ობიექტივური მცირე განცდათა თვისება. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის განცდა, რომელიც უფრო ძლიერია.

პერცეპციათა ინტენსივობის გაძლიერება გამოწვეულია მათი ურთიერთ შორის შეკავშირებით. ეს შეკავშირება კი ხდება ყურადღების და მეხსიერების საშუალებით. „სული მცირე პერცეპციათა დაუშრეტელ წყაროს შეიცავს და თითოეული ახალი შთაბეჭდილება ატოკებს ამ უძირო ზღვას და მის ზედაპირზე შესაფერის პერცეპციებს იწვევს. ამის გამო ბუნებრივად ხორციელდება მათი შეკავშირება“, ამბობს ბ. უზნაძე.¹⁾ „ყურადღება გაძლიერებულ განცდისაკენ მიიმართება, ხოლო ამ გაძლიერებას მეხსიერება ქმნის შესაძლებლად“, გვეუბნება ბ. უზნაძე ცოტა ქვეყით²⁾.

ამნაირად უკვე გავიგეთ, როგორ იქმნება ცნობიერი მოვლენა. ჯერჯერობით ლაპარაკი მხოლოდ შემეცნებაზე იყო. მაგრამ ლეიბნიცისათვის ნებაც და გრძნობაც გამომდინარეობენ petites perceptions-თა შეერთებიდან. მაშ petitie perception არა მატო შემეცნების, არამედ მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრების ელემენტი ყოფილა.

იმ მოკლედ ბ. უზნაძის წერილის შინაარსი, რომელიც მარტივად და საღად გადმოგვცემს ლეიბნიცის ფილოსოფიის უუმნიშვნელოვანეს

¹⁾ იხ. თბილ. უნივერს. მოამბე № 1, 1 ნაკვეთი, გვ. 80. ²⁾ ibid. გვ. 80.



ნაწილს. საგანი, რომელსაც იკვლევს ბ. უზნაძე, ფრიად ძნელია. ლეი-ბნიცის მოძღვრება petites perceptions-თა შესახებ, მეტადრე გაურკვე-ველი და ბნელია. როგორც ვიცით, თვით ლეიბნიციც კარგად გრძნობ-და ამას. მისი მსოფლ მხედველობის მკვლევარებმაც საკმაოდ აღნიშნეს ეს ფაქტი.

ამისათვის სრულიად ბუნებრივია, თუ ბ. უზნაძის გამოკვლევას ლეი-ბნიცის petites perceptions-თა შესახებ შეუძლია ზოგს მუხლში უთან-ხმოების გამოწვევა — ამ უთანხმოებაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ბ. უზნაძის შრომის მიზანია გადმოგვცეს ლეიბნიცის შეხედულება იმის შესახებ, თუ რეგორ იქმნება ცნობიერება არა-ცნობიერ ელემენტებისაგან. მაგრამ ეს საგანი, ჩემის აზრით, არ არის სავსებით გაშუქებული ბ. უზნაძის წერილში. ამის მიზეზი უმთავრესად თვით ლეიბნიცის ფილოსოფია-ში უნდა ვეძიოთ. გავიხსენოთ მისი ცხოვრების მთავარი დამახასიათებე-ლი მიმართულება, რომელიც გამოიხატებოდა სხვა და სხვა წინააღმდე-გობათა შერიგებაში. ლეიბნიცს მუდამ შემრიგებლის პოზიცია ეჭირა: ის არიგებდა სარწმუნოებას და მეცნიერებას, ტელეოლოგიას და მექანიკურ მსოფლ მხედველობას, დემოკრიტეს და არისტოტელს. ეს შემრიგებლის როლი იმ ზომაზედ შეეფერებოდა ლეიბნიცის ბუნებას, რომ პოლიტი-კაშიც ის ხშირად გამოდიოდა, როგორც სხვა და სხვა პარტიათა შემ-რიგებელი.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მსოფლ მხედველობათა შერიგება არც ისე აღვილია, თვით შემრიგებლის პოზიცია ხშირად გაურკვეველ და ბუნდო-ვან საფუძველზე ემყარება: ამ საფუძვლის სავსებით გარკვევა ბოლოს და ბოლოს აიძულებს შემრიგებელს გადაჭრით მიემხროს ერთ ერთს იმ მოწინააღმდეგეთაგანს, რომელთა შერიგება მას უწინ განზრახული ქონდა. ლეიბნიცის მოძღვრებაში სწორედ მისი თეორია მცირე პერცეპციათა შესახებ შეაღგენს ასეთ ბუნდოვანებას. ¹⁾ თუ ჩვენ მოვინდომეთ ამ მუ-ხლის გარკვევა სავსებით, ლოლიკური თანდათანობის დაცვით, ჩვენ იძუ-ლებული ვიქნებით ჩამოვაცილოთ ლეიბნიცს მისი შემრიგებლის როლი და გადავრიცხოთ ის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთ ბანაკში.

თუ რომელ ბანაკში, ამ საკითხს არკვევს შემდეგი ისტორია, რო-მელსაც დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ინტერპრეტატორმა. ამ უკანას-

¹⁾ ამას თვით ბ. უზნაძეც რამდენიმეჯერ აღნიშნავს. იხ. ib. გვ. 84.

კნელის განკარგულებაში იმყოფება შეხედულებათა ისტორიული ფილი-აცია, რომლის მიხედვით უნდა გაისინჯოს გამოკვლევის ობიექტი. სხვა მეთოდი ეკნეგეზისა არც კი არსებობს. ამ მეთოდით კი ბ, უზნაძე უფ-რო ნაკლებათ სარგებლობს თავის წერილში, ვიღრე ეს საჭირო იყო: შეიძლება ის შებოჭილი იყო წერილის გარევანი ფარგლებით.

უკველი მოაზროვნის შეხედულება, განსაკუთრებით კი ლეიბნიცისა, რომელიც მუდამ გართული იყო პოლიტიკურ საქმეებში და აგრეთვე სხვა და სხვა დარგის მეცნიერულ საკითხებში და არ ქონდა საშუალება დინ-ჯი მოთვიქრების ბოლომდის მიეკანა თავისი ფილოსოფიური აზრები, — თან-და-თან ეს ხდებოდა ფორმაში რამდენიმე წლის განმავლობაში. პირ-ველი სახე შეხედულებებს ლეიბნიცმა ზოგადად მოუხახა 1685 წელს. (Discours de la métaphysique), ხოლო უკანასკნელი მისი დამ-თავრებული ნაწარმოები „მონადოლოგია“ დაიწერა 1714 წელს. ამნაი-რად ლეიბნიცის მსოფლ მხედველობა ვითარდებოდა სულ უკანასკნელი 29 წლის განმავლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ლეიბნიცი, თავისი განცხადებით, უკვე ხუთმეტი წლისას ღრმად იყო დაფიქრებული, ვის მიმხრობოდა, დემოკრიტეს თუ არისტოტელს. ასეთი პერიოდის განმავლობაში ძნელია აზრთა იგივეობის დაცვა.

ერთს დროს რომელიმე კონტექსტში მოაზროვნეს შეუძლია გამოს-თქვას ერთი რამ, მეორე დროს კი სხვა კონტექსტში — სრულიად წინა-აღმდევი. რომელია ამ ორ მოწინააღმდევე აზრიდან ფილოსოფოსის ნამ-დვილი შეხედულება და რომელია შემთხვევითი, ით ეს უნდა გაარკვიოს ინტერპრეტაციამ ისტორიული პერსპექტივის საშუალებით.

მოკლედ რომ ესთქვათ, ბ. უზნაძე ამნაირად ახასიათებს ლეიბნიცის თეორიას: მცირე პერცეპციის არსებითი ნიშანი მის სიმცირეში შესდგება მცირე პერცეპცია ძლიერდება ან ცნობიერდება ყურადღების საშუალე-ბით. ყურადღებას კი იწვევს ძლიერი მცირე პერცეპცია.

ლეიბნიცის შეხედულება რომ ისეთი იყოს, როგორც გადმოგვცემს ბ. უზნაძე, მას ჩადენილი ექნებოდა ლოლიკური შეცდომა circulus vitiosus.

დავაკვირდეთ ამას უკეთესად, ნუ თუ მართლაც შეუძლებელია ლეი-ბნიცის შეხედულების გადმოცემა შინაგანი მთლიანობის დაცვით. ბ. უზ-ნაძეს მოყავს სხვა და სხვა აღგილი ლეიბნიცის თხზულებებიდან თავის შეხედულების დასამტკიცებლად. ამ აღგილებიდან ბ. უზნაძე იმ დასკვნას აკეთებს, რომ ლეიბნიცის მცირე პერცეპცია ქვანტიტივური და ქვალი-

ტატიურ რაობას წარმოადგენს, რომ ერთი მცირე პერცეპცია განსხვავდება მეორისაგან, როგორც თავისი ინტენსივობით, აგრეთვე თავისი თვისებებით. მცირე პერცეპცია იპყრობს ჩვენს ყურადღებას თავის სიძლიერით, ამბობს. ბ. უზნაძე, რაც შეეხება მათ თვისებებს, რომ ამათში მცირე პერცეპციები განსხვავდებიან ურთიერთ შორის ესეც ლეიბნიცს „ნათლად აქვს შეგნებული“, ამტკიცებს ბ. უზნაძე. ¹⁾ „petite perceptions-თა შორის ერთგვარი თანდაყოლილი ნათესაობა, ერთგვარი ქიმიური აფინიტეტისებური დამოკიდებულება უნდა არსებობდეს“ ²⁾). და ეს არის მიზეზი, ყურადღების გამომწვევი და მცირე პერცეპციათა დამაკავშირებელი — ასე ავითარებს ბ. უზნაძე ლეიბნიცის თეორიას მცირე პერცეპციათა შესახებ.

ასეთი შეხედულება ლეიბნიცის თეორიაზედ, მე ვფიქრობ, მოკლებულია მტკიცე საფუძველს. მე შეცდომად თუ არა ყოველ შემთხვევაში ცალ შერივად ვთვლი მცირე პერცეპციის იმ დახასიათებას, რომელსაც იძლევა ბ. უზნაძე. ჩემის აზრით, სწორედ აქედან იწყება ის გაურკვევლობა ცნობიერების წარმოშობის ახსნაში, რომელიც ემჩნევა ბ. უზნაძის გადმოცემას ლეიბნიცის თეორიის შესახებ.

ბ. უზნაძე მშევნივრად დაიწყო თავის წერილი. ლეიბნიცის საზოგადო მსოფლ მხედველობის დახასიათებილან, მაგრამ მან ამ შემთხვევისათვის უმნიშვნელო მხარეს (რაციონალიზმს) მიაქცია ყურადღება: და ამის გამო თავისი შესავალი ვერ გამოიყენა წერილის მთავარ ნაწილში.

უფრო შესანიშნავია ჩვენი საგნის გამოსაკვლევად მეორე მხარე ლეიბნიცის მსოფლმხედველობისა; ეს არის მისი იდეალიზმი, რომელიც, რათქმაა, დაკავშირებულია რაციონალიზმთან.

ლეიბნიცი მომხრეა იდეალისტური მსოფლ მხედველობისა და ეს აქენს კვალს მისი ფსიქოლოგიურ შეხედულებებზედაც, სწორედ ამაში შესდგება ის განსხვავება, რომელიც არსებობს ლეიბნიცის და ასსოციაციონისტებს შორის. ასსოციაციონისტები, რომელნიც იცავენ სუბიექტის პასივობას პსიქიურ მოვლენებში, იდგნენ იმ თვალსაზრისზედ, რომ ჩვენი ყურადღება და მასთან ერთად მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება დამოკიდებულია შეგრძნებათა თავისუფალ თამაშზედ. როგორია ჩემი სულიერი მდგომარეობა, ეს განისაზღვრება, იმით, თუ როგორი ხასიათის

¹⁾ გვ. 81. ²⁾ გვ. 83.

გრძნობანი თამაშობენ იმ ცარიელ სივრცეში, რომელსაც, ასსოციაციონისტების შეხედულებით, ადამიანის „მე“ წარმოადგენს. თვით „მე“, თვით სუბიექტი არავითარ აქტივობას არ იჩენს თავის სულიერ ცხოვრებაში, რომელიც ამნაირად არის მხოლოდ თანხა შეგრძნებათა („პერცეპციების კონა“, იტყოდა იუმე) და გარეშე ამ უკანასკნელთა არაფერია. ასეთია ღაახლოვებით მექანისტური და ატომისტური შეხედულება სულიერ აგებულებაზედ, რომელსაც იცავდა, შაგალითად, იუმე. იუმე ამ შემთხვევაში, მხოლოდ განაგრძობდა უკვე ლოკის მიერ დასახულ თეორიას სულიერ ცხოვრების შესახებ.

ლეიბნიცმა კი, როგორც ვიცით, განავითარა თავის შეხედულება ლოკის ოპპოზიციაში. ამნაირად მისი გზა სრულიად ეწინააღმდეგება იუმეს გზას. მისი მთავარი ნაწარმოები „Essais nouveaux sur l'entendement humain“ არის პასუხი ლოკის თხზულებაზე ადამიანის გონების შესახებ. თუ ლოკი ამტკიცებდა, რომ გონებაში არაფერია ისეთი, რაც წინასწარ არ განვიცდია გრძნობით. ლეიბნიცმა დაუმატა ამას მხოლოდ სამი სიტყვა: „გარეშე თვით გონებისა“ და ძირიან-ფესვიანად შესცვალა სულიერ ცხოვრების მექანისტური შემეცნება.

ლეიბნიცისათვის „მე“ არის სუბიექტი განცდისა. ის არის რეალობა, მონადა, მოცემული ყოველივე განცდის წინ. მისი ნებიდან დამოკიდებულია ის, რომელ განცდას მიექცეს ყურადღება. განცდათა სხვაობა აქ არაფერ შუაშია. ეს სხვაობა მხოლოდ შედეგია, და არა მიზეზი ყურადღებისა.

თავის თავად მცირე პერცეპცია („შეგრძნება“, იტყოდა კანტი), როგორც მასალა ცნობიერებისა („შემეცნებისა“, იტყოდა კანტი) მოკლებულია ყოველგვარ ქვალიტატივურს, (მაშასადამე ქვანტიტატიურსაც) განსხვავებას. თითოეული მცირე პერცეპცია უდრის ყოველმხრივ მეორე მცირე პერცეპციას. მათ შორის არ არის არავითარი განსხვავება. განსხვავება იძადება მხოლოდ ცნობიერებაში, სადაც მცირე განცდა შედის ყურადღების საშუალებით.

პერცეპცია პასივი რამ არის. აქტივობა ეკუთვნის მხოლოდ მონადას, რომლისათვის პერცეპციები მხოლოდ მასალას წარმოადგენენ, მასალას, მის მიერვე შექმნილს.

თუ პერცეპციები განიჩევიან ურთიერთ შორის, ეს ხდება მხოლოდ მონადის წყალობით, რომელმაც მოისურვა მათი წინ წამოყენება და მათ-



თვის თვისებების მინიჭება.. რად მოისურვა. ეს სხვა საკითხია, რომელსაც აგრეთვე იცნობს ლეიბნიცი (harmonia praestabilita) და რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვეხება.. ჩვენ აქ გვაინტერესებს ის, რომ ლეიბნიცის მსოფლ მხედველობის ძირითად დებულებიდან გამომდინარეობს წერტციათა სიძლიერის დამოუიდებულობა კურადღებიდან და არა კურადღების დამოუიდებულობა წერტცებიათა სიძლიერიდან.

სწორედ ამაშია მთელი თვისებურობა ლეიბნიცის ფსიქოლოგიისა, რომელიც ებრძევის მექანისტურ მსოფლ-მხედველობის კალ-მხრივობას და ცდილობს დაიცვას ორგანიული მსოფლ-მხედველობა (ლოსკის ტერმინოლოგია რომ ვიზმაროთ), რომლის აზრით ნაწილი უნდა აიხსნას მთელით და არა მთელი ნაწილით.

რომ ასეთია ლეიბნიცის ნამდვილი შეხედულება, ამას გვიმტკიცებს ფილოსოფიის. ისტორია ლეიბნიცის შემდეგ: კანტი, ფიხტე, ჰერბარტი, ვინდელბანდი, ლოცე და ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ მყოფი რუსი ფილოსოფოსი ლევ ლოპატინი, რომლის მნიშვნელობა ჯერ საკმაოდ არ არის დაფასებული, ავითარებენ თავის გამოკვლევებში ლეიბნიცის მიერ ზოგადად მოხაზულ თეორიას.

ამნაირად მე ვფიქრობ, სადაც ლეიბნიცს მივაწეროთ ასეთი აზრები, თითქო „ყურადღების ამა თუ იმ საგანზე განცდის ინტენსივობაზეა დამყარებული“,¹⁾ ან რომ მცირე განცდათა შორის არის ქვალიტატიური განსხვავება,²⁾ რომ მცირე პერცეპციებს ახასიათებს „თანდაყოლილი ნათესაობა, ერთგვარი ქიმიური აფინიტეტისებური დამოკიდებულება“.³⁾ ეს უკანასკნელი აზრი მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წინასწარ გათვალისწინებული გვექნება, რომ ამ დამოკიდებულებას ქმნის თვით მონადა, ქმნის სავსებათ თავის აქტივობით. რაც შეეხება პირველს და მეორე დებულებას, ისინი, როგორც დავინახეთ, შემცდარადაც უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან მთელი სულიერი ცხოვრება მონადისა არის მისი თვით-მომსედების შედეგი; ეს თვით-მოქმედება კი ეყრდნობა თავის შინაგან წესს, რომელიც შეადგენს პერცეპციათა ურთიერთობის priusquam'-ს. პერცეპცია თავის თავად უსახოა; ის სახიერდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეერთებული იქნება სხვა პერცეპციასთან. მხოლოდ ეს შეერთება რომელიც ქმნის ერთი პერცეპციის ურთიერთობას (relatio) მეორესთან,

¹⁾ უნივ. მოამბე გვ. 7. ²⁾ ib. გვ. 81. ³⁾ ib. გვ. 83.

შედარების საშუალებით, ანიჭებს მას სახეს. ასე უნდა წარმოვიდგინოს ლეიბნიცის ოქორის, რომელიც იცნობდა სპინზიზის დებულებას „omnis determinatio est negatio“ და განსახიერების ან ქვალიტატიკობის მიხეზად თვლიდა მხოლოდ ურთიერთობას (principium individuationis). შემდეგმა ფინქოლოგებმა საკმაოდ გააღრმავეს და განავითარეს ეს შეხედულება პერცეპციათა უსახეობის შესახებ (იხ. მაგალითთად სკეპტიკის ან ბენის ფინქოლოგიური განსაზღვრა გარეგნობისა), და ჩემის აზრით აქ დავაც შეუძლებელია. იმაზედ, წარმოადგენდა თუ არა ლეიბნიცისა-თვის მცირე პერცეპცია ქვანტიტატივურს და მით უშეტესად ქვალიტატიკურ რაობას.

რა აერთებს ერთ პერცეპციას მეორესთან? რა თქმა უნდა მონადა, რადგანაც ის ქმნის მოელი თვის შინაარს. ეს შეერთება ხდება ყურადღების საშუალებით. ამნაირად უურადღების შისყრობა უწერებს შერტეტრიათ შეერთების, მათი გაძლიერებას და გაცნობიერებას და სრულიადაც არ არის შედეგი ამ გაძლიერებისა.

თუ ზემო აღნიშნული ადგილები ბ. უზნაძის წერილში შესწორდა
ან ყოველ შემთხვევაში შეიგსო და ამის და მიხედვით მთელი წერილიც
შეიცვალა, მაშინ ლეიბნიცის თეორია წარმოგვიდგება ლოლიკური მთლია-
ნობით და სრულიად ნათლად.

შეიძლება ეს მთლიანობა და თეორიის სინათლე არ შეეფერებოდეს ისტორიულ ღვიძნიცს, რომელიც არ იცნობდა კანტის მოძღვრებას კა-თეორიალურ სინტეზზე. მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებს: ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია ინტერპრეტაციაში ლეიბნიცს ისეთი რამე მიეწეროს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მთელს მის მსოფლ-მხედველობას.

ზოგი წვრილმანიც მოვიხსენიოთ. რაციონალიზმის და ემპირიზმის დაპირისპირება, რომლითაც ბ. უზნაძე იწყებს თავის წერილს, არ არის ჩემის აზრით სავსებით ნათელი. რაციონალიზმის და ემპირიზმის შორის განსხვავება, ეს მეთოდოლოგიური განსხვავება როდია, როგორც გვაძლევს ბ. უზნაძე საბუთს ვიფიქროთ, ეს განსხვავება გნოსეოლოგიურია.

ამნაირად ლოკის და ლეიბნიცის ფსიქოლოგიური თეორიის გან-
სხვავება იმით კი არ აიხსნება, რომ ლოკი ერთი შეთვდით სარგებლობ-
ლა, ლეიბნიცი კი მეორით. ასე რომ ყოფილიყო შეუძლებელი იქნე-
ბოდა ის დებულება, რომელსაც გამოსთვამს თვით ბ. უზნაძე, რომ

„მომავალი პიქილოგიური კვლევა-ძეგბა ლეიბნიცის გზასაც უნდა გა-
ყოლოდა და ლოკეისასაც“. ¹⁾

სადაოდ მიმაჩნია მე აგრეთვე ის აზრი, რომ „ცნობიერების გენეზისის
საკითხი დეკარტისათვის არ არსებობდა. არ არსებობდი იმიტომ, რომ
დეკარტის შემეცნებაში სულიერის და ცნობიერის შორის იგივეობის ნი-
შანი იყო დასმული“. ²⁾ არც დებულება, არც მისი ახსნა არ არის სწო-
რი, ჩემის აზრით.

დეკარტი სკოს საკითხს ცნობიერების (ისე როგორც სულიერის)
გენეზისის შესახებ და კიდევ სწყვეტს ამ საკითხს ღვთის არსებობის ან-
ტროპოლოგიურ დამტკიცებაში.

რაც შეეხება იმ აზრს, თოთქოს დეკარტისათვის არ არსებობდა სა-
კითხი ცნობიერების გენეზისის შესახებ სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ
მისთვის ცნობიერის და სულიერის შორის იყო იგივეობა, ესეც სადაცა.
რომ ის სწორი იყოს, საჭიროა ჭეშმარიტად ჩავთვალოთ ზოგადი დებუ-
ლება, რომ საკითხი სულიერის გენეზისის შესახებ შეუძლებელია. ამ უკა-
ნასკნელ დებულებას კი ბ. უზნაძე არ დაეთანხმება, რა თქმა უნდა (ვი-
ნაიდან ისტორია გვიჩვენებს მრავალ ემპირიულ ფორმებს ამ საკითხის).
მაში, არ უნდა იყოს სწორი ის ახსნაც, რომელსაც იძლევა ბ. უზნაძე,
თუ რა მიზეზის გამო არ არსებობდა დეკარტისათვის საკითხი ცნობიე-
რების გენეზისის შესახებ.

შეიძლება ბ. უზნაძეს შედველობაში ჰქონდა ის აზრი, რომ არ არ-
სებობს ფსიქოლოგიური საკითხი სულიერის გენეზისის შესახებ, ვინაიდან
ასეთი საკითხი სცილდება ფსიქოლოგიის საზღვრებს. ეს სხვა საქმეა. მა-
გრამ მაშინ თვით ბ. უზნაძემ სიტყვა „გენეზისი“ უნდა იხმაროს სწო-
რედ ასეთ ვიწრო (ფსიქოლოგიური) მნიშვნელობით შემდევშიაც, აი მა-
გალითად იმ დროსაც, როდესაც ის ლაპარაკობს ლეიბნიცის თეორიაზედ.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ბ. უზნაძე ხმარობს სიტყვა „გენე-
ზისს“ სწორედ მეტაფიზიკური და არა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით.
ეს ცხადდება იქიდან რომ ლეიბნიცისათვისაც, ისე როგორც დეკარტი-
სათვის, ცნობიერების გენეზისი არის მეტაფიზიკის საგანი. ამას თვით ბ.
უზნაძე აღნიშნავს რამდენიმეჯერ. მიუხედავათ ამისა ბ. უზნაძის წერი-
ლის საგანს შეაღვენს ლეიბნიცის თეორიის გამოკვლევა ცნობიერების

¹⁾ უნ., მოამბე, გვ. 69. ²⁾ ib. გვ. 70.

გენეზისის შესახებ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში თვით ავტორის მიერ სიტყვა გენეზისი აღებულია მისი მეტაფიზიკური მნიშვნელობით. აქ სიტყვებზედ კი არ არის დავა, არამედ უფრო ღრმა რამეზედ.

ამით დავათავოთ ბ. უზნაძის საინტერესო წერილის განხილვა და გადავიდეთ ბ. შ. ნუცუბიძის არა ნაკლებად საინტერესო ნაშრომის გარჩევაზედ.

ს. დანელია.

(დასკარეული იქნება).

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დაღებატების
 პირული ურთლობა.

(გაგრძელება 11 იანვრის სხდომისა.)

ვ. ჰარანშვილი. (გორის მაზრ.) გორის მაზრაში არის ფილ. განყოფილებანი ცხინვალში, ბორჯომში, ხაშურში; თვით გორში კი არსებობს სამაზრო კავშირი. ამათ გარდა გორშივე არსებობს საშუალო სკოლების გასწავლებელთა კავშირი ცალკე და ქალაქის სკოლათა მასწავლებლების ცალკე. მაზრაში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის წარმოსადგენი საჭიროა შევეხო ორ მომენტი: პირველი მომენტია, როდესაც ამ საქმეს ორველი უციის შემდეგ ინსპექტორები განაგებდნენ. ეს ხანა, მათი მართვა-გამგებლობის პერიოდი, ანორმალურ ხანად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდნ ხსნებული ინსპექტორები არაფერს არ აკეთებენ, გარდა იმისა, რომ ჯამაგირს იღებდნენ ძალიან ხშირად ორ ალაგას, მეორე მომენტია, როდესაც საქმეს ერობა ჰკილებს ხელს. ეს უკანასკნელი შეეცადა საქმის გამოსწორებას. ერობას ჰყავს სასკოლო სექციის გამგე, რომელიც სათანადოთ მომზადებულიცაა, საქმის მოყვარულიც და პირნათლადაც ასრულებს თვის მოვალეობას ამ უკანასკნელის წყალობით მაზრაში სულ მცირედროის განმავლობაში 47 ახალი სკოლა გაიხსნა. მაზრის ბევრ სკოლაში მოწყობილია მოზრდილთათვის კურსები, რომლებზედაც მასწავლებლები აწარმოებენ მუშაობას. ქალაქთა თვითმმართველობანი ვერ უძღვებიან სასკოლო საქმეებს ისე, როგორც სამაზრო ერობები. ქალაქმა უფასო სწავლება შემოიღო თავის სკოლებში და მას სკოლებიდან აღარაფერი შემოსავალი აქვს; თავის საშუალებათაგან მასწავლებელთა დაკმაყოფილება უძნელდება. რიგიანი სასკოლო შენობა მაზრაში ძალიან ცოტაა: ბევრი სკოლა მოთავსებულია გომურში. მაზრის სკოლათა საჭიროებისათვის წარსულ წელს სამასწავლებლო სემინარიასთან გამართულ სამასწავლებლო კურსებზე მომზადდა 60 მასწავლებელი.

რაც შეეხება მასწავლებლებისაღმი ერობის დამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს რომ ეს დამოკიდებულება უარყოფითია. საზოგადოდ მაზრაში ერობის ხალხისადმი დამოკიდებულებაში ისახება, თითქოს ქვეყანა ერობისათვის იყოს და არა ერობა ქვეყნისათვის. მასწავლებლები სურსათს არ

იღებენ. ძველი ინსპექტორების წყალობით დოკუმენტების გაბნევის შემთხვევა
მასწავლებლებს უფერხდებათ 5 წლ. დამატებათა მიღება. დასასრულ უნ-
და აღვნიშნო, რომ გორის მაზრაში ქართლში აღვლად იკიდებს ხოლმე
ფეხს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო აგიტაცია, რის წყალობითაც არა ერ-
თხელ და ორჯელ დანთებულა მაზრაში ანარქიის ცეცხლი. ამის მიხედი
უმთავრესად ხალხის მოუმშადებლობაა, მისი გაუნათლებლობა. საჭიროა
მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქართლსა და შეიტა-
ნოს იქ განათლება.

კაბიშევილი (დუშ. შაზრ.) დუშობის მაზრა უპატრონოდ, უყურადღე-
ბოდ, ღვთის ანაბარადაა მიტოვებული. მას მხოლოდ მაშინ მოხედავენ
ხოლმე, როცა იქ კოცონი აინთება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა
დიდი სტრატეგიული და ყოველგვარი მნიშვნელობა აქვს მაზრას საქარ-
თველოსთვის. ის ერთი ნაწილით თერგის ოლქს საზღვრავს, მეორეთი კი,
ტფილისს ზედ ეკვრის და ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი ხდება, თუ
რად არის ასე უპატრონოდ მიტოვებული. მაგრამ, ვისაც თვალი უდევ-
ნებია ამ ორი წლის განმავლობაში მაზრას არა ერთხელ და ორჯელ მოს-
დებია ანარქიის ცეცხლი, რაც აუცილებლად იმას უნდა მიეწეროს, რომ
მაზრას არ აქციენ სათანადო ყურადღებას. მაზრის დახსნა ამ არეულო-
ბათაგან, რომელიც განმანადგურებელი შეიქმნა მისთვის და რომელიც
ისე ხშირად მეორდება ხოლმე შესაძლებელია არაა მარტო ზარბაზნებითა
და ტყვიისმფრქვეველებით. საჭიროა მოვსპოთ მაზრაში ის შეუკნებლობა,
რომლის წყალობითაც მაზრა ყოველგვარ პროვოკატორებისა და ჩვენი ქვე-
ყნის მტრების სათარეშოდ გარდაქცეულა. შეუკნებლობის აღმოფხვრა კი
შეიძლება მხოლოდ სკოლების საშუალებით. არც ერთი შხარე საქართვე-
ლოსი არ მგონია ისე ჩამორჩენილი სწავლა-განათლების მხრივ, როგორც
დუშეთის მაზრა. ბედნიერია გურია, რომელსაც მარტო ამ ყრილობაზე
ჰყავს წარმომადგენლებათ თითქმის იმდენი მასწავლებელი, რამდენიც მოვლ
დუშეთის მაზრაში თუ იქნება. დუშეთის მაზრაში სულ 35 სასწავლებლა-
მდე არსებობს. მაგრამ მეტი უბედურება კადევ ის არის, რომ ყველა ეს
სასწავლებლები არსებობს ქალალდზე. მაზრაში მომხდარ არეულობის
დროს ბევრი სკოლა თავის ინვენტარით სრულიად განადგურდა. ასეთი
ბელი ეჭია ხევის სკოლებს, სადაც სწავლას მოწყურებული შოხევეები სა-
ცოდავად შეჰბდივიან დაცარიელებულ, განადგურებულ სკოლის კედლებს.
მოხევეები ფხიზელი და შრომის მოყვარე ხალხია, იმასთან მხნე მამული-



შეიღნი, კარგი, პატიოსნები, ეს ის ხალხია, რომელსაც ხელთ აქვთ და-
რიალის გასაღები და მათი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლე-
ბელია. მთელ მაზრაში მხოლოდ ერთი ტე. დაწყ. სასწავლებელია, ისიც
ქ. ღუშეთში. მაზრაში ახლა დაარსდა მასწავლებელთა კავშირიც, რომელ-
მაც ყრილობაზე 2 წარმომადგენელი გამოგზავნა, ერთი მათგანი ქურ-
დულად, ვინაიდან მაზრაში ამისათვის მასწავლებელთა საქმარისი რიცხვი
არაა. მართალია ერთობამ დიდი ყურადღება მიაქცია მაზრაში სწავლა-აღ-
ზრდის საქმეს, მაგრამ შენობების აგებას ვერ შესძლებს. არსებული სა-
სწავლებლებიც მოთავსებულია ისეთ შენობებში, სადაც ღრუბლიან დღე-
ში კარება, თუ არ გაიღო, ისე სწავლა შეუძლებელია. ჩვენი უბედურება
კიდევ ისიც არის, რომ დანიშნული მასწავლებლები ვერ შეეფერებიან
თვის დანიშნულებას, მათ ხშირად სკოლებშიაც ვერ ნახავთ. საჭიროა
მასწავლებელთა მოსამზადებლად კურსების მოწყობა თვით ღუშეთში. ასე-
თია მოკლედ გაზრის მდგომარეობა. ყველაფრის აღწერა აქ შეუძლებე-
ლია. დაახლოვებით მისი გაცნობა შეიძლება მხოლოდ აღგილობრივად.
ჩვენ მოვითხვთ ვისგანაც ჯერ არს გამოიყანოს ხალხი ისეთ მდგომა-
რეობიდან.

ნ. ყაზბეგი (სიღნ. მაზრა). მაზრაში სკოლათა რაოდენობა 100 უდ-
რის. მათი მდგომარეობა შენობების მხრივ უნუგეშოა; არც სათანადო
აკეჯეულობა, არც ბიბლიოთაკები და ხელსაწყოები სკოლას არ მოეპო-
ვება. მაზრაში არსებობს მასწავლებელთა კავშირი, რომელსაც 180-მდე
წევრი ჰყავს. კავშირი თვალურს იდევნებდა საპროფესიო საქმეებს და
აწესრიგებდა მასწავლებელთა უორის დამკუიდებულებას. ჯამაგირებს მასწავ-
ლებლები თვის დარჩევ ვერ იღებენ. ამის მიზანია ერთობა, რომლისსაშუა-
ლებითაც ურიგდებათ მასწავლებლებს ჯამაგირები. ჯამაგირების დარიგების
მოწესრიგება თვით მასწავლებლებს შეუძლიანთ კავშირის საშუალებით.

ია კარგარეთელი (გალობის მასწავლებელი). თვის სიტყვაში შეეხება
გალობის სწავლების საჭიროებას ჩვენს სკოლებში და აღნიშნავს, რომ
დაწინაურებული ქვეყნები — დასავლეთი ევროპა დიდი ყურადღებით ეპ-
ურობა ამ საგნის სწავლებას თვის სკოლებში. თვის სიტყვის დასასრულს
ამბობს: მე ვთხოვ პატივურებულ ყრილობას გამოსთვას თვისი ავტორი-
ტეტული აზრი ჩვენს სკოლებში სიმღერა-გალობის სწავლების საჭიროე-
ბაზე, ყრილობის აზრი ამის შესახებ მით უფრო საჭიროა, რომ მას სა-
თანადო ყურადღებას მიაქცევს მთავრობა.

გ. ბურჯანაძე (აღმ. საქ. გასტ. კავშირისა და ბორჩ. მაზრ.). აღმოსავალეთ საქართვ. სახალხო მასტ. კავშირი დაარსდა ქველი რევიმის დროს, 1916 წ. ივნისში, მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების სახელწოდებით. საზოგადოების გამგეობა დაარსების დღიდანვე შეუდგა დასახულ მიზნების განხორციელებას. გახსნა 11 ფილიალი განყოფილება. ახდენდა ფილიალთა წევრების საზოგადო კრებებს ადგილობრივ, აგზავნიდა გამგეობის წევრებს სათანადოდ გამომუშავებულ დირექტივებით, შეადგინა დაწვრილებითი გეგმა საზაფხულო კურსების მოსაწყობად: მოიწვია ლექტორებათ რუსეთის გამოქვერილი პედაგოგები და თანხმობაც მიიღო, შეუდგა სკოლის სასურველ რეორგანიზაციის პროექტის შემუშავებას და სხვა. 1917 წელს პოლიტ. გადატრიალების შემდეგ გამართა მასწავლებელთა ყრილობები; გადაყენა სახალხო სკოლების დირექტივა, აირჩია 5 პირისაგან შემდგარი კომისია და ჩააბარი დროებით მართველობა სკოლებისა. კავშირის დელეგატთა ყრილობები, გაიმართა 1917 წ. დეკმბერში, 1919 წელს იანვარში. აღნიშნულ კრებებზე მოსმენილ იქმნა მრავალი მოხსენება სხვა და სხვა საკითხებზე, სხვათა შორის სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ, რომლის წესდების პროექტიც მოსმენილ და დადასტურებულ იქმნა და კიდევაც დაიბეჭდა. კავშირის ორგანოში (განათლებაში).

ამ შამად კავშირს შეადგენს 10 ფილიალი განყოფილება. ფილიალი არ მოქმედობს ახალქალაქისა, ახალციხისა და თანავარის მაზრებში. ბორჩალოს მაზრაში, მართალია, ფილიალი არსებობს, მაგრამ სხვა და სხვა მიზრების გამო დღევანდელ ყრილობაზე წარმომადგენლები არა ჰყავს. ამიტომ მე, როგორც ადგილობრივ საქმეებთან გაცნობილს, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ რა მდგომარეობაშია სწავლა-განათლების საქმე ხსენებულს მაზრაში. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენენ, ქართველებს 17 სოფელი უჭირავთ: წერაქვი, ქვეში, იკაურთა, ტანძია, კაზრეთი, ბალიჭი, რატევანი, რეხა, დ. გომარეთი, პ. გომარეთი, მამულა-სოფელი, კაკლიანი, დ. დუმანისი, ყალამშა, მიჯა, ვარდისუბანი, ბოსლევი, ხატის-სოფელი.

ყველა ამ სოფელებში სკოლის ასაკის ბავშვთა რიცხვი საკმაოა. ბევრგან თვით მცხოვრებნი მოითხოვენ სკოლის გახსნას. სამინისტროც დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს, გაუხსნა კრედიტი ადგილობრივ ერობას რამდენიმე სკოლის შესანახად, მაგრამ, სამწუხაროდ, ერობის გამგეო-



ბამ ვერ შესძლო მასწავლებლების მონახვა. პირადათ მეც მქონდა დავჭიდულებული მომენახა მასწავლებლები. გამოვაცხადე გაზეთებში, მაგრამ დღემ-დე მხრლოდ ერთი მასწავლებელი ვიშოვე წერაქვის სკოლისათვის. ამ უამად ბორჩალოში სკოლა მოქმედობს გარდა წერაქვისა სოფ. აკაურთაში და რატვანში. დანარჩენ სოფლებში კი სკოლები არ არის, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა მივიღოთ სათანადო ზომები და ბორჩალოს მაზრის ყველა სოფელში გავხსნათ სკოლები და გავუგზავნოთ მასწავლებლები, პირობები ხელსაყრელია: მასწავლებელს გარდა ჯამაგირისა ადგილობრივი მცხოვრები ხელს უწყობენ სურათ-სანოვაგის შეღავათიან ფასებში მიწოდებით, ზოგან უფასოდაც აწვდიან ხორბლეულობას, რძეს, კარაქს და სხვა.

დ. ქადაგიძე (თუშ-ფშავეცესურ.). მე ფორმალურად დავალებული არა მაქს ვილაპარაკო ამ მხარეების შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ყრილობამ და მთავრობამ არ მოისმინოს იმ მხარეთა საჭიროებაზე, რომლებიც კავკასიონის მთებში შექრილან და კულტურულ ცხოვრებას მოკლებულ არიან. სწავლა-განვითარების შესახებ ამ მხარეებში მე მიხდება ლაპარაკი იმაზე, რაც არ არსებობს, მაგრამ ეს იმს არ ნიშნავს, რომ არც უნდა არსებობდეს. ამ მხარეებში არსებობს სამიოდე სკოლა და მათშიაც თითქმის არასოდეს არაა ნორმალური სწავლა. სწავლის წყურვილი კი როგორც თუშებს, ისე ფშავ-ხევსურებს ძალიან დიდი აქვთ; ყველა ესენი ფხიზელი გონების პატრიონი არიან, მაგრამ განათლებას მოკლებულნი, თანამედროვე კულტურას მოშორებულნი, თავის მსოფლმხედველობით, ზე-ჩევეულებით და ჩატამ-დახურვით სრულიად განსხვავდებიან ბარის ქართველობან. რაც შეეხება მათს ეკონომიკურ მდგომარეობას, ისინი დიდ სიღარიბეში არიან, ვინაიდან მთის ბუნება მწირია, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ამაყი ხალხია. ადამიანს ისე ეგონება, თითქოს ეს ხალხი საქართველოს ბუნებრივ სიმაგრეთა დასაცავად იყოს შეხიზნული ძველად ამ მთებში. დღეს ამ მთებამდე ვერ მიუღწევია თანამედროვე კულტურას, ხალხი დიდ სიბნელეში იმყოფება და ამიტომ საჭიროა ამ მხარეებს მეტი ყურადღება მიეკცეს.

ე. ლომისაძე (ოზურგ. გაზრ. სამ. სასწ.). ოზურგეთის მაზრის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კავშირი ახლად დაარსებულია. მიუხედავად ამისა ამ სკოლათა მასწავლებლები კავშირის გარეშე არასოდეს ამ ყოფილან: საკუთარი კავშირის დაარსებამდე ისინი ირიცხებოდნენ

არსებულ კავშირის წევრებად. ამ უამაღ აზურგეთში ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებია. ეს უკანასკნელი ქალაქის ინიციატივით გაიხსნა, ხოლო შემდეგ ის შეერთებულ იქმნა აზურგეთში არსებულ სასულიერო სასწავლებელთან და სახაზინოდ გადაირიცხა. გიმნაზიებს არა აქვთ ფიზიკური კაბინეთი, ბიბლიოთეკა და ხელსაწყობი. მასწავლებლები სამინისტროს მიერ დაწესებულ ჯამაგირებს მოუწესრიგებლად იღებენ. კავშირისაგან დავალება მაქეს, რათა პენსიის საკითხის მოსაწესრიგებლად ყრილობამ გამოიტანოს თავის დადგენილება.

ნ. ნაკაშიძე („ნაკადული“-ს რედაქტ.). კითხულობს ვრცელსა და დასაბუთებულ მოხსენებას საბავშო გამომცემლობაზე, რომელიც ყრილობამ გაიზიარა და დაადგინა დაიბეჭდოს კავშირის ორგანოში.

საბავშო მწერლება და საბავშო წიგნების გამოცემულობა ჩვენშა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აღზრდა-განათლების საზოგადო სისტემაში საბავშო ლიტერატურის. ყოველმა თქვენგანმა, რასაკვირველია, იცის ის დებულება, რომ ყოველი პედაგოგისათვის აქსიომად გახდა ჩვენ დროში, რომ საბავშო ლიტერატურა ერთი მთავარი და ნამდვილი საშვალებაა ბავშის, როგორც დამოუკიდებლად მემოქმედებითი აზროვნების გამოსალვიძებლად, ისე ბავშის გულსა და გონებაში უკვე აღძრულ შემოქმედებითი მუშაობით გამოწვეულ კითხვების დასაკმაყოფილებლად.

მე არ შევჩერდები აქ იმაზე, რომ კარგი საბავშო წიგნი ასრულებს იმავე როლს, რომელსაც კარგი სკოლა აწვდის მოზარდ თაობას ცოდნას, ანვითარებს იმათ სულისა და გულში მხატვრულ ემოციას, ამტკიცებს გონებას და სწავლის ზნეობრივ შეგნებას. ეს ცხადია არა თუ პედაგოგისათვის, ყველა კულტურულ აღმიანისთვისაც კი. მე მსურს მიგითოთოთ საბავშო წიგნის სხვა მნიშვნელობაზე, საბავშო წიგნის გამომცემლობაზე, მომავალ მოქალაქეთა გონებრივსა და სულიერ სწორ განვითარების საქმეში. ყველამ იცის რა მნიშვნელობას აკუთვნებს თანამედროვე პედაგოგიკა ბავშის თვათმექუდების განვითარებას. ძევლი გზით სიარული დიდი ხანია ჩაბარდა არქივს მოწინავე პედაგოგიური აზრის ძალით. და ახლა, როგორც თქვენც კარგად იცით, პედაგოგისაგან მოვითხოვთ, რომ გააღვიძოს ბავშის გონებაში უმოქმედებითი მუშაობის უნარი, შეაჩვიოს ის დამოუკიდებლად აზროვნებას და შემოქმედებას, რომ ბავშმა დამოუკიდებ-

ლად გარევლიოს გზა მორალულსა და ლოგიკურ წინაღმდეგობათა ლაბირინტში.

და ამ ძირითად თანამედროვე პედაგოგიურ საკითხის გადაწყვეტაში დიდი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბავშო წიგნს. საბავშო წიგნი აძლევს ბავშს საზრდოს დამოუკიდებელ შემოქმედებისათვის, წიგნი აძლევს მას შეძლებას შეარჩიოს და იპოვნოს სხვა და სხვა ცოდნათა დარგში და სხვა და სხვა კითხვათა შორის, რაც მას აინტერესებს, რასაც ელტვის მისი ბუნებრივი ნიჭი. წიგნი იწვევს მას დამოუკიდებელ აზროვნების გზაზე, დაბოლოს ისევ ის საბავშო წიგნი აძლევს საზრდოს მის ბავშურ აცნების დამოუკიდებლად მუშაობას.

1. დამახსიათებელია, რომ, რაც უფრო მეტ ადგილს უთმობდა დასავლეთის თანამედროვე პედაგოგია ბავშის წიგნს და საბავშო წიგნის გამომცემლობას, მით უფრო მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საბავშო წიგნს და საბავშო გამომცემლობას.

ეკროპის მდიდარ საბავშო ლიტერატურას თქვენ, რასაკვირველია, იცნობთ და მე დაწვრილებით არ შევჩერდები ამაზე. ეკროპისა და ამერიკის დიდებულმა ძველმა მგოსნებმა მრავალი საბავშო წიგნი დაგვიტოვეს. არიან მწერლები, კლასიკურად ცნობილნი, რომელთა თხზულებანი, დიდებისათვის დაწერილნი, გადაიქცენ თხზულებათ ბავშვებისათვის, როგორც მაგ., კუპერი და ვალტერ სკოტი, ან თანაბრად ემსახურებიან ახლა დიდებსაც და ბავშებსაც, როგორც, მაგალითად, ლონგფელოს თხზულება (ჰაიავატი). მაგრამ დასავლეთის ძველ მწერლობაში არ იყო და არც შეიძლებოდა ისე დასმულიყო საკითხი, რომ მეცნიერება და მხატვრული შემოქმედება შეეთახმებიათ ისე, რომ გამოეყენებინათ ბავშის მსოფლი მხედველობისა და მსოფლიო შემეტების შესამუშავებლად. ეს ახალი სიტყვა ეკუთხნის ჩევნს დროს. უწინდელი ლიტერატურა, რომელიც სპეციალურად ბავშებისა და მოზარდთათვის იწერებოდა დაშორებული იყო მეცნიერულ მეთოდს. საბავშო ლიტერატურა, განსაკუთრებით მოზარდთათვის განმეორება იყო იმ გზის, რომელიც თავის დროზე გაიარა საზოგადო ლიტერატურაში: იქ გამოფენებული იყო სხვა და სხვა შემთხვევათა რომანები, სწორედ ის რომანები გუსტავ ემრისა, მაინრიდისა, უიულ ვერნისა. რომლებიც ყველა ჩვენგანს იტაცებდა ბავშობაში და ყრმობის დროს.

მაგრამ სკოლურ უკნასკნელ დროს საბავშო ლიტერატურა პედაგოგიურ

აზრის განვითარებასთან ერთად დაადგა ახალ გზას. საბავშო მოთხრობები და ყრმათათვის რომანებში გარევნული მხარე მხოლოდ საბაბია მიკურის ბავშის ყურადღება გამოსახულების შინაგან აზრისაკენ.—ფაბულა უთმობს პირველობას შინაგან მოთხრობის არსებით მხარეს.

საყურადღებოა ამ შემთხვევაში შევაღაროთ, როგორ აწვდიდნენ ბავშებს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცნობებს თავის რომანებში მაინრიდი და ჟიულ ვერნი იმას, თუ როგორ აძლევენ ამგვარსავე ცნობებს ბავშებსა და ყრმათ სეტონ ტომფსონი და რობერტსი. პირველთა თხზულებებში საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცნობები ეძლევა ბავშვზა და გზა, სხვათა შორის. ბავშის აზრი და ოცნება გატაცებულია გმირების თავ-გადასავალით და მეცნიერულ ნაწილს მხოლოდ მეცნიერებით ითვისებს ბავში.

სეტონ ტომპსონის და იმის მიმდევართა თხზულებებში მეცნიერება შემოსილია მხატვრული სამოსით და იერთებს ბავშის აზრს, ხსოვნას, ოცნებას ერთ ჰარმონიულ თანხმობით, აჩვევს ბავშის გონებას ეძიოს ბუნებაში ჭეშმარიტება; სწორედ ამ ჭეშმარიტების ძიება არის ერთი მთავარი მიზანი თანამედროვე აღზრდისა. ფანტასტიური სამოსი ბევრი თანამედროვე თხზულებისა საბავშო ლიტერატურაში არ წარმოადგენს, როგორც წინად, თავისთვავად ინტერესს, —ის მხოლოდ საშვალებაა განსჭვრიტოს ბავშმა მისი სულის თვისება. და აქვე სეტონ ტომპსონის რეალისტურ, ხანდახან ნატურალისტურ, მოთხრობებთან ერთად, თამამად შეგვიძლია დავაყენოთ კიბლინგის ფერადი ფანტაზია, მეტერლინ კის „ლურჯი ფრინველის“ სიმბოლიზმი.

2. გაასევლეთის მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხედავთ, ეწყობა ბავშის სულიერ აღზრდის საქმეს სწორედ ისე, როგორც ეს ესმის თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებას. სამეცნიერო პოპულიარული ლიტერატურაც ამ გზას დადგა.

თუ თქვენ აიღებთ, არა თუ სამეცნიერო პოპულიარულ წიგნებს ბავშებისათვის, არამედ უკანასკნელ სახელმძღვანელოებსაც-კი ამერიკისა და იტალიისას, თქვენ გაგაკურივებთ ილიუსტრაციის სიმღიდრე, წიგნის შევენიერი გარევნობა. თქვენ ყურადღებას მიიკურის ის, რომ გეომეტრიული თეორემები, მეცნიერული დასკვნანი და კანონები ბოტანიკისა, ფიზიკისა გამოითქმიან ისე, რომ ბავშმა იმათი შევთვისების დროს უმწერვალესი თვითმოქმედება გამოიჩინოს, რომ იმისი აზრი და მხატვრული ოცნება პარალელურად ამუშავდეს.

ამ შინაგან ცვლილებასთან ერთად საბავშო ლიტერატურაში დასავლეთში უკანასკნელ დროს საოცრად გაიზარდა საბავშო გამოცემულ წიგნების რაოდენობა, შესანიშნავად გაუმჯობესდა წიგნების გარეგნობა. იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშისათვის კარგ ილიუსტრაციას და წიგნის გარეგნობას, მე მგონია არ არის საჭირო. შე მხოლოდ გაკვრით აღვნიშნე, რომ გამომცემლობის ამ მხარეს დასავლეთში განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ მეთქი და გადავალ ევროპისა და ამერიკის წიგნის გამომცემლობის შეორენები.

წიგნის გამომცემლობის საქმე საზოგადოდ, საბავშო წიგნების გამომცემლობა კერძოდ იქ კერძო კომერციულ ინციატივის ეკუთვნის. ეს გარემოება, ჩემის აზრით — ერთ უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს მოწინავე ქვეყნების საბავშო წიგნების გამომცემლობის საქმის განვითარებაში.

მართალია, ბევრმა ფირმამ წიგნების გარეგნობა უმწვერვალესად გაამშვენიერ-განავითარა, მართალია ბევრ გამომცემლობის საბავშო განყოფილებებს სათავეში ცნობილი პედაგოგები და ხელოვანები უდგანან, მაგრამ საბავშო წიგნების გამომცემლობა, თუ კერძო ხელში იქნება, უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ კომერსანტი ყველაზე უწინისელმძღვანელებს წიგნების განსაღების ინტერესით, ბაზრის (მყიდველთა) მოთხოვნილებით, ქერძო გამომცემული არ სწორთნის მოზარდ თაობის გემოფენებსას და განებას, ის მხოლოდ ემთხვეოდება უკეთ მკათხელები მდგრად წიგნთნისა და მოთხოვნილების შროფებს. ის კი არ მიუძღვის წინ, არამედ უქან მიჰყევის საზოგადოებრივ აზროვნებასა და მეშვეობას.

ამას გარდა მეცნიერულად დაყენებულ წიგნის გამომცემლობასთან არსებობს მრავალი ისეთი გამომცემლობა, რომელიც ხელს უწყობს ცუდ გემოვნების განვითარებას, თანამედროვე ქალაქებისა და სოფლის ქუჩის გავლენით დამახინჯებულ ბავშის გონების მოთხოვნილებას.

ამასთან კერძო კაპიტალისტური წიგნის გამომცემლობა არ არის დაზღვეული ისეთ მომწამვლელ მოვლენათაგან, როგორც მილიონობით საბავშო წიგნები იყო გამოშვებული ბაზარზე შოვინისტური გრძნობითა და აღამიანთა სიძულვილით სავსე, მსოფლიო ომის დასაწყისში ყველა კულტურულ ქვეყნებში.

საბავშო წიგნების გამომცემლობის საქმის სრულიად კერძო მრავალის ხელში დატოვების წინააღმდეგ იბრძვის დასავლეთის მოწინავე პედაგოგიური აზროვნება. მასწავლებელთა კავშირებმა ჩრდილო ქვეყნებისამ

უკანასკნელ წლებში თავიანთ მოთხოვნა დღულება საბათა შორის წამოაყენეს მოთხოვნილება, რომ მათ ჰქონოდათ უფლება საბავშო ლიტერატურის კონტროლისა. იტალიასა და აშერივის მსაწავლებელთა ჯგუფი თვითონ შეუდგნენ საბავშო წიგნების გამა-მცემლობის საქმეს. ინგლისში და შეერთებულ შტატებში ამ საქმეში ერევიან აღვილობრივი თვითმართველობანი. საფრანგეთში დაიწყო ბრძოლა „ჯაშუშის“ ლიტერატურის წინააღმდეგ, რომელმაც იქ თავის გავლენით მიიღო საშინელი უბედურების მომასწავებელი სახე.

ჩემი მოხსენების საზღვრები და მთავარი მიზანი მავალებს, რომ ასე მოკლეთ შევეხო დასავლეთის საბავშო ლიტერატურას და არ მაძლევს ნებას აგრძელებ შევხერდე რუსეთის საბავშო ლიტერატურაზე. აღნიშნავ მხოლოდ, რომ იქ ისეთი წიგნების გამომცემლობათა მუშაობის მეოხებით, როგორც სიტინია, კარბასნიკოვი და გარსაუპარებით „პოსტედნიკი“, ძალიან მაღლა იდგა თარგმნილი საბავშო ლიტერატურა. და ამ უკანასკნელ წლებში სახალხო სანტიმენტარულ საბავშო ლიტერატურისაგან ზასოდიმსკის ტიპისა იყო ცდა, შეექმნათ საბავშო ლიტერატურა დასავლეთის ტიპისა. სამწუხაროდ, არ შემიძლია შევხერდე ბავშებისათვის მოთხოვნებზე ტოლსტოის დოსტოევსკის, ჩეხოვის და აგრეთვე რუსულ ლიტერატურის სხვა კორიფეების ნაწარმოებში.

არაუკრს ვიტუვი აგრეთვე თანამედროვე რუსეთის მთავრობის მიერ საბავშო ლიტერატურის დარგში მუშაობის შესახებ. არ ვიტუვი, რადგანაც ცნობები, რომლებიც ჩვენ მოვცდის ამ მუშაობის შესახებ ერთობ სხვ აღა სხვა გვარი და ერთი მეორის წინააღმდეგია. აღნიშნავ მხოლოდ, რომ იმ დიდ მუშაობაში, რასაც ბოლშევიკები ეწევიან ამ დარგში, და რისთვისაც ბევრი ცოდვა ეპატიებათ იმათ, არის ერთი ისეთივე ნაკლი—ეს ის, რომ—ისინი ბავშის წიგნთან ერთად, რომელიც სწვრთნის ბავშის სულსა და გულს, აძლევენ ბავშებს გასაგები ენით დაწერილ წიგნებს; საღაც ეწევიან კომუნისტურ აზრების პროპაგანდას.

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად დაუშვებელია საბავშო ლიტერატურის საქმისა და პარტიის პროპაგანდის საკითხების ერთმანეთში არევა. რამდენად ის ამასინჯებს ბავშვს სულიერად და ხელს უწყობს მის ცალმხრივ განვითარებას, ავიწროებს ბავშის გონებრივ ჰორიზონტს.

ახლა, თუ ჩვენ გადავალოთ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურიდან ჩვენ სამშობლო საბავშო ლიტერატურაზე, სამწუხარო სურათი გადავვე-



შლება თვალშინ. საბავშო წიგნების გამოშემლობის საქმე სრულიად მოტკიცილია ჩვენში. თარგმნილი ლიტერატურა არ არსებობს ცალ-ცალკე, ორიგინალური ნაწარმოები რჩებიან გამოუცემელი ჩვენი საბავშო უურნალების ფურცლებზე.. უურნალებიც, უნდა მოგახსენოთ, ძალიან სუსტად ვრცელდება და იძულებული არიან ქველმოქმედებით ისულდგმულნონ, სამეცნიერო პოპულიარული ლიტერატურაც აგრეთვე არ მოიპოვება. წიგნის გამოშემლობა ჩვენში ამდენ ხანს ხელმძღვანელობდა მხოლოდ ბაზრის მოთხოვნილებით. არ იყო არც სისტემა, არც რაიმე მეთოდი, არც რაიმე მეცნიერულ-პედაგოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობა. წასულში ამგვარი ჩვენ საბავშო ლიტერატურის უნუგეშო მდგომარეობა ცოტიად თუ ბევრად აიხსნებოდა ნაციონალური ჩაგვრით, რომელსაც შებოჭვილი ჰყავდა ჩვენი სამშობლო. თუმცა ეს არ არის გასამართლებელი საბუთი: აიღეთ პოლონეთის საბავშო ლიტერატურა და დარწმუნდებით, რომ შეიძლებოდა ბევრად მეტის გაკეთება და უკეთ საქმის დაყენება. მაგრამ ჩვენში საქმე ახლაც ამგვარ სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს. რით აიხსნება ასეთი მოვლენა? იქნება მწერლები არ არიან?

ეს მართალი არ არის. აიღეთ მშვენიერი ფერადი თხზულებანი ბავშებისათვის ქმათა რაზიკაშვილებისა, ქიაჩელისა, სოფტ. მგალობლიუმილისა. ი. სიხარულინისა, დ. კასრაძესა, მიმქრალისა, ქედამიძის ნაწერები და, საუცხოვო მხატვრული ენით აკინძული ჩვენი სოფლის ბავშების ცხოვრების ამბები ცქვიტისა ესენი და სხვა მრავალთა სახელები საკმაო არ არის, რომ ძალები საბავშო საუცხოვო ორიგინალურ ლიტერატურის შესაქმნელად ჩვენში არის? განა არ არის თავდები იმისი, რომ ჩვენ საბავშო ლიტერატურას დიდი განვითარება მოელის მომავილში, იქ სადაც სეტონ ტემსონისებურ რეალიკტური სულით გამსჭვალული გ. გოგუაძესთან ერთად მოგვეპოვება ისეთებიც, რომლებიც რაბინდრანათ თავორის სიმბოლიზმს გვაგონებენ თავიანთ სულიერი განცდებით, როგორც შაგ. ხაუმიას პარი ამბები!

ჩვენ გვყავს ძალები, რომელთაც შეუძლიათ ყველაზე უფრო საძნელო დარგის ლიტერატურაში — საბავშო ბელეტრისტულ ნაწარმოების შექმნა. მოიპოვება აგრეთვე ძალები თარგმნილი და მეცნიერულ-პოპულიარული ლიტერატურის შესაქმნელადაც. ჩვენი საბავშო ლიტერატურის სიღარიბის მიზეზი ძალების უჯონლობაში კი არ არის, არამედ სახელმწიფოებისა, საზოგადოებისა და პედაგოგიურ ინიციატივის უქონლობაა ამ საქმეში.

მაშ რა არის, თუ არ ინციატივის უქონლობა, თუნდ ეს ფაქტები
რომ ავილოთ, რომ ისეთმა საბავშო მწერლებმა, როგორც ძმები რაზიკა-
შვილები არიან, თელო და ბაჩანა, თითქმის მიატოვეს ამ დარღვი მწერ-
ლობა, რომ დაჩუმდა ქიაჩელი და ბევრი სხვა მწერლებიც. თქვენ თითონ
იყით და აქ აღარ ჩამოვთვლი, რომ შიო მლვიმელი, საბავშო მწერლო-
ბის დამამშვენებელი შიო, თავისი დრო და შრომა იძულებულია საბავშო
ლიტერატურის მაგიერ გულის გასაწყალებელ კორექტურას მოახმაროს?
ისეთ შეუდარებელ მწერალს ბივ შეგისთვის, როგორც იროდიონ ევლოშვი-
ლი იყო, თქვენ თვითონ იყით, რომ სიღარიბემ მოუღო ბოლო და მისი
ოჯახი უნუგეშო მდგომარეობაში დარჩა.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ იმავე მიზეზით ბევრი ლიტერატურული და მეცნიერული ძალები რჩებიან გამოუყენებლად, ბავშვების სულიერი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია. სახელმწიფო და საზოგადოება ნებას აძლევს ბულვარის ფურცლებსა და კინომატოგრაფებს ქალაქში, ცრუ-მორწმუნოებას და ჭორებს სოფლებში მომავალ მოქალაქეთათვის სული-ერად გამაფაქიზებელი წიგნის მაგიერობა გასწიონ.

რასაკვირველია ამაზე ლაპარაკიც მეტია, რომ ამ ნაირი მდგომარეობა
საშინელებაა ბავშვებისათვის.

რასაკვირველია, ამ ნაირ მდგომარეობას უნდა დავახტიოთ თავი. და
მე ახლა მინდა შევჩერდე იმაზე, თუ როგორ შეიძლება დავახტიოთ თავი,
მინდა შევჩერდე იმ პრაქტიკულ გეგმაზე, რომლის ორგანიზაცია საჭიროა
მოეწყოს ჩვენში თანამედროვე მომენტში საბავშო წიგნების გამომცემლო-
ბაზე ფართე მასშტაბით, რომელიც დაკმაყოფილებს ცხოვრების მოთხო-
ვნილებას.

ყველაზედ უწინ თქვენი ყურადღება უნდა მივაჭიო იმ ჰეშმარიტებას, რომ წიგნის გამომცემლობის საქმის ახლა მთლად კერძო მრეწველობელში დატოვება შეუძლებელია—გარდა იმ საზოგადო პრინციპისა მოსაზრებათა, რომლების შესახებაც მოგახსენეთ ზევით, საბავშო წიგნების გამომცემლობის შესახებ დასავლეთში, მე შევჩერდები წმინდა პრაქტიკულ მოტივებზე, რომლის ძალითაც ვამტკიცებთ, რომ საზოგადოება და სახელმწიფო უნდა ჩაერიცოს საბავშო წიგნის შექმნასა და გავრცელების საქმეში. წიგნების კერძო გამომცემლობანი მრავლდებიან წლობით კონკურენციის პროცესში და პაზრის ცვალებად კონიუტურას ეფუძნიან. კერძო წიგნის გამომცემლობანი დიდ ყურადღებას აქცევენ საქმეში მო-



ხმარებულ კაპიტალის პროცენტს. ამიტომ შეუძლებელია მოველოდეთ გამომცემლობათა აყვავებას ჩვენ ნიადაგზე, განსაკუთრებით ამ დროს, როცა კაპიტალი სულ მუდავ ზემოგვებისაკენ იღტვის, ჩვენი ქვეყანა კი მოითხოვს დაუყონებლად საღს საბავშო წიგნის გავრცელებას. ამ საქმე-ში-კი საქართველო გვერდს ვერ აუქცივს სახელმწიფო და საზოგადო თაოსნობას. რასაკვირველია, სახელმწიფო სახალხო განათლების სამინისტროს სახით, აგრეთვე საზოგადოება უნდა დაეხმარნენ იაფ და საღ საბავშო წიგნის შექმნის საქმეს.

თვით საბავშო გამომცემლობის საქმე კი, ჩემის აზრით, უნდა იკისრონ პედაგოგიურმა ორგანიზაციებმა. პედაგოგმა, განსაკუთრებით სახალხო სკოლის მოღვაწემ, ყველაზე უკეთ იცის თუ, რაგვარ სულიერ საზრდოს მოითხოვს ბავში მის სამშობლოში; მან ყველაზე უკეთ იცის, რა გვარი წიგნი ესაჭიროება ბავშებს. სახალხო სკოლის ასპარეზზე მოღვაწე, თავისი მდგომარეობით მოწოდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ბავშების სკოლის გარეშე განათლებას, იმისი მოვალეობაა, რაც შეიძლება ვრცლად მოჰყინოს საღი წიგნები ბავშებს შორის; ბოლოს პედაგოგს გარდა არავის არ შეუძლია დაუკავშიროს საბავშო გამომცემლობა სკოლაში მუშაობას, რათა სკოლამა და საბავშო წიგნმა შეავსონ ერთმანეთი და აღზარდონ თანხმობით მომავალი მოქალაქენი, ახალი ცხოვრების შემოქმედნი. სწორედ ამ მოსაზრების გამო მე ვადგენარ იქ აზრს, რომ საბავშო წიგნების გამომცემლობა პედაგოგიურ ორგანიზაციების ხელში უნდა იყოს; რასაკვირველია, იმათ კონტროლი და დახმარება უნდა გაუწიონ სახელმწიფო, აგრეთვე აქტიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს საზოგადოებამ.

პრაქტიკულად ეს საქმე ასე იხატება ჩემ თვალწინ: პედაგოგები საზოგადო კრებაზე, ან კრების ცენტრალ კომიტეტი ირჩევს საგამომცემლო ცენტრს. ამ ცენტრს შეაღვენენ პედაგოგების კომისია, რომელიც კონტროლს უწევს გამომცემლობის იდეურ და მატერიალურ მხარეს, და ორი განსაკუთრებით მოწვევული პირი — გამომცემლობის იდეური და მატერიალური მხარეების ხელმძღვანელნი. გამოცდილებამ დაგვარშმუნა, რომ გამომცემლობის კოლეგიალური ხელმძღვანელობა თავის დღეში ნაყოფიერი არ ყოფილა. კოლეგიას უნდა ეკუთვნოდეს კონტროლი, საერთო პრინციპების შემუშავება, ამ პრინციპების პრაქტიკული განხორციელება კი, თანამშრომლების მოწვევა, განზრახული გეგმის

დაწვრილებით შესრულება, გამომცემლობის ტეხნიკური მხარე სპეციალისტების ხელში უნდა იყოს.

ახლა უნდა შევეხო საგამომცემლო ცენტრის მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებს, უნდა აღვნიშნო, რომ აქ ბუნებრივად იბადება საკითხი ყველა საბავშო გამომცემლობათა სამ უმთავრესს საგნის შესახებ: საბავშო ორიკინალ ბელეტრისტიების დარგის ორგანიზაცია, პოპულარულ-მეცნიერული და თარგმნილი ლიტერატურის დარგების ორგანიზაცია. საგამომცემლო ცენტრმა უნდა შეიმუშაოს გეგმა—რაგვარი წიგნი, რა მიმართულებისა და დაახლოებითი შინაარსის უნდა იყოს. გამოცემული პირველი რიგში. იდეური მხარის ხელმძღვანელმა უნდა მოძებნოს მწერლები, ბელეტრისტები, მეცნიერები, მთარგმნელები, მხატვრები ილიუსტრატორები, დაავალოს იმათ პრაქტიკული საქმე მათი ნიჭისა და ცოდნის თანახმად. უნდა თვალყური ადევნოს და შეძლების დაგვარად ხელმძღვანელობა გაუწიოს იმათ მუშაობას.

გამომცემლობის მატერიალური მხარის გამგემ უნდა იზრუნოს საქმის ტეხნიკური ორგანიზაციისათვის.

საბავშო წიგნების გამომცემლობა რთული საქმეა კულტურულ მუშაობის ასპარეზზე. მცირე რამ სიყალბე, მცირე დარღვევა მხატვრულ ხარისა უკვე რყვნის ბავშის გონებას და, თუ ყურადღება არ მიეკცა ბავშის სულიერ მოთხოვნილებას, ბავშს ხელსაც აღებინებს წიგნის კითხვაზე. ცხადია, რამდენად ძნელი და პასუხსაგები იქნება მუშაობა საგამომცემლო ცენტრისა, განსაკუთრებით კი გამომცემლობის იდეური მხარისა. ამ მუშავბას დაეკარგება მნიშვნელობა, თუ არ იქმნა ცოცხალი კავშირი საგამომცემლო ცენტრისა და აღგილობრივ პედაგოგებს შორის. პედაგოგებმა უნდა მიაწოდონ ცენტრს ცნობები, თუ რანაირი შთაბეჭილება მოახდინა ამა თუ იმ წიგნმა ბავშებზე, თავისი დასკვნა იმის შესახებ, თუ რა წიგნები ეთანხმება ბავშების დღევანდელ მოთხოვნილებას, უნდა აღნიშნონ ლირსება და ნაკლი გამომცემლობისა და თავისი ცოსაზრება აჩის შესახებ, თუ რა და რა წიგნები უნდა გამოიცეს პირველ რიგში. ცოცხალი კავშირი აღგილობრივ პედაგოგებსა და საგამომცემლო ცენტრისა—მომავალი გამომცემლობის ნაყოფიერების სატურელია.

ვასტულებ რა ჩემ მოხსენებას, უნდა განსაკუთრებით აღვნიშნო ორი საგანი, რომელიც შეეხება ჩემგან განზრახულ საგამომცემლო ცენტრის მოღვაწეობას: პირველი საბავშო უურნალი დღემდის როგორც ჩვენში,



ისე სხვაგან საბავშო უურნალები არ იყვნენ უურნალები ამ სიტუაციაში კრელი მნიშვნელობით. ეს იყო მოთხრობების, სამეცნიერო წერილების და ლექსების კრებული. ღლევანდელი ცხოვრება კი ერთობ გართულებულია, იმდენი ამბები დატრიალდა ბავშების თვალზე, ისე ძლიერ იმოქმედდა იმის სულზე ყველაზან, რომ დიდი დანაშაული იქნება ყურადღება არ მივაქციოთ ამ მხარეს და იძულებულ ვყოთ ბავშები ეძიონ მომხდარ ავტების განმარტება, მოირდილების შემთხვევით კამათის დროს, ყალბათ შეტყისებულ აზრებით საგანეტო წერილებიდან და ქუჩებში მითქმა-მოთქმისაგან გამოიტანონ დასკვნა. ნამდვილი საბავშო უურნალი ღლევანდელი არსებითი მოთხოვნილებაა. ამ უურნალმა ბავშებისათვის გასაგები ენით გააშუქოს დიდ მნიშვნელოვანი ამბები მსოფლიოში და ბავშის სამშობლოში, შესანიშნავი აღმოჩენანი, დიდებული ნაწარმოებნი და შესანიშნავი თანამედროვე იდეები. სანამ წიგნების სიმუირეა ჩვენში—უურნალებშია წიგნების მავიერობა უნდა გასწიონ. როცა საბავშო წიგნების გამომცემლობა განვითარდება, საგამომცემლო ცენტრი შექმნის ს. ბავშო უურნალის ახლო ტიპი. ამ ქამად კი საგამომცემლო ცენტრმა, ჩემის აზრით, დაუყონებლივ უნდა შექმნას, ან ხელი შეუწყოს ისეთ საბავშო უურნალის შექმნას, სადაც ძველი ტიპის უურნალის კრებულში შეტანილი იქნება ახალი განყოფილება დღევანდელი მომენტის მოთხოვნილების თანახმიდ.

• მეორე საგანია საბავშო თეატრი. საბავშო თეატრის წინააღმდეგ ბევრი რამ ითქვა და დაიწყრა. მე ახლა არ გამოუდევი საბავშო თეატრის მოწინააღმდევებებთან კამათს. მე აღვნიშნავ მხოლოდ ფაქტს: ბავშები თვითონ ჰქმიან თავის თეატრს. როგორც თამაშობა— ყოველთვის თეატრია ბავშვისათვის, ისე თავისი თეატრი ყოველთვის საყვრელი თამაშობაა მათვენის. ბავშები ახოლები პიესებს, ეძებენ და ვერ პოულობენ. თვითონ ჰქმიან პიესებს, გამოძენიან ხოლმე წიგნებს ბაზარზე ძველი მხატვრული გრძნობის შემლახვილ ნაწარმოებს და იმით სარგებლობენ. მომავალმა გამომცემლობამ უნდა აკუთვნოს შესაფერი აღვილი საბავშო პიესებს. შესაფერ სიუჟეტების მოძებნა, ისეთ პიესების შექმნა, რომლებიც ნამდვილად აღზრდიან ბავშის სულსა და გულს, -- ყველა ეს პედა-გოგების საქმეა.

ჩემი მოხსენება არსებითად დასრულებულია, მაგრამ მე არ შემიძლია დავსრულო იგი, თუ არ აღვნიშნე, რა განსაკუთრებული მნიშვნე-

ლობა აქვს ჩვენ საქართველოში დღევანდელ მომენტში საბავშო გამომ-
ცემლობის წესიერად მოწყობას.

მთელი მსოფლიო წყობილების ღიდებულ გარდაქმნის დროს გამო-
ვიდა ჩვენი ერი დამოუკიდებელი სახელმწიფო — აღმშენებლობის გზაზე
თავისი კულტურის აღორძინების ასპარეზზე. ტანჯვითა და წვალებით
სწარმოებს ღიდებული მუშაობა ახალი ცხოვრების შესაქმნელად. იმისა-
თვის, რომ ცუდად არ ჩაიაროს ამ მუშაობამ, რომ წუთიერი მნიშვნე-
ლობა არ მიეცეს ჩვენი ხალხის კულტურულ შემოქმედებას, საჭიროა
მტკიცე საფუძველი მისი მომავლისათვის. ეს საფუძველი ჩვენი ბავშებია.
მომავალმა თაობამ უნდა განაგრძოს ჩვენი მუშაობა, უნდა დაასრულოს
დღეს დაწყებული საქმე. ამავე დროს, ძილიან ხშირად დღევანდელ დი-
დებულ ამბების მნიშვნელობას ჩრდილავს ბავშების გულში მიმდინარე
ცხოვრებისაგან გამოწვეული ტანჯვა, მომავალი შემოქმედებისათვის სა-
ჭირო ბავშების სულიერი ძალა მახინჯდება დღევანდელი მორალურ და-
ცემისა და საერთო ნგრევის გამო. ბავშები ზნებრივათა და გონებრი-
ვად იღუპებიან ჩვენ თვალწინ. იმ დროს, როცა ბავშების წესიერი აღზრდა
ისე საჭიროა ჩვენი სამშობლოსათვის, როცა იმდენი საფრთხე მოელის
ბავშის სულსა და გულს, განსაკუთრებული. მნიშვნელობა აქვს საბავშო
წიგნს, რომელიც აღზრდის მომავალ მოქალაქეთა ნებისყოფას, ფიქრსა
და გრძნობას, იხსნის მათ ქუჩისა და უვიცობის საშიშარ გამხრწნელ
კლასჟებისაგან.

ყველა, ვინც ჩვენი ერის მომავალზე ფიქრობს, ვისაც ენატრება
ჩვენი სამშობლოს ზრდა და აღორძინება, ვისი მთრთოლვარე ფიქრიც
უკვირდება, თუ როგორი იქნება კაცობრიობის მომავალი ნაბიჯები ახა-
ლი ცხოვრების შესაქმნელად, ყველა იმათვეს ძვირფასი უნდა იყოს სა-
ბავშო წიგნი - საბავშო გამომცემლობა. განსაკუთრებულით ძვირფასი უნდა
იყოს იგი იმათვეს, ვის ხელშიც არის მომავალ თაობათა ფიქრი და
გრძნობა — სკოლის მოღვაწეთათვის. მე, ეჭვი არა მაქვს, რომ თქვენ სკო-
ლის მოღვაწენი, ყველაზე უკეთ იცნობთ ბავშების სულიერ საჭიროებას
და მოთხოვნილებას და არ დაზოგავთ შრომას იმისათვის, რომ საქართ-
ველოშიც გაჩნდეს მეცნიერულ-პედაგოგიისა და დღევანდელ მომენტის
შესაფერი საბავშო გამომცემლობა.

(შემდგა იქნება)

მოწერილი აპები.

განათლების საკითხი აფხაზეთში.

1917 წლის შემოდგომიდან 1919 წლის შემოდგომამდე იშვიათ შემთხვევის გარდა სოფლის სკოლებში მეცადინეობა არ ყოფილა. ამის მიზნი ის იყო, რომ სკოლებს პატრიანი არ ყავდა, ხოლო სკოლების ინსპექტორის ანიკინისათვის სკოლებში მეცადინეობა იქნებოდა თუ არა, სულ ერთი იყო. 1919 წლის შემოდგომიდან მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ ზოგიერთ სკოლებს მასწავლებლები არ ყავს და მეცადინეობა შეჩერებულია. სამურჩაყანოს მასწავლებლები ქართულში, იშვიათ შემთხვევის გარდა, ძლიერ სუსტნი არიან. თუმცა 1919 წლის ზაფხულში დაბა გალში მოაწყეს სამურჩაყანოს მასწავლებელთათვის მოკლე-ვადიანი კურსები, მაგრამ ამას მხოლოდ ცოტა სარგებლობის მოტანა შეეძლო. ნაციონალიზაცია ქართულ (მეგრულ) სკოლებში ბევრს აღვილას არ მომზდარა. მასწავლებლები თუ ასწავლიან ქართულს, მხოლოდ როგორც ერთ საგანს, ხოლო რუსულის, არითმეთიკის და სხვა საგნების სწავლება რუსულადაა. სკოლებისათვის ინსტრუქტორები ვერ უშოვიათ. სამურჩაყანოში — ინსტრუქტორის თანამდებობას ასრულებს ერობის გამგების წევრი (შობის შემდეგ ამბავი არ ვიცი) ბ. ივანე გეგელია, ხოლო გუმისტისას — სოხუმის ქართულ სკოლის (გიმნაზიის) გამგე ბ. ვასილი აღმია. ამ თანამდებობათა ერთად გოთავსება არაა სასურველი.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან მეგრელები, რომლებიც აბხაზეთში არიან ჩასახლებულნი. მაგ. სოფ. ტამუშში 50 კომლი მეგრელი სახლობს. მათი შვილები აბხაზებთან ერთად აბხაზურს და რუსულს სწავლობენ, ხოლო ქართულის მასწავლებელი არა ყავთ. გუდაუთის ქართულ სკოლისათვის მასწავლებელი ვერ უშოვიათ. — განსაკუთრებით ცუდ პირობებშია სოხუმის სასწავლებლები. რეალურში, სემინარიაში, ქალთა გიმნაზიაში და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში ნაციონალიზაცია სულ არ დაწყებულა. გარდა ქართულ ენის, მასწავლებლებისა ყველა მასწავლებლები უცხო ტომის არიან. სემინარიის დირექტორი უფრო რუსია, ვინემ ქართველი. სემინარიის და მასთან არსებულ

სასწავლებლის ქართულის მასწავლებელი ქურიძე ბოლო დრომდი კვ-
რაში 3-4 გაკვეთილს აძლევდა, რადგან ქართულის მეორე მასწავლე-
ბელი ვერ ეშოვათ.

სემინარიაში ქართველთა რიცხვი 2-3-ია, ხოლო სხვა სასწავლებლებ-
ში (სოხუმში) დაახლოვებით 50% . არის ქართული სასწავლებელი, რო-
მელსაც გრძნაზიას უწინდებენ და აქვს მარტო 1 და მოსამზადებელი კლა-
სები, სადაც მართლა არის ნაციონალიზაცია. ეს სასწავლებელი განაპი-
რასაა და სიშორასა გამო ბევრი მსურველი ვერ აძლევენ მასში თავის
შეიღებს. ამ სასწავლებელს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო
დემოკრატიული რესპუბლიკა, სამარცხვინდ წ. კ. ს. სოხუმის განყო-
ფილება ინახავს და თვითურად ხარჯავს დაახლოვებით 13-14 ათასს მანეთს
მაშინ, როცა მთავრობას უნდა მიეღო ამ სასწავლებლის. შენახვა, ხოლო
წ. კ. ს. განყოფილებას ქართულ წიგნების გავრცელებისათვის უნდა მოე-
კიდნა ხელი. თუმცა აღძრულია შეუძლებელობა, რომ სამინისტროს მიე-
ღო აღნიშნულ სასწავლებლის შენახვა 1 იანვრიდან ამა წლისა, მაგ-
რამ პასუხი ჯერ არაა.

გარდა ამისა სოხუმში არის ორი პირველ დაწყებითი ქართული
სკოლა (ქალაქის), სადაც მესამე განყოფილებიდან რესულის სწავლა სა-
ვალდებულოა.

ქ. გაგრაში არის რეალური სასწავლებელი, რომელიც წმინდა რუ-
სულია და ქართულის სწავლებაზედ არავის უზრუნველყოფა.

რომ მასწავლებლები დასთანხმდნენ საქართველოდან ქ. სოხუმში
და აბხაზეთის სამივე მაზრაში — კოდორის, გუმისტის და გუდაუთის სას-
წავლებლებში მასწავლებლად გადმოსცვლაზე (სამუჩაზაყანოსათვის პრივი-
ლეგიები საჭირო არაა), მთავრობამ უნდა ინებოს: აღნიშნულ მაზრების
იმ მასწავლებლებს, რომლებიც გადმოვლენ საქართველოდან უნდა მიე-
ცის: I. ცოლშეიღის და სიშორის მიხედვით გზის ხარჯი.

II. უნდა მიემატოს საქართველოში მიღებულ ჯამაგირს არა ნაკლე-
ბი 25% -ისა.

III. შეუძლებელი პენსიის დამსახურებისათვის ვადა.

IV. როგორც მათ, აგრეთვე დღემდი გადმოსულებს, როგორც სო-
ფლების, ისე ქალაქების მასწავლებლებს მიეზომოს ნორმით მიწა, რომ
ინტელიგენტ-ქართველთა რიცხვი აბხაზეთში გამრავლდეს, იმ პირობით,
რომ ამ დროის შემდეგ მათ იმსახურონ არა ნაკლებ ხუთი წლისა.



შეიძლება, რომ აბხაზეთში ამან რამე უსიამოვნება არ გამოიწვიოს, პრივალეგიები გავრცელდეს ყველა მასწავლებლებზე, რომლებსაც დღემდის საქართველოს ქვეშვერდომობა მიუღიათ.

აბხაზების სკოლებისათვის უნდა შესდგეს სახელმძღვანელო აბხაზურ ენაზე, მაგრამ დაიბეჭდოს არა რუსული კუდიანი ასოებით, არამედ ქართულით. დაბეჭვდა უნდა მოეწყოს უსათუოდ ტფილისში. გარდა ამისა აბხაზების სკოლებში, ჩემი აზრით, უნდა შემოლებულ იქნას ქართულის სწავლება მესამე გამყოფილებიდან და არა უმაღ. დაწყ. სასწავლებლის 1 კლასიდან. 1905 წელს კოდორის მაზრის აბხაზებმა მოითხოვეს ქართულის საგალდებულო სწავლება მათ სკოლებში; დადგენილებანი ამის შესახებ წარმოადგანეს სოხუმის საეპარქო სამოსწავლო საბჭოში.

აბხაზეთის სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში დახმარება შეუძლიათ ზოგიერთ ჩვენებურ მღვდლებს, რომლებმაც აბხაზური კარგად იციან და მასწავლებლად დიდხანს ყოფილან. ამისთანაა, მაგ., სამურჩაყანოის გუდავის დეკანზი ბართლომე ხარებავა.

იმდრია, რომ მასწავლებელთა კავშირის ცენტრი ყოველისუერს ზემოხსენებულს ყურადღებას მიაქცევს და სათანადო ზომებს მიიღებს მთავრობის წინაშე.

ერთი მასწავლებელთაგანი!

სახალხო განათლება ზუგდიდის მაზრაში. *)

ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმისანთა ყრილობაზე გამგეობის წევრი სილოვან ცხაკაია პირველ ყოვლისა ეხება სწავლა-აღზრდის საქმის მდგრადირეობას საერთოდ და ონიშნავს, რომ ჩვენი სკოლები განიცდიან გარდამავალ ხანას და არც ერთ მაზრაში ჯერ-ჯერობით საქმე ამ მხრივ არ არის სასურველი დონეზე დაყენებული.

რევოლიუციის დროს სკოლები ზუგდიდის მაზრაში დარჩნენ სრულიად მივიწყებული და უპატრონონი. სასწავლებელნი სამიტინგო დარბაზებად იქცნენ. ანარქიის დროს გაანადგურეს სკოლები, დაიტაცეს ნივთები და სხ. და სხ. ასე, რომ 1919 წ. ერობის ხელში გადმოვიდა ორი წლის განმავლობაში უპატრონოთ დარჩნილი დანგრეული სასწავლებლები.

*) ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობაზე წაკითხულ გამ. წევ. ცხაკაიას მოხსენებიდან.



ერობამ დაისახა მიზნათ, დანგრეულ სკოლების აღორძინება და სწავლა-აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა, და სკოლების რიცხვის გამრავლება, როგორც ამას მოითხოვდა ხალხში გაძლიერებული განათლების მიღების სურვილი ამ საქმის მოგვარება ნორჩ ერობისთვის აღვილი საქმე არ არის.

დღიდან ერობის შემოღებისა მის ხელში გადმოვიდა დაბალ დაწყებითი სასწავლებელნი: 69—საკუთარი შენობებით, 21—ნაქირავები შენობით, ამათში სულ 15 სასწავლებლის შენობა ცოტად თუ ბევრად უზრუნველიყვნენ, დანარჩენნი კი საჭიროებდნენ დიდ რემონტს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სკოლების შეკეთების საქმეში ერობის მუშაობას ბევრი რამ გადაელობა წინ. ამას აფერხებდა ტეხნიკური ძალების სიმურიე მაზრაში და გარედან კი ასეთი ძალები ვერ მივიჩიდეთ ჯამაგირების სიმურის გამო. მოუსავლობამ ჩვენი გლეხობა შიმშილობის წინ დააყენა და ერობამაც მას ვერ მოსთხოვა დახმარება. მთავრობის დახმარებით, ერთის მხრით, და თემების და საკუთარი თანხის საშუალებით, მეორე მხრით, მომხსენებელი იმედოვნებს, რომ მომავალ წლისთვის საქმე ცოტა თუ ბევრად მოგვარდება.

მიუხედავად დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ხალხში მომწიფებულმა სწავლის სურვილმა უკარნახა ერობას ახალი სასწავლებლების გახსნა. ამ წლის განმავლობაში მან გახსნა 15 დაბალი პირველ დაწყ. სასწავლებელი, გარდა ამისა სხვა და სხვა სასწავლებლებთან გახსნა ახალი კომპლექტები და სხ.

საერთოდ 1920 წ. 1 იანვ. ჩვენს მაზრაში ითვლებოდა 103 დაბალ-დაწყებ. სასწავლებელი. სულ ამ სასწავლებლებში 228 მასწავლებელია. სწავლობს დაახლოებით 9000 მოწავე, გარდა ამისა მაზრაში კიდევ არ-სებობს რამდენიმე საზოგადოების ხარჯით გახსნილი დაბ. დაწყებითი სასწავლებელი. ის მცირე თანხა, რომელსაც იძლევა ხაზინა, ვერ ფარავს სამეურნეო ხარჯებსაც სკოლებისას და ერობას და თემები თითონ უვლიან მათ.

მომხსენებელი გადადის მასწავლებელთა პირად შემადგენლობაზე და მათ მომზადებაზე და ამბობს, რომ ძველი დროის რესიტაციულმა პოლიტიკამ ის მძიმე შედეგები გვიანდერდა, რომ მაზრაში მცირე რიცხვი მოიძებება ქართულის საჭიროდ მცირდნე და პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებლები. ერობას უნდა გამოენახა საშუალება, რათა ეს

ნაკლი შეძლების დაგვარად მაინც დაეფარა და ამისთვის მან მოაწყო მას-
წავლებელთათვის საზაფხულო კურსები, რომელზედაც დაესწრო 60 მას-
წავლებელი. გარდა ამ კურსებისა გამგეობამ მოიწვია ორი ინსტრუქტორი,
რომლების მოვალეობას შეაღენდა სკოლების თვალ-ყურის დევნება და
ხელმძღვანელობა პედაგოგიური მხრით. ერობამ გადადგა ნაბიჯები, რომ
მიაწოდოს მასწავლებლებს სოფლად კურნალ-გაზეთები, სახელმძღვანე-
ლოები, მოაწყოს პედაგოგიური კურსები და სხ. მასწავლებელთა პრო-
ცესიით დღეს არ არის არავინ დაინტერესებული, რადგანაც მასწავლებ-
ლის ჯამაგირი უზრუნველ არ ყოფს ადამიანს ამის გამო მასწავლებელთა
რიცხვი მცირდება თანდათან, თან არ მოვვეპოება ისეთი პედაგოგიური
კურსები, რომელსაც შეეძლოს ახალი მასწავლებლის მოცემა. ესაა მიზე-
ზი იმ ერთ თვის კურსების გახსნის, რომელიც გასულ წელს მოეწყო
ქუთაისში, ერობამ აქედანაც გაგზავნა ამ კურსებზე მსმენელები. ასეთი
სიმცირე მასწავლებელთ რიცხვისა არის მიზეზი აგრეთვე იმის, რომ დრო-
ებით დაშვებულ იქნენ მასწავლებლად უუფლებო პირები. რომ ასეთ
მდგომარეობიდან თვი დავახტიოთ, ერობას განზრახული აქვს მოაწყოს
ზუგდიდში ექვსთვიანი კურსები.

მაზრაში არსებობს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი:
2—სახაზინო, 8—საერობო და 2—საზოგადოების ხარჯით გახსნილი.

მომხსენებელი აცნობს ყრილობას იმ უმწეო მდგომარეობას, რო-
მელსაც განიცდიან რეა საერობო მაღ. დაწყ. სასწავლებელი და იმ და-
ხმარებას, რომელიც მათ ერობამ აღმოიჩინა.

მასწავლებელთა საკითხი მაღალ-დაწყებით სასწავლებლებში უარეს
მდგომარეობაშია, ვინემ დაბალ დაწყებითში.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ გამგეობამ თუ ბევრის გაკე-
თება ვერ შესძლო, მაინც შეუძლია თვის მოვალეობის ასრულების შე-
გნებით სთვას დამშვიდებულად, რომ საქმისთვის საჭირო წინასწარი მუ-
შაობა მან მოათავა.

გაზ. „ერთობა“.

ქ რ მ ი პ ა.

სრულიად საქართ. მასწ. კავშირში.

12 მარტს 1920 წ. შესდგა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობდა ვ. ბურჯანაძე. კრებას დაესწრენ: ალ. წერეთელი, მ. ზანდუკელი, პ. თალაქვაძე, ალ. ფირცხალაშვილი, ევ. ოდიშარია, ვ. ბურჯანაძე, პ. ჭავიშვილი, პ. მეტრეველი და ა. ფალავა.

1. მდივანი პ. ჭავიშვილი კითხულობს წინა სხდომის ოქმს.

საბჭომ ოქმი ღამტეკიცა.

2. ვ. ბურჯანაძე აკეთებს მოკლე მოხსენებას აღმასრულებელი ბიუროს მოქმედების შესახებ. ბიუროს მსვლელობა მიუცია საბჭოს ყველა დადგენილებისათვის. აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობის და სამინისტროს წინაშე სამასწავლებლო სახლისათვის საჭირო შენობის დათმობის შესახებ, რასაც სამინისტრო მხარს უჭერს, მაგრამ მთავრობაში ჯერ არ გარჩეულა ეს საკითხი. ასევე მანგლისის აგარაკის საქმეც. დროებით ბინა კი ბიუროს ვერსად უშოვნია. აღძრულია შუამდგომლობა, რომ უურ „განათლებას“ მიეცეს თვიურად 20,000 სუბსიდიად. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა, რომ რესპუბლიკის მასწავლებლებს მიეცეს სანოვაგე ბიუროს საშუალებით და სხვა.

საბჭომ მოისმინა მოხსენება და გადავიდა მორიგ საკითხებზე.

3. ვ. ბურჯანაძე კითხულობს საბჭოს რეგლამენტის პროექტს.

საბჭო ამტეკიცებს რეგლამენტის მცირე ცვლილებით.

4. ვ. ბურჯანაძე მოახსენებს საბჭოს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის შასახებ, რომ აღმ. ბიუროს უკანასკნელ დრომდის არ ჰქონდა საშუალება სისრულეში მოეყვანა ყრილობის და საბჭოს დავალება და წარედგინა სადაც ჯეთ-არს დასაბუთებული მოხსენება ამ საგანზე, ვინაიდან ყრილობის ოქმები, რომელითაც უნდა ეხელობდან ელა ბიუროს, დალიან გვიან გადმოგვცეს ყრილობის მდივნებმა. ეხლა კი ოქმები იბეჭდება „განათლებაში“ და ბიუროც შესარულებს დავალებას. პროვინციან მოგვდის ცნობები, რომ ერობის გამგეობები დროშედ არ აძლევენ



ჯამაგირს მასწავლებლებს. სამინისტრო კი თავის დროზედ უხსნის კრე-
დიტებს ყველა ერობებს.

საბჭომ დაადგინა:

ეცნობოს ამის შესახებ სახელმწიფო კონტროლს და მთავრობას.

ბიურომ მაიშვიოს საბჭოს საგანგებო სხდომა ერთი კვირის განმა-
ვლობაში და წარუდგინოს განსახილველად მასწავლებელთა საპენსიო კა-
სის ძირითადი დებულებანი.

5. მიწის ძრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ ბიუროს
განკარგულება არ იქმნა სისრულეში მოყვანილი, ვინაიდან სამინისტრომ
განმეორნათ მოსთხოვა საშუალო სასწავლებლებს ფულების სამინისტროში
წარდგენა.

საბჭომ დაადგინა:

წინადადება მიეცეს საშუალო სასწავლებლებს მეორეჯერ შეაგროვონ
შეწირულება და გადასცენ აღმ. ბიუროს. დაბალ სკოლებს კი არავინ
უშლის სისრულეში მოყვანილ ბიუროს პირველი განკარგულება.

6. წაკითხულ იქმნა ქ. გორის მასწავლებლების თხოვნა, რომ გორის
უბედურების შემდეგ ესენი უადგილოდ და უჯამაგიროთ დარჩენ და მიე-
ცეთ მათ საღმე ადგილი.

საბჭომ დაადგინა:

ეთხოვოს სამინისტროს, რომ დაზარალებული მასწავლებლები, ვი-
საც კი შეუძლია სკოლაში მეცადინეობა დაინიშნონ ადგილებზედ, სადაც
ასეთი აღმოჩნდება და ისინიც თანახმანი იქნებიან. ჯამაგირი კი არავის
მათგანს არ შეუჩერდეს.

* * *

31 მარტს, შესდგა სტულ. საქართ. მასშ. კავშირის საბჭოს წევრთა
სხდომას, სხდომას დაესწრნენ: წევრნი ალ. ფირცხალაიშვილი, პოლ. თა-
ლაქვაძე, პ. ჭანიშვილი, პ. მეტრეველი, გ. გიორგობიანი, ვ. ბურჯანაძე,
ევგენი ოდიშარია, მერაბაშვილი; წარმომადგენლები გორის ქალთა და
ვაჟთა გიმნაზიებისა, ხონის გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ბახთაძე ქუთა-
ისის მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი აბზანიძე. თავმჯდომა-
რეობდა ვ. ბურჯანაძე. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინანდელი
სხდომის ოქმი. ოქმის დამტკიცების შემდეგ კრებაშ დაამტკიცა ბიუროს
მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი მცირე ოდენი ცვლილებით.

ვარლ. ბურჯანაძე აკეთებს მოხსენებას ბიუროს მოქმედების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროს აღუძრავს შუამდგომლობას სასურარტო მოხსენების და განათლების სამინისტროს წინაშე მასწავლებელთათვის სანოვაგის მიცემის შესახებ და განათლების სასინისტროს დახმარებით კიდევაც მოუგვარებია ეს საქმე. სანოვაგე მიუღიათ ნაღდ ფულზე შორაპნის მაზრის მასწავლი. კავშირს და ლეჩხუმისას, ამ უკანასკნელს ნისიათ ერთის თვის ვაღით. დანარჩენი მაზრებიც მიიღებენ. ბიუროს ამ საქმის ხელმძღვანელობა დაუკისრებია თვის მდივნისთვის (ჭანიშვილისთვის). ბიუროს შუამდგომლობა უურ. „განათლების“ თვის ყოველ თვითური დახმარების აღმოჩენის შესახებ, განათლების სამინისტროს კიდევაც დაუკმაყოფილებია და ბიუროს მიუღია გ. უურნალის მორიგი №-ის გამოცემის ხარჯების დასაფარავად 20,000 მანეთი.

ბიუროს მოწოდებას მიწის ძერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ წვლილის გაღების შესახებ სასწავლებლებზე თანაგრძნობით შეხვედრიან და ბიუროს უკვე მიუღია დღემდე 25,000 მანეთამდე. შორაპნისა და ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების და ჯამაგირებით თავის დროზე დაკმაყოფილების შესახებ ბიუროს მიუღია სათანადო ზომები განათლების სამინისტროს საშუალებით და იმედს გამოსთვამს, რომ ამიერიდან მასწავლებლები თავ-თავის დროზე მიიღებენ ხველრ ჯამაგირს.

ბიუროს მიუღია აგრეთვე სათანადო ზომები ბინის შენონის შესახებ და იმედი აქვს, რომ როგორც საბჭოს, ისე რედაქციის საჭიროებისათვის სულ მოკლე ხანში იქნება ბინა...

გორის გიმნაზიის მასწავლებელთა წარმომადგენელი აღნიშნავს იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიაც არიან ჩავარდნილი გორის გიმნაზიის მასწავლებლები, უმთავრებად უბინობის გამო. ბინა მიუციათ სასულ. სემინარიის შენობაში,—მაგრამ ძლიერ უსუფთაო და მასთან დაშორებული სასწავლებელზე. საბჭოშ მანდატ თავმჯდომარეს და ა. ფორცხალიშვილს შუამდგომლობა მინისტრის წინაშე, რათა გორელი მასწავლებლები დაებინავებია საოსტ. ინსტიტუტის შენობაში, ან სხვაგან უფრო ახლოს დამოხერხებულ ადგილზე.

ქუთ. მასწავლებელთა წარმომადგენელი ამ. აბზინიძე აკეთებს მოხსენებას ქუთაისის მასწავლებელთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი პარმიზანის, რომ პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების საშინალად აწევის გამო ყველაზედ უფრო ცუდს მდგომარეობაში მას-

წველებლები ჩავარდნენ. მცირე ჯამაგირი მათ არ ჰყოფნის მარტო გვუ-
რის ფასად. ჩაცმა-დახურვის მხრით ხომ უკიდურესს გაჭირვებას განიც-
დიან; ზოგს საცვალი არ აქვს, კლასში მოწაფეებთან მეცადინეობის დროს
პალტოებში არიან, რომ დახეული შარვალი დამალონ. მასწავლებლებმა
არ იციან, როგორ შეუძლიათ მათ შიმშილს თვის დახურვინ. დასასრულ
აბზიანიდე სთხოვს საბჭოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მას-
წავლებლებს მიეცესთ ერთი თვის საყოფი ფქვილი და ამ სააღდგომოდ,
ერთდროული დახმარება. მოხსენების გამო საბჭო აღგენს მიენდოს ბიუ-
როს სათანადო შუამდგომლობის აღძვრა ვისთანაც ჯერ არს.

ხონის მასწ. წარმომადგენელი ბ-ნი ბახტაძე ხაზს უსვამს იმ გარე-
მოებას, რომ ხონის მასწავლებლებს სრულიად არ მოეპოვებათ ტანსაცმე-
ლი და ამ მხრით დიდს გაჭირვებას განიცდიან და მათ აუცილებლად
უნდა მიეცესთ შეღავათიან ფასებში ქსოვილები.

ყველა მოხსენებები ადგილებიდან საბჭომ დიდ ყურადსალებ ამბად
აღიარა და მიიღო თავზე ყოველგვარი ზომების მიღება მოხსენებებში
აღნიშნულ მოთხოვნილება-საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ვ. ბურჯანაძე ეხება დაწვრილებით მასწავლებელთა ნიეთიერი მდგო-
მარეობის საკითხს საზოგადოდ და კერძოთ დაწყებით სკოლების მასწავ-
ლებლებისას, რომელთა უზრუნველ ყოფა ერობათა კიოხულს შეადგენს,
აღნიშნავს იმ გამწვავებულ ურთიერთობას მასწავლებელთა ორგანიზაციე-
ბის და ერობათა შორის, რომელსაც ამ ბოლო დროს ჰქონდა ადგილი.
მოჰყავს კონკრეტი ფაქტები შორაპნისა და ქუთაისის მაზრის ერობათა
ცხოვრებიდან. აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა ორგანიზაციები, სამწუ-
საროდ, ერთმანეთ შორის შეუთანხმებლად მოქმედებენ. ცენტრის დაუ-
კითხვათ გაფიცვებს აცხადებუნ, გამოაქვთ ხშირად მიზანშეუწონელი და
დაუსაბუთებელი რეზოლუციები, პარტიულ ნიადაგზედაც ზოგან იყო-
ფიან ჯგუფებათ და ცალ-ცალკე გამოაქვსთ რეზოლუციები, რაც სრულ
საშუალებას აძლევს ერობებს და მთავრობას ანგარიში არ გაუწიონ წა-
მოყენებულ მოთხოვნილებებს. მასწავლებელთა უფლებერივი მდგომარეო-
ბის დასაცავად აუცილებლად საჭიროა შეთანხმებული, სოლიდარული,
ერთ სულოვანი მოქმედება და ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი,
როცა პერიფერიები ცენტრის დაუკითხავათ ნაბიჯის გადადგმას მოერიდე-
ბიან. ორგანიზაციები უნდა შემოკრბენ ცენტრის ორგვლივ და დაუჭი-
რონ მას მხარი; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ანარქია და ასეთ

პირობებში შეუძლებელი გახდება მიზნის მიღწევა. დიახ უფლებრივი ნორმების დაცვა ჩვენი საქმეა და ჩვენ ამას შევსძლებთ ძლიერი კავშირის საშუალებით: კავშირის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება დასაბუთებელი და ყოველ მხრივ გაშუქებული უნდა იქმნეს, ყოველი ჩვენი გამოსვლა სერიოზული, ათასჯელ გაზომილი და თანამედროვე პირობებთან უნდა იქნეს შეფარდებული და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გაგვიწვევა; ჩვენ ანგარიშს, მაშინ გქნება ფასი ჩვენ მოქმედებას ..

ბიურო აგროვებს მასალას და მოკლე ხანში შეიმუშავებს და წარ-
მოუდგენს სათანადო დაწესებულებას მოხსენებას მასწავლებელთა ნივთ-
ები მდგრამარეობის გაუმჯობესების შესახებ....

საკითხი საპენსიო წესდების პროექტის განხილვის შესახებ შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

* **
1 აპრილს კავშირის ბიუროს თავმჯდომარებ ვ. ბურჯანაძემ და წევრმა
ა. ფირცხალიშვილმა ინახულეს განათლების მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვი-
ლი და მოახსენეს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის, სურსათის
მხრით მათთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, აგრეთვე გორის მასწავ-
ლებელთათვის შესაფერისი ბინის დათმობის შესახებაც. ბ-ნი მინისტრი
დაჭპირდა დელეგაციას სათანადო განკარგულების მოხდენას მათი შუამ-
დგომლობის გამო.

ბიურომ დაუგზავნა მასწავლებელთა ორგანიზაციებს შემდეგი:

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ გამოითხოვა და მიიღო ნება, რომ მასწავლებლების ხელი სურ-სათ-სანოვაგე სახელმწიფო ფონდიდან გადაეცეს გასანაწილებლად მასწავლებელთა კავშირებს. ჯერჯერობით იძლევიან შემდეგ ნორმას:

1. ფართლეულობას თითო გასწავლებელზე	.	.	.	300	მან.
2. შაქარს, ბრინჯას, ფერვილს თითო გასწავლ.	.	,	.	200	"
				სულ	500 მან.

მაშასადამე ყოველ კავშირს შეუძლია წაიღოს იმდენჯერ 500 მანე-
თის საქონელი, რამდენიც მასწავლებელია (ყველა ტიპისა) მის რაიონში.
ფულს თხოულობენ ნაღდათ სულ ან ნაწილობრივ. უკიდურეს შე-
თხვევაში ბიუროს შეუძლია გამოიტანოს საქონელი ნისიათ ერთი თვის
ვალით სამინისტროს გარანტით, ე. ი. გან. სამინისტრო კრედიტების



გახსნის დროს მასწავლებელთა ჯამაგირებიდან დაიტოვებს იმდენს, რამაც უძლიერი დენიც ნისია ითვლება, თქვენზე. თუ ეს პირობები თქვენთვის მისაღებია გამოგზავნეთ ერთი რწმუნებული საქონლის მისაღებად. რომ შემდეგში კაცის გზავნა აღარ დაგჭირდეთ, საჭიროა თბილისში კოოპერატივის ან სხვა განმანაწილებელი საერთო აპარატის მოწყობა. ამაზედაც თქვენი აზრი გვაცნობეთ. კაცის გამოგზავნა საჭიროა დაჩქარებით. წინასწარი მუშაობა აქ ჩვენ დასრულებული გვაქვს, მაგრამ საქონლის არჩევას, საწყობებიდან მიღებას და სხ. მაინც დასჭირდება 4-5 დღე.

გთრის ფონდი

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიურომ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო. შემოწირულება მასწავლებელ-მოწაფეთა შორის შეკრებილი შემდეგი სკოლებისაგან:

1. კუკის ქალთა უმაღ. პირვ. დაწყ. სკოლისაგან.	6260	მან.
2. ტფ. პირველ უმაღ. დაწყ. სასწავლებლისაგან	2427	"
3. კუკის მე-7 დაწყებითი სკოლისაგან	2810	"
4. კუკის მე-5 ქალაქის სკოლისაგან	2100	"
5. მესამე უმაღლეს დაწყ. სკოლისაგან	2330	"
6. ვაჟთა მე-2 გიმნაზიისაგან	4259	"
7. ქალაქის მე-3 უმაღლეს დაწყ. სკოლისაგან	100	"
8. აკაკის სახელობის ქალაქის დაწყ. სკოლისაგან	2206	"
9. ქალთა მე-7 გიმნაზიისაგან	2750	"
10. ბილნაშვილის კერძო გიმნაზიისაგან	4900	"
11. ჩიბათის თემის მასწავლებელთაგან	2060	"
12. ხვარბეთის უმაღლეს დაწყ. სასწავლებლისაგან	1808	"
13. ქართველ კათ. საქალაქო სკოლისაგან	766	"
14. ყვარელის სკოლისაგან.	1593	"
15. წერაქვის სკოლისაგან	480	"
16. კოწიოს უმაღ. დაწყ. სკოლ.	1749	"
17. კუტის	200	"
18. ძიმითის „” ქორდანის“” სახელ. სკ.	1850	"
19. ჩულურეთის უმაღ. დაწ. სკ.	2795	"
20. მე 4 ვაჟთა გიმნაზიისაგან.	830	"
21. სიღნაღის უმაღ. დაწყ. სკ.	6157	"
22. ბორის მარკოვსკისაგან :	500	"
	სულ	50,930 მან.



მასწავლებელთა შორის — რაჭის მაზრის მასწავლებელთა ნაწილის მიერ გაფიცვის გამოცხადების გამო, რაც გამოუწვევია ადგილობრივ ერობის მიერ მასწავლებელთა ერობისგან ხვედრი დამატებითი ჯამაგირის დაუკმაყოფილებლობას, კავშირის ბიურომ გაუგზავნა მასწ. ორგანიზაციას შემდეგი დეპეში: „მიუხედავათ მძიმე პირობებისა მასწავლებელთა ნაწილის მიერ სწავლის შეწყვეტა ცენტრის დაუკითხავათ და ერობასთან მოულაპარაკებლად კავშირის ბიუროს შეუწყნარებლად მიაჩნია. განაახლეთ სწავლა. მოელაპარაკეთ ერობას. გვაცნობეთ დაწვრილებით“.

— **სამურჩაყანოს** მაზრის მასწავლებელთა ყრილობისაგან კავშირის ბიურომ შემდეგი დეპეში მიიღო: „სამურჩაყანოს მაზრის მასწ. ყრილობა გესაღმებათ თქვენ, როგორც საქართველოს მასწავლებელთა ინტერესების დამცველთ და გამოსთქვამს იმედს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მასწავლებელთა, როგორც კულტურულ-განმანათლებელი, ისე ნივთიერი უფლებრივი მდგომარეობა სასურველ დონეზე დაგეხმარება. ეწვი არ უნდა, მთელი მასწავლებლობა მხარს დაგიჭიროთ და თქვენც მისი დახმარებით შესძლებთ საერთო ინტერესების დაცვას“.

— ამ დეპეშაზე ბიურომ უპასუხა:

საქართ. მასწ. კავშირის ბიურომ განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმინა სამურჩაყანოელ ამხანაგთა სალამი. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოწინავე მასწავლებლობა შეკავშირდება ჩვენს ირგვლივ და შეთანხმებული, სოლიდარული მუშაობით უზრუნველ ყოფილი იქნება გამარჯვება მასწავლებლობის საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლაში“.

ო ფ ი ც ი ა ლ ი გ ა ნ ა რ ფ ი ლ ე ბ ა .

ო ქ ა ბ ი № 1.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კოშიტეტის
15 ოქტომბრის 1920 წ. სხდომისა.

კრება გახსნა ბ. განათლების მინისტრის ამხანაგმა ნოე ცინცაძემ, რომელმაც კრებას მიჰმართა დაახლოვებით მოკლედ შემდეგი სიტყვით:
სასწავლო კომიტეტის პირველ სხდომას გახსნილად ვაუხადებ. დიდი სა-



მუშაო მოგელით. ბევრი საქმის გაკეთება და გასწორება დაგჭირდებათ მომავალში. უახლოეს მიზანს თქვენის მუშაობისას კი უნდა შეადგენდეს ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამოსწორება, პირველი არსებული სახელმძღვანელოების გადასინჯვა და მათი შეფასება და ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით ახალის შექმნისათვის საშუალებების გამონახვა. მართალია სამინისტროსთან არსებობდა სახელმძღვანელოთა შემთხვებელი კომისიები, მაგრამ მათ არა ჰქონდათ სისტემატიური ხასიათი. ზოგიერთს კომისიებში რაღაც მიზეზების გამო მუშაობა თითქმის სრულებით ვერ მოეწყო. ახლა თქვენ უნდა გადასინჯოთ კომისიების ნაშრომი, დაადასტუროთ, რაც დასადასტურებელია და მასთან ერთად აწარმოვოთ განუხილველი სახელმძღვანელოთა გარჩევა-შეფასება. ამასთან ერთად სასკოლო კომიტეტმა უნდა იმუშაოს ტერმინოლოგიის დამუშავებაზე. გარკვეული დაუდასტურებელი ტერმინოლოგიის უქონლობა, როგორც მოგეხსენებათ, საშინაოდ აფერხებს ჩვენი სკოლის ნორმალურ გზის წინ სკოლას. ეს მოთხოვნილება ცხოვრების მიერ წამოყენებული სდგას ჩვენ წინაშე სიმწვავით.

სამინისტრომ ამ სასწავლო კომიტეტის ხელმძღვანელად აირჩია პატივ-ცემული პროფესიონალი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც, ღრმად დარწმუნებული ვარ ღირსეულად გაუძლვება წინ ამ დიად საქმეს“.

ამის შემდეგ თავმჯდომარის ალაგს იქერს ბ. ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც კრებას მიპართა და დაახლოებებით მოკლედ შემდეგი აზრი გამოსთვა: ცხოვრება საშინელის სისტრატით მიღის წინ. მრავალ ახალს მოთხოვნილებს გვიყენებს და თხოულობს მათ დაკმაყოფილებას. ერთი ამ საჭირ-ბოროტო საკითხთაგანი გახლავთ ჩვენი სკოლის სათანადო კალაპოტში ჩაყენება. ამ მიზნის მისაღწევად კი არის საჭირო შესაფერი სახელმძღვანელოების ქონა. აშეარაა, ამ უკანასკნელ დროში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ და კერძოდ სახელმძღვანელოების გამრავლებაში. ბაზარზე გამოვიდა მრავალი სახელმძღვანელო, მაგრამ მრავალს მათგანს სჭირია გადასინჯვა და შესწორება.

ჩვენი უახლოესი მიზანია სკოლას ავაცილოთ უგარგისი სახელმძღვანელო და სამაგიეროთ მივცეთ საღი და შესაფერისი.

საერთოდ ისეთი ერის ცხოვრებაში, როგორიც ვართ ჩვენ, სახელმძღვანელოს აქვს ორი ხანა; ორი გზა. გზა უცხო სახელმძღვანელოს გადმოკეთებისა და გზა ეროვნულ ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა. პირველი ხანა ჩვენ თითქმის უკვე განვლეთ: მოგვეპოება მრავალი სახელ-



მძღვანელო, რომელიც გადმოთარგმნილია. გადმოკეთებული ჩვენი ცხოვრების საჭიროების მიხედვით. ახლა უნდა შეუდგეთ მეორე გზას, ორგინალურ-ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული სახელმძღვანელოს შექმნას. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკეთესად რანაირიც უნდა იყოს ორგინალური სახელმძღვანელო, უნდა ვამჯობინოთ უკეთეს თარგმნილს.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე, გახლავთ ტერმინოლოგიის დამუშავება და მისი დაკანონება ცხოვრებაში. ახლანდელს ჩვენს ცხოვრებაში რაღაცა ენათა აღრევაა გამეფებული: სხვა და სხვა სკოლებში (ხანდისხან ერთს და იმავე სკოლაშიაც კი) რამდენიმე ტერმინი არის ხმარებაში ერთს და იმავე ცნების გამოსახატავად: სხვა და სხვა დაწესებულებაში სხვა და სხვა ტერმინია მიღებული; რკინის გზაზე სხვა, ჯარში სხვა. ასე აჭრელებულია ენა ჩვენს სახელმწიფოში. ამას დიდი შემაფერხებელი დაბრკოლებანი მოაქვს. საჭიროა შეიქმნას ერთი განწმენდილი ენა მთელი ერისათვის.

ტერმინოლოგიის გამომუშავებაში არის ორი პერიოდი: სტიქიური და ეროვნული-ნაციონალური. სტიქიურ პერიოდში ახალი ცნებათა გამოსახატავად ერის ცხოვრებაში იჭრებიან უცხო სიტყვები და არის ბრძოლა მოქალაქობრივ უფლებათა მოპოვებისათვის. ეს გზა ჩვენ უკვე განვლეთ. მოვცებულია ამისი მასალები. ჩვენს ცხოვრებაში იწყება მეორე ხასიათის მუშაობაც—ყველა ცნებათა გამოსახატავად სიტყვების ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენება შემუშავება. ასეთი ნამუშევარიც გვაქვს ხელთ. ახლად გამოცემული ლექსიკონი, ამ უკანასენელს აქვს ბევრი დადებითი მხარეები, მაგრამ ბევრი უარყოფითი მხარეებიც აქვს. მისი ცხოვრებაში გატარება ამ სახით, რასაკვირველია, შეუძლებელია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ გარდამავალ ხანაში, როგორ-შიაც ჩვენ ვიმუშოფებით, უცბათ, ერთი ხელის დაკვრით მოსპობა, რაც სტიქიურად უკვე ჩვენი ცხოვრების მიერ მიღებულია, არ იქნება მიზან-შეწონილი. ჯერ საჭიროა ყოველ მხრივ სერიოზული მუშაობის მეოხებით შევიმუშაოთ ტერმინოლოგია და მერე ასე განწმენდილი მივცეთ ხალხს — ცხოვრებას და დაუინებით გავატაროთ ერთ უეროვნება ჩვენი ცხოვრების ყოველივე დაწესებულებაში.

შემდეგ კრებისთვის ბ. თავმჯდომარე დაპეირდა წაიკითხოს მოხსენება ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი კანონების შესახებ.

შემდეგ კრებას მოჰქმენდქანოველის მასწავლებელია სახალხო განა-
თლების სამინისტროსთან უსისა".

ბ. თავმჯდომარე ს.

ნელოთა შეფასება დ.

ამ საკითხის

მაისიდან მუშაო

ბული სახელმ

ლო, რომელთა შეფასება.

ამ საკითხის

აები, რომელთაც დავალებული პქნიდათ არსე-

ბული სახელმ

ლო, რომელთა შეფასება დასკვნა.

გადა

ტილია სასწავლო კომიტეტმა თავის პლენურზე მოისმინოს

ყველა უკა წაკითხული ამ კომ.სიებში რეცენზიები და მათ შესახებ ოქ-

მები, რის შემდეგაც ჩელრედ გამოიტანოს თავისი საბოლოო გადაწყვე-

ტილება. (რადგანაც სასწავლო კომიტეტში არის თითქმის ყველა ღლემ-

დის არსებული კომისიების თავმჯდომარეები და ზოგიერთი წევრებიც,

ამისათვის დაევალოს მათ იქმნენ პლენურზე მოშხენებლად მათი კომისიე-

ბის მოქმედებისა) ხოლო ახალი სახელმძღვანელოები უნდა გადაეცეს კო-

მისიებს, რომელნიც უნდა დაარსენ ახლავე კომიტეტთან სპეციალური

დარგების მიხედვით. ეს კომისიები თავინთ კრებაზე გაარჩევენ სახელ-

მძღვანელოებს, გამოიტანენ დავიანთ დასკვნას და ყველა ამ მასალას მოახ-

სენებენ სასწავლო კომიტეტის პლენურს, რომელიც გამოიტანს საბოლოო

გადაწყვეტილებას.

შემდეგ ბ. თავმჯდომარემ დასვა საკითხი კომისიების შე-

სახებ სპეციალობის მიხედვით.

ბ. აკ. შანიძემ შემოიტანა წინადადება მე-3-მე და მე-4-ე მუხლები.

მე-7-დე ს-ის შენიშვნისა შეცვლილი იქნას: ქართული და უცხო ენები

იყოს ერთს კომისიაში, ხოლო ქართული და უცხო ლიტერატურა შეო-

რეში, რადგანაც მათ უფრო მეტი აქვს საერთო და ასე მუშაობა უფრო

მიზან შეწონილი იქნება. ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლამ

გამოიწვია ოთხი სხვა და სხვა წინადადება.

1. შეერთებულ იქმნეს ქართული ენა უცხო ენებთან, ხოლო ქარ-

თული ლიტერატურა—უცხო ლიტერატურასთან.

2. დარჩეს კომისიები იმ სახით, როგორც ამას განსაზღვრავს ინს-

ტრუქცია სასწავლო კომიტეტისა.

3. შეერთებული იქმნეს ქართული ლიტერატურა უცხო ლიტერა-

ტურასთან, ხოლო ენები იყოს განცალკევებული.

აღნიშნული იქნა, რომ წარსული წლის

აები, რომელთაც დავალებული პქნიდათ არსე-

ბული სახელმ

ლო, რომელთა შესახებ გამოიტანა დასკვნა.

გადა

ტილია სასწავლო კომიტეტმა თავის პლენურზე მოისმინოს

ყველა უკა წაკითხული ამ კომ.სიებში რეცენზიები და მათ შესახებ ოქ-

მები, რის შემდეგაც ჩელრედ გამოიტანოს თავისი საბოლოო გადაწყვე-

ტილება. (რადგანაც სასწავლო კომიტეტში არის თითქმის ყველა ღლემ-

დის არსებული კომისიების თავმჯდომარეები და ზოგიერთი წევრებიც,

ამისათვის დაევალოს მათ იქმნენ პლენურზე მოშხენებლად მათი კომისიე-

ბის მოქმედებისა) ხოლო ახალი სახელმძღვანელოები უნდა გადაეცეს კო-

მისიებს, რომელნიც უნდა დაარსენ ახლავე კომიტეტთან სპეციალური

დარგების მიხედვით. ეს კომისიები თავინთ კრებაზე გაარჩევენ სახელ-

მძღვანელოებს, გამოიტანენ დავიანთ დასკვნას და ყველა ამ მასალას მოახ-

სენებენ სასწავლო კომიტეტის პლენურს, რომელიც გამოიტანს საბოლოო

გადაწყვეტილებას.

შემდეგ ბ. თავმჯდომარემ დასვა საკითხი კომისიების შე-

სახებ სპეციალობის მიხედვით.

ბ. აკ. შანიძემ შემოიტანა წინადადება მე-3-მე და მე-4-ე მუხლები.

მე-7-დე ს-ის შენიშვნისა შეცვლილი იქნას: ქართული და უცხო ენები

იყოს ერთს კომისიაში, ხოლო ქართული და უცხო ლიტერატურა შეო-

რეში, რადგანაც მათ უფრო მეტი აქვს საერთო და ასე მუშაობა უფრო

მიზან შეწონილი იქნება. ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლამ

გამოიწვია ოთხი სხვა და სხვა წინადადება.

4. შეერთვის გადმოთარებების ილია. გადა ლიტერატურა უცხოენები
თან და ლიტერატურისთვით. ახლა უნდა შეუდგუველოს ისტორია მსოფ-
ლიო ისტორიისთან.

ხმის უმეტესობით (17 ხმ.) ძირი უკველად აგზორე წინადაღება. გა-
დასწყდა აგრძოვე შეერთებულ იქმნას ას პინთ უკეთელოგიურ დარგე-
ბის კომისიები.

დაარსდა კომისიები შემდეგის შემადგენლობით. ასნოვ

1. საზოგადო ისტორია—წევრები: ალ. წერეთელი ჩეგაა ნუცუბიძე,
 - დ. უზნაძე, ი. ღულაძე, ლ. ნათაძე, გ. ნათაძე და ა. ურა იაშვილიანი.
 2. საქართველოს ისტორია—წევრები: კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და სარგის კაკაბაძე.
 3. ქართული ენა და ლიტერატურა—წევრები: გ. ჭუმურიძე, თ. კიკვაძე, აკ. შანიძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი და ჩ. შარაშიძე.
 4. უცხო ენები და ლიტერატურა—წევრები: ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ნ. ქუთათელაძე, გ. ახვლედიანი და მ. ზანდუკელი.
 5. მათემათიკა—წევრები: მ. კონიაშვილი, ე. ჭოლოშვილი, მ. თაქიშვილი, ან. რაზმაძე და გ. ნიკოლაძე.
 6. ფიზიკა და ქიმია—წევრები: მ. კონიაშვილი, ა. დიდებულიძე, ი. მოსეშვილი, ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, მ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი, შ. ქარუმიძე და გ. ნიკოლაძე.
 7. გეოგრაფია—წევრები: ნ. ყიფიანი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოგიძე, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, გ. კონიაშვილი, მ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი.
 8. ბიოლოგიური დარგები და ჰიგიენა—წევრები: ზ. ყანჩაველი, დ. გელევანიშვილი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოგიძე, ნ. ყიფიანი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ვ. ლამბაშიძე, ა. ალადაშვილი, ნათიშვილი.
 9. ფილოსოფიური დარგები—წევრები: უ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ნ. ქუთათელაძე, დანელია, იმნაიშვილი.
 10. სპეციალური და ტეხნიკური დარგები—წევრები: ილ. ყიფშიძე, მ. თაქთაქიშვილი, ვ. კაკაბაძე და ა. დიდებულიძე.